

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 6

ვალდებულებითი სამართალი

1. შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე
2. ვალის არსებობის აღიარება
3. ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შეუძლებლობა დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული) მოქმედების დროს
4. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი
5. მოვალის პასუხისმგებლობა ვადის გადაცილების გამო
6. ზიანის ანაზღაურება
 - დელიქტური ვალდებულებანი
 - ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის
 - ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
 - ზიანის ანაზღაურების მოვალეობა
 - მატერიალური და/ან მორალური ზიანის ანაზღაურება
 - სარჩოს ანაზღაურება (ოდენობის განსაზღვრა, გაზრდა)
7. ვალდებულების შეწყვეტა
8. ნასყიდობა
9. ელექტროენერჯის ნასყიდობასა და მოხმარებასთან დაკავშირებული დავები

1. შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე

განჩინება

#ას-696-916-08

22 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. მ-შვილმა ფ. კ-იანის წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 16000 ლარის ოდენობით. მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი და ასევე ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილის სარჩელი ფ. კ-იანის მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ასევე არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელიც.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1994 წლის 30 დეკემბერს ფ. კ-იანსა და მ. მ-შვილს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მ. მ-შვილმა ფ. კ-იანისაგან შეიძინა ქ. თბილისში, ... ქ. #19/1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2 60 მლნ. კუპონად, ხელშეკრულება დადასტურდა სანოტარო წესით და რეგისტრირებულ იქნა ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროში. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ფ. კ-იანმა მ. მ-შვილისაგან მიიღო 60 მლნ. კუპონი ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას.

ასევე დადგენილია, რომ 1998 წლის 5 აგვისტოს ფ. კ-იანსა და მ. მ-შვილს შორის დაიდო ... ქ. #19/1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარგებლობის ხელშეკრულება, რომლითაც მხარეებმა განსაზღვრეს, სახლის კონკრეტულად რომელი ნაწილით უნდა ესარგებლა თითოეულ მათგანს და რა ნაწილი უნდა გადასულიყო ფაქტობრივად თითოეული მათგანის საკუთრებაში. ხელშეკრულება დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2000 წლის 12 თებერვალს ფ. კ-იანსა და მ. მ-შვილს შორის დაიდო წერილობითი შეთანხმება 1994 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლაზე, რაც დადასტურებულ იქნა სანოტარო წესით. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუქმებდნენ საცხოვრებელი სახლის 1/2-ის ყიდვა-გაყიდვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებას, ხოლო მ. მ-შვილი ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე უბრუნდებოდა თ. კ-იანს საცხოვრებელი სახლის 1/2-ს, რაც შეძენილი ჰქონდა მისგან 1994 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით. ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ შეთანხმება რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში და აღნიშნულის საფუძველზე, ფ. კ-იანი აღირიცხა ... 19/1 ... #1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ უკან გადაცემული ნივთის ღირებულება კ-იანს მ-შვილისათვის არ აუნაზღაურებია, რის გამოც მ-შვილმა განიცადა მატერიალური ზიანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ბინის საბაზრო მდგომარეობით და ადგილმდებარეობის მიხედვით მსგავსი ბინის საბაზრო ღირებულების მსგავსად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს 2000 წლის 12 თებერვლიდან, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ განმარტა შემდეგი: ვინაიდან ნასყიდობა რეალური ხელშეკრულებაა მხარეებმა, ამგვარი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებები ერთდროულად უნდა შეასრულონ. შესაბამისად, საკუთრების უფლება მოპასუხეს ხელშეკრულების დადებისთანავე გადაეცა და ასევე, ხელშეკრულების დადებისთანავე წარმოეშვა მას თანხის გადახდის ვალდებულებაც (2000 წლის 12 თებერვლიდან). სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელისათვის 2000 წლის 12 თებერვლიდანვე იყო ცნობილი მისი უფლების

დარღვევის შესახებ, იმდენად, რამდენადაც ბინის გადაცემის სანაცვლო ანაზღაურება მას არ მიუღია.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა.

კასატორის აზრით, სასამართლომ ნივთის დაკავებად არ ჩათვალა და, შესაბამისად, აღმასრულებელ მოქმედებად არ მიიჩნია კასატორის მიერ ნივთით სარგებლობით გამოყენების უფლება ფულადი ვალდებულების შესრულებამდე, ვინაიდან, სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების მოშლით ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით საცხოვრებელი ბინა მოპასუხის ხელში გადავიდა.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ სამართლებრივად ნივთის გამსხვილებელი ჯერ კიდევ მესაკუთრედ ითვლება, ვიდრე შემძენი ახალ უფლებას არ დაარეგისტრირებს საჯარო რეესტრში.

კასატორის აზრით სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 477-ე მუხლები და განმარტა იმგვარად, რომ ხელშეკრულების დადების დრო გაუთანაბრა უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროს ისე, რომ არ გაითვალისწინა საჯარო რეესტრის რეგისტრაციის აქტის მნიშვნელობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის შესცვლასა და შეწყვეტასთან

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მხარეთა შორის 2000 წლის 12 თებერვალს დაიდო წერილობითი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მხარეებმა მოშალეს 1994 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული გარიგების თანახმად მ. მ-შვილმა ფ. კ-იანს დაუბრუნა საცხოვრებელი სახლის წილი, რაც შეძენილი ჰქონდა 1994 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებით. 2000 წლის 12 თებერვლის შეთანხმებით თანხის დაბრუნების საკითხი მოწესრიგებული არ არის.

საკასაციო პალატა იზიარებს სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლების თანახმად, შეიძლება მოიშალოს ხელშეკრულება, რომლის მოქმედებაც დამთავრებული არ არის. მხარეთა შორის 1994 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების მოქმედება კი დასრულებულია და წერილობით შეთანხმება არ შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულებიდან გასვლად.

ასევე პალატა ეთანხმება სასამართლოს იმ მოსაზრებასაც, რომ 2000 წელს მხარეთა შორის დაიდო ქონების გასხვისების ხელშეკრულება, რომელიც თავისი არსით სასყიდლიანია, მაგრამ, შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ჩუქების ან გამოსყიდვის ხელშეკრულებად. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია 1994 წელს მ. მ-შვილის მიერ აღნიშნულ ქონებაში თანხის გადახდის ფაქტიც. ბუნებრივია, ამ ქონების ფ. კ-იანის საკუთრებაში გადასვლით მას წარმოეშვა ვალდებულებაც, მიღებული თანხის უკან დაბრუნებისა. ის გარემოება, რომ შეთანხმებაში არაფერია საუბარი თანხის თაობაზე, არ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, რომ თითქოს თანხის გადაცემის ვალდებულება არ წარმოშობილა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი ვალდებულება არ წარმოიშობა ქონების გაჩუქების შემთხვევაში, რაც შეთანხმების შინაარსიდან არ ირკვევა.

სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხრე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას, 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად კი ითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. როგორც საქმეში წარმოდგენილი შეთანხმებიდან ირკვევა, მხარეები მხოლოდ ქონების გადაცემის ვალდებულებაზე შეთანხმდნენ, მაგრამ თანხის დაბრუნების საკითხზე ან მისი გადახდის ვადაზე არ შეთანხმებულან. თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ მ. მ-შვილს ქონების ფ. კ-იანისათვის დაბრუნების შემდეგაც ნივთის მფლობელობა არ შეუწყვეტია. ამასთან, როგორც კასატორი მიუთითებს, სადავო სახლი 2005 წლამდე არ აღრიცხულა მოპასუხის სახელზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოეკვლია, თუ რამ განაპირობა აღნიშნული გარემოებანი და შეეფასებინა მ. მ-შვილის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მხარეები შეთანხმდნენ ახალი ხელშეკრულების დადებაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ მითითებული კუთხით უნდა შეაფასოს მხარეთა მოსაზრებანი, გაარკვიოს, თუ რა საფუძვლით ცხოვრობდა მ. მ-შვილი კ-იანის საცხოვრებელ სახლში, რომელიც

უკვე აღარ წარმოადგენდა მის საკუთრებას. შესაბამისად უნდა გადანაწილდეს მტკიცების ტვირთი და მხოლოდ აღნიშნული საკითხის გამოკვლევის შემდეგ უნდა შეფასდეს ხანდაზმულობის საკითხი.

პალატა მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებული მიზეზთა გამო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული იმავე სასამართლოს მიერ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ვალის არსებობის აღიარება

განჩინება

#ას-745-961-08

2 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ქ-მემ სს ნავთობის ეროვნული კომპანიის „საქნავთობისაგან“ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ განმარტა, რომ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს 1991 წლის 13 დეკემბრის #734 განკარგულებით დაკმაყოფილდა სს „საქნავთობის“ ნორმატიული საკვლევი სადგურის ადმინისტრაციისა და პროფკომის წინადადება და ნ. ქ-მის ხუთსულიან ოჯახს დაუმტკიცდა ქ. თბილისში, ... #29-ში, #2 კორპუსში მდებარე 50 კვ. მ #20 სამოთახიანი ბინა მიღების აღრიცხვიდან მოხსნით. სს-ში შექმნილი ფინანსური სიმძნელებიდან გამომდინარე, კორპუსის აშენების შეუძლებლობის გათვალისწინებით, სს "ნავთობის ეროვნული კომპანიის საქნავთობის" ადმინისტრაციისა და პროფკომის პრეზიდენტის 2002 წლის 22 ოქტომბრის #148/9-55 გადაწყვეტილებით დადგინდა ქ. თბილისში, ... #29-ში მდებარე მე-2 კორპუსის ბინათმფლობელებზე საკომპენსაციო თანხების გაცემა საწარმოს ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მის განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე და ერთი კვ.მ-ის ღირებულება განისაზღვრა 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. 2003 წელს საწარმოს ადმინისტრაციის მიერ ტერიტორია, სადაც საცხოვრებელი კორპუსი უნდა აშენებულიყო, გასხვისდა. 2004 წლის 21 აპრილის სს ნავთობის ეროვნული კომპანიის „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკომის პრეზიდენტის #81/16-81 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა გამოყოფილი ბინის სანაცვლოდ კომპენსაციის სახით 14 640 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გაცემის შესახებ. მოსარჩელემ ასევე განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ საწარმო არ არის გადახდისუნარო და გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს მსხვილგადახდელთა ინსპექციის მეშვეობით, საკომპენსაციო თანხა სრულად არ გაცემულა. მას გადაეცა მხოლოდ 4000 აშშ დოლარი, დანარჩენი კი არ მიუღია. 2006 წელს მან მიმართა საწარმოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნითა და შესრულებისათვის აუცილებელი დროის განსაზღვრის შესახებ განცხადებით, რომელიც მხარეს ჩაჰბარდა იმავე წლის 18 ოქტომბერს, მაგრამ მოპასუხემ წერილი რეაგირების გარეშე დატოვა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მხარემ თავი აარიდა ვალდებულების შესრულებას და დაარღვია ვალდებულება. მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 78 080 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - სს "თელეთის ნავთობის კომპანია" დაეკისრა ნ. ქ-ძის სასარგებლოდ 10 640 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ქ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით სს "თელეთის ნავთობის კომპანიის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ნ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება შეიცვალა ნ. ქ-ძის სასარჩელო მოთხოვნის - ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ნ. ქ-ძის სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - სს "თელეთის ნავთობის კომპანიას" ნ. ქ-ძის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით დაეკისრა 2006 წლის 28 ოქტომბრიდან 2008 წლის 28 ივლისამდე 4043,20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო 2008 წლის 28 ივლისიდან ყოველთვიურად 21,80 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა ვალდებულების შესრულებამდე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა ნ. ქ-ძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სასამართლომ არ დაადგინა ნ. ქ-ძისთვის ბინის სანაცვლოდ საკომპენსაციოდ გამოყოფილი 14640 აშშ დოლარიდან მხოლოდ 4000 აშშ დოლარის მიღებისა და 2006 წლის 18 ოქტომბერს ნ. ქ-ძის, როგორც კრედიტორის, განცხადების ჩაბარების ფაქტები მოწინააღმდეგე მხარისთვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, სადაც ამ უკანასკნელს განესაზღვრა ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი დრო.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ნ. ქ-ძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვალდებულება მოცემულ შემთხვევაში წარმოშობილია სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არა სახელშეკრულებო, არამედ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან, რადგან მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია კომპანია „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკავშირის პრეზიდიუმის 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც განეკუთვნება მრავალმხრივი ხელშეკრულების სახეს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ მოსაზრებაც სსკ-ის 341-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით, სადაც იგი მიუთითებს, რომ ვალის აღიარებისთვის მხარეებს შორის უნდა არსებობდეს ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის შემდგომი აღიარება უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ასევე „თელეთის ნავთობის კომპანიის“ წარმომადგენლის მოსაზრება, რომ კომპანია „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკავშირის პრეზიდიუმის 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით გამოვლენილი ნება მხარეს არ გადაეცა ნების გამომვლენი პირის მიერ, რადგან ჩათვალა, რომ კომპანია „საქნავთობმა“ არამართო გამოავლინა ნება კონკრეტული ადრესატის, ნ. ქ-ძის მიმართ, არამედ ამ ნების აღსრულებას შეუდგა იგი, როცა 2004 წლის 30 აპრილს, ნ. ქ-ძეს ჩაურიცხა 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

ასევე გაიზიარა სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ წარმომადგენლის მოსაზრება პირობით გარიგებასთან დაკავშირებით, რომ, სსკ-ის 92-ე მუხლის თანხმად, მხარის ნებაზე დამოკიდებული პირობა ბათილია, რადგან ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს არა მხარის ნებაზე დამოკიდებული პირობა (სსკ-ის 92-ე მუხლი), არამედ - ვალდებულების შესრულება პირობითი გარიგების არსებობისას (სსკ-ის 368-ე მუხლი), რომლის დროსაც, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობით დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ნ. ქ-ძისთვის საკომპენსაციო თანხა, 14640 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, მოვალეს უნდა გაეცა სს „საქნავთობის“ ფინანსური შესაძლებლობის გათვალისწინებით ნაწილ-ნაწილ, სს „საქნავთობის“ განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ წარმომადგენლის მოსაზრება, რომ სააქციო საზოგადოებაში მოგების განაწილების საკითხს წყვეტს საერთო კრება თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და არავის აქვს უფლება, თვითნებურად განკარგოს საზოგადოების წმინდა მოგება და გენერალური დირექტორი და პროფკომის თავმჯდომარე არ იყვნენ უფლებამოსილი, მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება, რადგან მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სწორად მიუთითა, რომ საერთო კრების თანხმობით განისაზღვრა საწარმოს მოგებასთან დაკავშირებული საკითხები, იგი მესამე პირების მიმართ არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და, შესაბამისად, არ წარმოადგენს მესამე პირებთან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების ბათილობის საფუძველს.

პალატამ მიიჩნია, რომ ვალის აღიარების ვალდებულებიდან გამომდინარე, კრედიტორი ნ. ქ-მე ამ ვალდებულების ფარგლებშია უფლებამოსილი, სსკ-ის 316-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების ძალით მოითხოვოს სს „თელეთის ნავთობის კომპანიისგან“ რაიმე მოქმედების შესრულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. ქ-მემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 317-ე და 412-ე მუხლები და არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი და არ გამოიყენა ამავე კოდექსის 414-ე მუხლი, კერძოდ, სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა იმის თაობაზე, რომ, თითქოს მოსარჩელე ვალდებულების წარმოშობის საფუძველად მიუთითებდა არასახელმწიფო საფუძველზე, როგორცაა ზიანის ანაზღაურების კანონისმიერი ვალდებულება (მოვალეობა).

კასატორი მიუთითებს, რომ მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკომის პრეზიდიუმის 2002 წლის 22 ოქტომბრის #148/9-55 და 2004 წლის 21 აპრილის #81/16-81 გადაწყვეტილებები, რომლითაც დადგინდა ... „29/2 კორპუსის ბინათმფლობელებზე საკომპენსაციო თანხების გაცემა 1 კვ.მ-ზე 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით, რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღებულ იქნა ვალდებულება ბინის სანაცვლოდ კონპენსაციის თანხის გაცემისა და ვალის არსებობაზე“.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ ზიანი არასწორად დაიანგარიშა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად და მიაკუთვნა მიუღებელი შემოსავლის თანხა, რომელსაც იგი არ ითხოვდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ ნ. ქ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ვალდებულება წარმოშობილია ვალის აღიარების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებებს წარმოადგენენ 2002 წლის 22 ოქტომბრისა და 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებები, რომლითაც მოპასუხემ საკომპენსაციო თანხების გაცემის ვალდებულება აიღო. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საწარმომ იკისრა ვალდებულება, გადაეხადა ნ. ქ-მისათვის საკომპენსაციო თანხა გამოყოფილ 97.60 კვ.მ საერთო ფართზე 1კვ.მ-სათვის 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად მოპასუხემ ჩაურიცხა ნ. ქ-მეს 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულება ცალმხრივი ხელშეკრულებაა, მისი ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მხარის მიერ ნების გამოვლენა. სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის აღიარება წარმოადგენს ხელშეკრულებას, ამდენად, ვალის არსებობის შესახებ ნება უნდა მიიღოს მეორე მხარემ, რათა ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს. ამასთან ერთად ვალის აღიარების ხელშეკრულება მხარეთა შორის უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. თუ სხვა ფორმის გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას (სკ-ის 341-ე მუხლი). კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საკომპენსაციო თანხის გადახდა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციისა და პროფკომის 2002 წლის 22 ოქტომბრის #148/9-55 გადაწყვეტილებით გადაწყდა, გაიცეს საკომპენსაციო თანხა ... #29/2 კორპუსის იმ ბინათმფლობელებზე, რომლებსაც გაუნაწილდათ ბინები სკ „საქნავთობის“ ადმინისტრაციისა და პროფკომის 1987 წლის 3 სექტემბრის #84/22-1 გადაწყვეტილებით და აქვთ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი. ამავე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გადაწყდა, რომ საკომპენსაციოდ საერთო 1 კვ.მ-ზე უნდა გაიცეს 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ქ-მის მოთხოვნა ქ.თბილისში, ... #29-ში, #2 კორპუსის მე-5 სართულზე მდებარე #20 სამოთახიანი ბინის სანაცვლოდ, ადმი-

ნისტრაციისა და პროფკომის 2002 წლის 22 ოქტომბრის #148/9-55 გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყო საკომპენსაციო - 14 640 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა ვალდებულება 341-ე მუხლის თანახმად.

აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად მოპასუხემ გადაუხადა მოსარჩელეს იმ დროს დადგენილი თანხის ნაწილი 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ "საქნავთობის კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის" დროებითი კომისიის 2002 წლის 21 მაისის სხდომის ოქმი მიუთითებს ზემოაღნიშნული ბინის საბაზრო ღირებულებაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს იმაზე, რომ მხარეები შეთანხმდნენ ... #29-ში, #2 კორპუსის მე-5 სართულზე მდებარე #20 სამოთახიანი ბინის სანაცვლოდ, ნ. ქ-მეს გადაუხადონ საკომპენსაციო თანხა. ამდენად, მხარეები შეთანხმდნენ არა ცალკე აღებულ თანხაზე, არამედ აღნიშნული ბინის ღირებულებაზე, რაც შეადგენდა 14 650 აშშ დოლარს. აღნიშნული გარემოება უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მხარეები შეთანხმდნენ ბინის საბაზრო ღირებულებაზე. ის, რომ 14640 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი (... #29-ში, #2 კორპუსის მე-5 სართულზე მდებარე სამოთახიანი ბინის 1კვ.მ შეფასებულია 150 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად), არ წარმოადგენდა ბინის საბაზრო ღირებულებას, არც გადაწყვეტილებით და არც საქმეში არსებული მასალებით დასტურდება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ "საქნავთობის კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის" დროებითი კომისიის 2002 წლის 21 მაისის სხდომის ოქმი მხოლოდ დამატებით შეიძლება ადასტურებდეს მხარეთა ნებას, რომელიც ითვალისწინებდა ზემოაღნიშნული ბინის ღირებულების ანაზღაურებას, ამდენად მითითებული დროებითი კომისიის 2002 წლის 21 მაისის სხდომის ოქმის 2002 წლის 22 ოქტომბრის #148/9-55 და 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებებში მიუთითებლობა არ გამოიცხავს ბინის საბაზრო ღირებულების თაობაზე მხარეთა შეთანხმებას.

გადაწყვეტილებიდან ასევე არ გამომდინარეობს, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის თანხის გადაუხდელობა განაპირობა ეკონომიკურმა მდგომარეობამ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოპასუხეს აკისრია ვალდებულება, ნ. ქ-მეს გადაუხადოს ... #29-ის #2 კორპუსის მე-5 სართულზე მდებარე სამოთახიანი ბინის საბაზრო ღირებულება.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ 97.60 კვ.მ ბინის საკომპენსაციო თანხის ოდენობა, აუდიტის დასკვნის მიხედვით შეადგენს 117 120 დოლარს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა, რომლითაც განსაზღვრულია ზემოაღნიშნული ბინის საბაზრო ღირებულება. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად შეესაბამება მოსარჩელის მოთხოვნა ... #29-ის #2 კორპუსის მე-5 სართულზე მდებარე სამოთახიანი ბინის საბაზრო ღირებულებას და ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეს უნდა დაეკისროს ბინის საბაზრო ღირებულება მის მიერ მიღებული თანხიდ (4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში) პროპორციული ოდენობის გამოკლებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ქ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

(ფორს-მაჟორული) მოქმედების დროს

განჩინება

#ას-30-367-09

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 21 თებერვალს შპს "ვიქტორიას" დირექტორმა გ. ნ-შვილმა შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოპასუხისათვის უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებული თანხის - 301 532 ლარის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 14 სექტემბერს შპს "ვიქტორიას" და მოპასუხეს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ძალითაც საწარმომ გრაფიკის შესამაზისად შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" 2006 წლის 29 დეკემბრამდე, 4 108 822 ლარის ღირებულების სალიანდაგო ზედნაშენი მასალის მიწოდების ვალდებულება იკისრა. ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობა საგარანტიო თანხის დაუბრუნებლობას იწვევდა. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დამაბული ვითარების გამო, შპს "ვიქტორიას" პარტნიორმა მათთან ხელშეკრულება გაწყვიტა და ამ მიზეზით ვალდებულების შესრულება შეფერხდა. საქართველოს სავაჭრო პალატამ დაადასტურა, რომ მხარეთათვის აღნიშნული გარემოება ფორსმაჟორულად ითვლებოდა. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხემ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით წარდგენილი გარანტიის ნაწილი სს "გაერთიანებული ქართული ბანკიდან" გამოითხოვა, რაც უკანონო იყო, რადგანაც ხელშეკრულების მიხედვით, ხელშემკვერელი რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევდა საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა ფორსმაჟორული გარემოების შედეგი იყო. მოსარჩელის აზრით, შპს "საქართველოს რკინიგზა" უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

მოსარჩელე შპს "ვიქტორიამ" მოითხოვა მოპასუხისათვის შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" 301 532 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს "ვიქტორიას" სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს "საქართველოს რკინიგზამ" გაასაჩივრა სააპელაციო წესით, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ მოსარჩელე შპს „ვიქტორიას“ მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ უნდა მიეწოდებინა სალიანდაგო ზედნაშენი მასალა - 4 108 822 ლარად ღირებული, წიწვოვანი ჯიშის ხის 86 218 ცალი (პირველი ტიპის - 61 767 ცალი, მეორე ტიპის - 24 451 ცალი) განძელი; შპს „ვიქტორიას“ საქონლის მიწოდება უნდა დაეწყო 2006 წლის 4 ოქტომბრიდან, ამასთან, საქონლის ნახევარი უნდა მიეწოდებინა 2006 წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო მეორე ნახევარი - 2006 წლის 29 დეკემბრამდე. შეთანხმების საგანს წარმოადგენდა შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ რუსული წარმოების წიწვოვანი ჯიშის ხის განძელის მიწოდება; მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%) უპირობოდ იქნებოდა გამოყენებული შპს „ვიქტორიას“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. მხარეები დამატებით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზეც. შპს „საქართველოს რკინიგზამ“ შპს „ვიქტორიას“ გადაურიცხა ავანსის სახით 2 054 411 ლარი; შპს „ვიქტორიამ“ წარუდგინა შპს „საქართველოს რკინიგზას“ 205 441 ლარისა და 2 054 411 ლარის საბანკო გარანტიები; მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა სულ 171 458 ლარის ღირებულების საქონელი; მიწოდება განხორციელდა 2006 წლის 18 დეკემბერს, 28 დეკემბერსა და 2007 წლის 27 იანვარს; 2007 წლის 30 იანვარს მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიიდან გა-

ითხოვა 201 852 ლარი, ხოლო ავანსის საბანკო გარანტიიდან - 1 982 633 ლარი; შპს „ვიქტორიამ“ დააკმაყოფილა გარანტიის რეგრესული მოთხოვნა; 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში რუსეთსა და საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლა იყო შეწყვეტილი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ ორ ქვეყანას შორის გამწვავებული ვითარების გამო შპს „ვიქტორია“ აღმოჩნდა ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი შეუძლებლობის წინაშე. ასეთ შემთხვევაში კი მოვალე არ აგებს პასუხს, რადგან ამგვარი ვითარების დაძლევა ვალდებული პირის შესაძლებლობებს სცილდება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ შპს „ვიქტორიამ“ ბოლოს 2007 წლის იანვარში განახორციელა მიწოდება, ნიშნავს ფორს-მაჟორული სიტუაციის შემდეგ სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარებას და ვერ აბათილებს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში შპს „ვიქტორიასათვის“ შეუძლებელი იყო ვალდებულების შესრულება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, შემდეგზე: ვინაიდან შპს „ვიქტორიამ“ ვალდებულება დაარღია მისგან დამოუკიდებელი გარემოების - ფორს-მაჟორული ვითარების გამო, მოპასუხის მხრიდან არამართლზომიერად განხორციელდა თანხის გამოთხოვა მოსარჩელის საგარანტიო ანგარიშიდან.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო 301 532 ლარი.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს „საქართველოს რკინიგზამ“. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის I ნაწილი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ იხელმძღვანელა შპს „ვიქტორიასა“ და შპს „საქართველოს რკინიგზის“ შორის დადებული ხელშეკრულების 22.3 პუნქტით. კასატორმა მიუთითა, რომ შპს „ვიქტორიამ“ ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, რის გამოც შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ისარგებლა ხელშეკრულების ბოლო მუხლით მინიჭებული უფლებით და ჩამოაჭრა მისაწოდებლად დარჩენილი თანხის 5%. ხელშეკრულების ამავე მუხლით, შპს „ვიქტორია“ ვალდებული იყო, გადაეხადა შპს „საქართველოს რკინიგზასათვის“ ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შესასრულებელი ვალდებულების 0,1%, რამაც ჯამში შეადგინა 262 202 ლარი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევით არასწორად გამოიყენა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, კერძოდ, 976-ე მუხლი და უსამართლოდ დააკისრა შპს „საქართველოს რკინიგზას“ ვალდებულება, დაებრუნებინა შპს „ვიქტორიასათვის“ 301 532 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ვიქტორიას“ და შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ უნდა მიეწოდებინა სალიანდაგო ზედნაშენი მასალა - 4 108 822 ლარად ღირებული წიწვოვანი ჯიშის ხის 86218 ცალი განძელი.

შპს „ვიქტორიას“ საქონლის მიწოდება უნდა დაეწყო 2006 წლის 4 ოქტომბრიდან. საქონელი უნდა მიეწოდებინა 2006 წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო მეორე ნახევარი - 2006 წლის 29 დეკემბრამდე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ, მხარეთა შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულების საბანკო გარანტია (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%) უპირობოდ იქნება გამოყენებული შპს „ვიქტორიას“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. მხარეების დამატებით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზეც.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ შპს „ვიქტორიას“ გადაურიცხა ავანსის სახით 2 0554 411 ლარი.

შპს „ვიქტორიამ“ წარუდგინა შპს „საქართველოს რკინიგზას“ 205441 ლარისა და 2054411 ლარის საბანკო გარანტიები.

სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ შპს „ვიქტორიამ“ შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიაწოდა სულ 171 458 ლარის ღირებულების საქონელი, მიწოდება განხორციელდა 2006 წლის 18 დეკემბერს და 2007 წლის 27 იანვარს. 2007 წლის 30 იანვარს შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ხელშეკრულების საბანკო საგარანტო თანხიდან მიიღო 201852 ლარი, ხოლო ავანსის საბანკო გა-

რანტიიდან - 1 982 633 ლარი. შპს "ვიქტორიამ" დააკმაყოფილა გარანტის რეგრესული მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში რუსეთისა და საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლა იყო შეწყვეტილი. საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის წერილის თანახმად, 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე შეიზღუდა რუსეთიდან საქართველოში საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა, ხოლო ამავე ორგანიზაციის 2006 წლის 27 დეკემბრის წერილის თანახმად, დასტურდება რუსეთ-საქართველოს შორის საზღვაო, საჰაერო, სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერების ფაქტი 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფორს-მაჟორი, ანუ დაუძლეველი ძალა შეუძლებელს ხდის ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, ამდენად, ფორს-მაჟორული სიტუაცია ნიშნავს მხარეთა დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს მოვალის ბრალს.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 22.3 პუნქტის თანახმად ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ხელშემკვრელმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ შპს "ვიქტორიას" მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა არ იყო გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად, რადგან პირველი მიწოდება ვადის დარღვევით, მაგრამ მაინც განახორციელა 2006 წლის 18 დეკემბერს და შემდგომ ამავე წლის 28 დეკემბერს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორის მიერ მითითებული მოსაზრებები არ გამორიცხავს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებების) არსებობის ფაქტს და დაუძლეველი ძალის შედეგად შპს "ვიქტორიას" მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას.

დაუძლეველი ძალის შეფასების დროს მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობას, თუ რამდენად შეუძლებელი იყო მხარის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაუძლეველი ძალის გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება.

კასატორის მიერ არ დასტურდება ხელშეკრულების შესრულების პერიოდში დაუძლეველი ძალის არ არსებობის ფაქტი, რაც უნდა შეეფასებინა და არ შეაფასა ან არასათანადოთ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუძლეველი ძალის არსებობის ფაქტი გამორიცხავს ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაშიც, თუ მიწოდება განხორციელდა ვადის გადაცილებით დაუძლეველი ძალის არსებობის გამო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს "ვიქტორიას" შეეძლო მოეთხოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული "სხვა საფუძვლის გამო" შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

განჩინება

#ას-466-707-08

25 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 17 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ჯ-შვილმა მოპასუხეების - გ. ჯ-ერისა და ნოტარიუს ნ. შ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ნოტარიუს ნ. შ-შვილის მიერ დამოწმებული #1-3989 სა-ნოტარო აქტის გაუქმება, მოპასუხე გ. ჯ-ერთან 2003 წლის 18 ნოემბერს დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, აღნიშნული ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის მოპასუხეებისაგან სოლიდარულად - 2700 აშშ დოლარის ოდენობით ანაზღაურება და თბილისში, ... IV კვარტლის მე-13 კორპუსში მდებარე #15 ბინიდან მოპასუხისა და მისი თანმხლები პირების გამოსახლება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2003 წლის 18 ნოემბერს ნ. ჯ-შვილმა მოპასუხე გ. ჯ-ერთან დადო განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა 18 თვის მანძილზე 9150 აშშ დოლარის გადახდას. ნოტარიუსმა ხელშეკრულება გააფორმა სამოქალაქო კოდექსის 506-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" პუნქტის დარღვევით, კერძოდ, მასში მითითებული არ ყოფილა ნაწილ-ნაწილ გადასახდელი თანხის ოდენობა და მისი გადახდის გრაფიკი, რამაც მოსარჩელე წინასწარ გაუთვალისწინებელ მდგომარეობაში ჩააყენა. მყიდველს ნ. ჯ-შვილისათვის სარჩელის შეტანის დღემდე არ გადაუხდია ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. ბინების ფასების კატასტროფული ზრდის გამო მოსარჩელისათვის შეუძლებელია იმავე უბანში ბინის შეძენა. კანონის ზემოთითხილული ნორმის შესაბამისად ხელშეკრულებაში გადახდის გრაფიკისა და წლიური პროცენტის ოდენობის მითითების შემთხვევაში ნ. ჯ-შვილის უფლებების დარღვევა გამოირიცხებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 20 მაისის განჩინებით ნ. ჯ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 აგვისტოს განჩინებით ნ. ჯ-შვილის სარჩელი განსჯადობის დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით ნ. ჯ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2006 წლის 21 მარტს ნ. ჯ-შვილმა იმავე სასამართლოში დაზუსტებული სასარჩელო განცხადება წარადგინა მოპასუხე გ. ჯ-ერის მიმართ. ამჯერად მოსარჩელემ მოითხოვა: მოპასუხესთან 2003 წლის 18 ნოემბერს დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება თბილისში, ... IV კვარტლის მე-13 კორპუსში მდებარე #15 ბინიდან, საჯარო რეესტრში აღნიშნული ბინის მის სახელზე აღრიცხვა და გ. ჯ-ერისათვის 2005 წლის 18 მაისიდან სადავო ბინის გამოთავისუფლებამდე ყოველთვიურად 150 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში ნ. ჯ-შვილმა მიუთითა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 9150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გ. ჯ-ერს უნდა გადაეხადა 2005 წლის 18 მაისამდე, რაც მას არ გადაუხდია. ხელშეკრულების დადების შემდეგ დაიწყო ბინების ფასების კატასტროფული ზრდა, რისი გათვალისწინებაც ხელშეკრულების დადების მომენტში მას არ შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ ხელშეკრულებას საერთოდ არ დადებდა, ან დადებდა გაცილებით დიდი საფასურით. ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, 2005 წლის 13 მაისს, მოსარჩელემ წერილობით მიმართა გ. ჯ-ერს და მოითხოვა ბინის საფასურის გადახდა იმ განსხვავებების გათვალისწინებით, რაც ბინის ღირებულებამ განიცადა ხელშეკრულების დადების შემდეგ, რაზეც მან უარი მიიღო. მოსარჩელის მტკიცებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სრულიად ასაბუთებდა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების აუცილებლობას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილი ყოფილიყო ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. სწორედ კანონის დასახელებული ნორმა წარმოადგენდა იმ ძირითადი სამართლებრივ საფუძველს, რაც, მოსარჩელის აზრით, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას განაპირობებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილი ყოფილიყო ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მითითებულ ნორმაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა გამწვანებულია ხელშეკრულების შესრულება და თუ ის მაინც შესრულდება, მიიმე ეკონომიკურ შედეგებს გამოიწვევს ხელშეკრულების ერთი ან ორივე მხარისათვის იმ მიზეზით, რომ არსებითად შეიცვალა ის გარემოებები, რომლებიდანაც მხარეები გამოდიოდნენ ხელშეკრულების დადებისას. სასამართლოს მოსაზრებით, გარემოება იმგვარად შეცვლილად რომ ყოფილიყო მიჩნეული, როგორსაც დასახელებულ ნორმაში კანონმდებელი გულისხმობდა, მას უნდა გაერთულებინა შესრულება იმდენად, რომ მხარის (მოსარჩელის) შესრულების მოთხოვნა, მიუხედავად მეორე მხარის ყოველგვარი არგუმენტისა, წინააღმდეგობაში უნდა მოსულიყო სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებთან. მაგალითისათვის, აღნიშნული შესაძლებელია განპირობებული ყოფილიყო შესრულების ღირებულების გაზრდით, რაც, თავის მხრივ, ვალდებულების ერთ-ერთი მხარისათვის შესრულების ხარჯის არსებით გაზრდასაც შეიძლებოდა დაკავშირებოდა, თუმცა შესრულების ღირებულების გაზრდის საზომი ობიექტური გარემოებანი უნდა ყოფილიყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის "ა" ქვეპუნქტზე დაყრდნობით, საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია 2004-2005 წლებში, ქ. თბილისში უძრავ ქონებაზე - ბინაზე საბაზრო ღირებულების მკვეთრი ზრდა. ამის მიუხედავად, სასამართლომ დასახელებული გარემოება - ბინაზე ფასის ზრდა არ მიიჩნია კანონით ნაგულისხმევ "შეცვლილ გარემოებად", რამდენადაც ჯერ ერთი, ბინის ფასი (საბაზრო ღირებულება) ხელშეკრულების საფუძველს არ წარმოადგენდა და მეორეც, იგი ხელშეკრულების საფუძველადაც რომ მიჩნეულიყო, საქმის მასალებიდან გამომდინარე,

შეიძლება დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს საქართველოში (და არა მარტო) ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არსებული ფასების ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, შეეძლო გაეთვალისწინებინა წელიწადნახევრის პერიოდში ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ნასყიდობის ფასი მას შემდეგ გახადა სადავო, რაც მის მიერ ნავარაუდევ ფასზე მეტი მოსთხოვეს შესაძენად გათვალისწინებულ ბინაში. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2005 წლის მაისისთვის სადავო ბინის შეძენა შეუძლებელი იქნებოდა არა მარტო ფასების რადიკალური ზრდის შემთხვევაში, არამედ მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიც, რისი გათვალისწინებაც მოსარჩელეს შეეძლო მის მიერ ხელშეკრულების დადების დროს არსებული ვითარებიდან გამომდინარე.

ბინების ზრდის "შეცვლილ გარემოებად" მიჩნევის შემთხვევაშიც საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა, რამდენადაც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება უნდა მომხდარიყო რაც შეიძლება სწრაფად ამ გარემოებათა წარმოშობიდან. რასაკვირველია, თუ გარემოების შეცვლა ხდებოდა თანდათანობით, მოთხოვნის დრო შეიძლებოდა გაზრდილიყო, მაგრამ სასამართლომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნით მოსარჩელის მოპასუხისათვის ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 5 დღით ადრე მიმართვა (მით უფრო, მოპასუხის მიერ საცხოვრებელ ბინაში მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფონზე) არ მიიჩნია შეცვლილი გარემოების წარმოშობიდან დასაშვებ პერიოდში განხორციელებულ მოთხოვნად.

რამდენადაც გ. ჯ-ერისა და მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა დაკავშირებული იყო მისი პირველი მოთხოვნის - 2003 წლის 18 ნოემბრის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე განხილვის შედეგთან, სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაუკმაყოფილებლობამ საფუძველი გამოაცალა სადავო ბინიდან მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების შესახებ მოთხოვნასაც.

2005 წლის 18 მაისიდან ყოველთვიურად 150 აშშ დოლარის ოდენობით ბინის ქირის გადახდის მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებდა მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ. სასამართლო დაეთანხმა მოპასუხის პოზიციას იმის თაობაზე, რომ 2003 წლის 18 ნოემბრის ხელშეკრულებით მოპასუხე არ იყო ვალდებული ნასყიდობის ფასი გადაეხადა კონკრეტული გრაფიკით (ასეთი გრაფიკი ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ იყო) 2005 წლის 18 მაისამდე. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების ვადაში, 2005 წლის 16-17 მაისს მოპასუხის მცდელობას - ნასყიდობის ფასი გადაეხადა ნ. ჯ-შვილისათვის, შედეგი არ მოჰყოლია (თავად მოსარჩელემ თავი აარიდა ნასყიდობის ფასის აღებას). რამდენადაც დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, სასამართლომ ზემომითითებული მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. ჯ-ერთან 2003 წლის 18 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების გაუქმება, სადავო ბინიდან მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება და საჯარო რეესტრში ბინის მის სახელზე აღრიცხვა.

აპელანტის მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი მას სრულ უფლებას ანიჭებდა ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება მოეთხოვა. ამგვარ გარემოებად ნ. ჯ-შვილი ბინების ფასის აშკარა ზრდაზე მიუთითებდა. საქმის განმხილველმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბინის ფასი ხელშეკრულების საფუძველს არ წარმოადგენდა, მაშინ როცა ფასზე შეთანხმების გარეშე ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა. ბუნებრივია, ფასების უზრალო ზრდა გამყიდველს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისაგან არ ათავისუფლებდა, მაგრამ ფასის 4-ჯერ გაზრდა ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ შეცვლილ გარემოებად უნდა მიჩნეულიყო. ასევე სრულიად ლოგიკურია, რომ ფასების ზრდის გათვალისწინების პირობებში (რასაც მის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი), მოსარჩელე ნასყიდობის ხელშეკრულებას აღარ დადებდა ან დადებდა ნასყიდობის იმ ფასად, რაც შესაბამისობაში იქნებოდა თანხის გადახდის დროს არსებულ საბაზრო ღირებულებასთან. ეს კი მას ოჯახის წევრებთან ერთად უბინაოდ დარჩენას ააცილებდა.

აპელანტი არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში იმაზე მითითებას, რომ მოსარჩელეს საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არსებული ფასების ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, შეეძლო გაეთვალისწინებინა წელიწადნახევრის განმავლობაში ფასების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ. აპელანტის მტკიცებით, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში საუბარია არა იმაზე, შეეძლო თუ არა მხარეს გარემოებების ცვლილებათა გათვალისწინება, არამედ

იმაზე, რეალურად ითვალისწინებდა თუ არა იგი ამ ცვლილებებს. ამასთან, 2003 წლის ნოემბრამდე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში ბინების ფასი შედარებით სტაბილური იყო. შესაბამისად, ამ უმნიშვნელო ცვლილებების გამო ნ. ჯ-ში არ შექმნილი იქნა იმის გათვალისწინება, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში ბინის საბაზრო ღირებულება 4-ჯერ გაიზარდებოდა.

აპელანტი მცდარად მიიჩნევდა სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს გ. ჯ-ერის მიმართ ნასყიდობის ფასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს. 2004 წლის შემოდგომიდან მოყოლებული (როცა შესამჩნევი გახდა ბინაზე ფასების ზრდა) მოსარჩელე რამდენჯერმე ესაუბრა გ. ჯ-ერს შექმნილ პრობლემასთან დაკავშირებით, თუმცა წერილობით მიმართვა საჭიროდ არ ჩათვალა ახლობლური ურთიერთობის გამო.

რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნასთან მიმართებაში რაიმე კონკრეტულ ვადაზე არ მიუთითებდა, აპელანტმა მიიჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნის უფლება მხარეს ხელშეკრულების შესრულებამდე ნებისმიერ დროს გააჩნდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის საოქმო განჩინებით გ. ჯ-ერთად ერთად მოცემულ საქმეში თანამოპასუხეებად ჩაებნენ ჯულიეტა წიკლაური და მათი არასრულწლოვანი შვილები: გ. და ნ. ჯ-ერები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განჩინებით ნ. ჯ-შილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში ბინებზე ფასების ზრდა არ უნდა ჩათვლილიყო შეცვლილ გარემოებებთან ნასყიდობის ხელშეკრულების მისადაგების საფუძველად. საქმეში არსებული მასალების თანახმად ბინებზე არსებული ფასების ზრდა გავლენას ვერ იქონიებდა მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე, რამდენადაც მითითებულ გარემოებებს არ გამოუწვევია ხელშეკრულების ეკონომიკური საფუძვლის მკვეთრად და კარდინალურად შეცვლა და სერიოზულად არ დაურღვევია მხარეთა ურთიერთვალდებულებათა ბალანსი.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დადების შემდეგ ხელშეკრულების დადების საფუძვლის - მისი ფასის აშკარად შეცვლის შემთხვევაშიც, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების თაობაზე აპელანტის განცხადება არ ემყარებოდა კეთილსინდისიერების პრინციპს, ვინაიდან განცხადება მხარის მიერ გაკეთებული იყო ვალდებული პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე 5 დღით ადრე, მაშინ როცა შეცვლილი გარემოებები არსებობდა აღნიშნულ დრომდე რამდენიმე ხნით ადრე, რაც დასტურდებოდა აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, ინდივიდუალური აუდიტორის "ი. მ-ძის" მიერ 2007 წლის 1 ნოემბერს გაცემული აუდიტორული დასკვნით ირკვეოდა, რომ ბინებზე ფასების ზრდა დაიწყო 2003 წლის დეკემბრიდან და იზრდებოდა ყოველთვიურად.

რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ მხარის მიერ მითითებული შეცვლილი გარემოებები არ მიიჩნია წარმოდგენილი ხელშეკრულებისადმი მისადაგებულად, შესაბამისად, ასევე მიიჩნია, რომ სარჩელის დანარჩენ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველი ასევე არ არსებობდა. იმავდროულად, 2005 წლის 18 მაისიდან მოწინააღმდეგე მხარისთვის ზიანის სახით 150 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, რასაც აპელანტის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-შილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხესთან 2003 წლის 18 ნოემბერს დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება თბილისში, ... IV კვარტლის მე-13 კორპუსში მდებარე #15 ბინიდან, საჯარო რეესტრში აღნიშნული ბინის მის სახელზე აღრიცხვა და გ. ჯ-ერისათვის 2005 წლის 18 მაისიდან სადავო ბინის გამოთავისუფლებამდე ყოველთვიურად 150 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, ასევე არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლი ვალდებულების დეპონირებით შეწყვეტის შესახებ. სააპელაციო სასამართლო, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ 2004-2005 წლებში თბილისში უძრავ ქონებაზე საბაზრო ღირებულება გაიზარდა მკვეთრად, თუმცა იმავდროულად აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადებიდან თითქმის წელიწადნახევრის შემდეგ მოსარჩელის მიერ წამოყენებული პრეტენზია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეცვლილი გარემოებების წარმოშობიდან დასაშვებ პერიოდში განხორციელებულ მოთხოვნად. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშ-

ნული მსჯელობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. აქედან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ არასწორია სასამართლოს მსჯელობა, თუ რატომ არ განაცხადა ნ. ჯ-შვილმა 2003 წლის ნოემბრიდან 2005 წლის 13 მაისამდე გ. ჯ-ერის მიმართ ნასყიდობის ფასზე პრეტენზია, მაშინ როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლო ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2005 წელს ქ. თბილისში უძრავ ქონებაზე საბაზრო ფასი იყო გაზრდილი.

გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია, თითქოსდა ნ. ჯ-შვილმა უარი თქვა გ. ჯ-ერისგან მიეღო ვალდებულების შესრულება და ამის მტკიცებულებად მოჰყავს ის ფაქტი, რომ გ. ჯ-ერმა ბანკში გახსნა ვალუტის ანგარიში, რომელშიც ჩარიცხა 10000 აშშ დოლარი. სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლი აწესრიგებს იმ შემთხვევას, როდესაც კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, მოვალე უფლებამოსილია ფული შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ ნოტარიუსმა შ-შვილმა გ. ჯ-ერს უარი უთხრა თანხის დეპონირებაზე, მაგრამ ეს გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ, რადგან, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დებულების 69-ე-72-ე მუხლების თანახმად, მას შეეძლო დეპონირება მოეხდინა კრედიტორის ადგილმდებარეობის მიხედვით არსებულ ნოტარიუსებთან და ასეთი არაერთია არსებულ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, გ. ჯ-ერის მიერ საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანა ვერ ჩაითვლება ვალდებულების შეწყვეტის კანონით დადგენილ საფუძველად, ასევე, ვალდებულების შესრულებისათვის კეთილსინდისიერების ფარგლებში შესრულებულ მოქმედებად.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ მათი სასარჩელო მოთხოვნები 2006 წლის 21 მარტის სარჩელით დაზუსტდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: 1. ხელშეკრულებიდან გასვლა; 2. სანოტარო აქტის გაუქმება; 3. ზიანის ანაზღაურება; 4. მოპასუხეთა გამოსახლება სადავო ბინიდან. სააპელაციო სასამართლოში განმარტებულ იქნა, რომ მათი მოთხოვნა არ ნიშნავს ხელშეკრულების გაუქმებას, რაც განიხილა სააპელაციო სასამართლომ. ასევე გაურკვეველია, თუ რა კრიტერიუმებით დაადგინეს და რომელი მუხლი გამოიყენეს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა იმ მსჯელობის გასატარებლად, რომ ვადაგასულად ჩათვალოს შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების თაობაზე აპელანტის გაფრთხილება გადახდის ვადის დასრულებამდე 5 დღით ადრე, როცა კანონი არ აწესებს ასეთ შეზღუდვებს, მით უმეტეს, რომ გადახდის ვადის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფასის უწყვეტ ზრდას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინებით ნ. ჯ-შვილის (წარმომადგენელი ლ. ლ-ია) საკასაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების სახით ყოველთვიურად 150 აშშ დოლარის ოდენობით ბინის ქირის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში კასატორის განცხადების საფუძველზე განუხილველად იქნა დატოვებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2003 წლის 18 ნოემბერს ნ. ჯ-შვილმა მოპასუხე გ. ჯ-ერთან დადო ბინის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გ. ჯ-ერს ნ. ჯ-შვილისათვის ნასყიდობის ფასი - 9150 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 18 თვის განმავლობაში ანუ 2005 წლის 18 მაისამდე;

2005 წლის 13 მაისს მოსარჩელემ წერილობით მიმართა გ. ჯ-ერს და მოითხოვა ბინის გაზრდილი საფასურის გადახდა იმის გათვალისწინებით, რაც ბინის ღირებულებამ განიცადა ხელშეკრულების დადების შემდეგ, რაზედაც მან უარი მიიღო;

წელიწადნახევრის განმავლობაში ბინის საბაზრო ღირებულება დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო არ არის ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები. სადავოა, რამდენად არსებობს მოცემულ შემთხვევაში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში ბინებზე ფასების ზრდა არ წარმოადგენს იმ შეცვლილ გარემოებას, რაც, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად, მხარეს უფლებას აძლევს, მოითხოვოს შეცვლილ გარემოებისადმი ხელშეკრულების მისადაგება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ასეთი გარემოებები შეიძლება შეიცვალოს სრულიად გამონაკლის შემთხვევებში, რისი გონივრული გათვალისწინებაც მხარეთა მიერ სრულიად შეუძლებელია, რაც ისეთი მოულოდნელი და განსაკუთრებულია, რომ მისი მხედველობაში მიუღებლობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან. საქართველოში ბინების ფასების ზრდის ტენდენციის პირობებში კასატორს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, ევარაუდა მომავალი წელიწადნახევრის მანძილზე ბინის ფასის კვლავ ზრდის მოსალოდნელობის შესახებ და ამის გათვალისწინებით განესაზღვრა ბინის საფასურის გადახდის გრაფიკი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მისი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ხელშეკრულებიდან გასვლა და არა ხელშეკრულების გაუქმება, რაც განიხილა სააპელაციო სასამართლომ. პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი 2006 წლის 21 მარტის დაზუსტებული სარჩელით, რაზეც კასატორი მიუთითებს, მას მოთხოვნა ხელშეკრულების ნაწილში საბოლოო სახით ჩამოყალიბებული აქვს იმგვარად, რომ ითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას. სწორედ მისი ეს მოთხოვნა განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ. სააპელაციო საჩივარშიც კასატორის მოთხოვნას წარმოადგენდა ხელშეკრულების გაუქმება და არა ხელშეკრულებიდან გასვლა. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი ამ მუხლის საფუძველზე მხარემ შეიძლება მოითხოვოს შეცვლილ გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება ან ხელშეკრულებაზე უარის თქმა, რაც მოცემულ შემთხვევაში კასატორს არ მოუთხოვია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია საქმის გარემოებათა სწორი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. მოვალის პასუხისმგებლობა ვადის გადაცილების გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-766-981-08 14 აპრილი 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული თანხების ჩამოწერა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ყაზბეგი-ფშაველმა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ, მოპასუხის მიერ დაკისრებული სარკინიგზო ვაგონით სარგებლობით გამოწვეული მოცდენის საფასურის - 46.440 ლარის ჩამოწერის და თანხის საზოგადოებისათვის დაბრუნების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; კერძოდ, მოპასუხეს შპს „საქართველოს რკინიგზას“ მოსარჩელის შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ სასარგებლოდ დაეკისრა 46.440 (დარიცხული თანხის) და მოსარჩელის მიერ გადახდილი (სახელმწიფო ბაჟის)

1393,70 ლარის გადახდა; მოსარჩელის მოთხოვნა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ყაზბეგი-ფშაველსა“ და ირანულ საზოგადოება „კამ-მერციალ არამ ბავეგარ ექს იმპს“ შორის დაიდო 600 კუბური მეტრი ხის მასალის მიწოდების ხელშეკრულება. ირანში აღნიშნული საზოგადოებისათვის ხის მასალის მიწოდების მიზნით ტვირთი გადაეცა გადამზიდველს - შპს „საქართველოს რკინიგზას“. 2006 წლის 26 სექტემბერს შპს „ყაზბეგი-ფშაველმა“ ქ.თელავში დატვირთა სამი ვაგონი ხის მასალა ირანში გასატანად. მასალის რაოდენობა დაფიქსირდა საბაჟო დეკლარაციებში, რომლის თანახმად, ტვირთის რაოდენობამ შეადგინა 180 კუბური მეტრი და განზაჟდა ამავე რაოდენობით.

2006 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ ხელმძღვანელი პირების მიმართ საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობის უძრავი ნივთის გადატანის ფაქტზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 1 ოქტომბრის წერილის საფუძველზე, შპს „საქართველოს რკინიგზამ“ დააყოვნა სამი ვაგონი, რომელშიც ჩატვირთული იყო შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ კუთვნილი ხე-ტყის მასალა.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შპს „ყაზბეგი-ფშაველს“ დაეკისრა ვაგონების მოცდენის საფასური 46.440 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა 2007 წლის 28 თებერვალს ნოდარ ალიაძინმა შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე გადაუხადა შპს „საქართველოს რკინიგზას“.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მიერ მითითებულ გარემოება, რომ შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ მიერ საბაჟო დეკლარაციაში ექსპორტირებული მასალის შესახებ არასწორმა მითითებამ გამოიწვია ვაგონების დაყოვნება.

პალატამ მიიჩნია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ ზიანი არ მიდგომია ზედნადებში არასწორად მითითებული მონაცემის გამო, ვინაიდან, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ სამი ვაგონი, მასში მოთავსებული ხის მასალა და მისი თანმდევი დოკუმენტაცია მიღებული იქნა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. ასევე დადგენილია, რომ ოპერატიული ინფორმაცია არ იქნა დადასტურებული.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა რკინიგზის მოსაზრება, რომ შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ მიერ საბაჟო დეკლარაციასა და ზედნადებში ექსპორტირებული ხის მასალის შესახებ უსწორო მონაცემის მითითებამ გამოიწვია 3 ვაგონის დაყოვნება, რაზეც რკინიგზამ მართებულად დაარიცხა 46 440 ლარი.

კასატორის აზრით, საგამოძიებო მასალებით დადასტურდა, რომ 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 31 იანვრამდე პერიოდში შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ კუთვნილი 196,46 კუბ.მ ხის მასალა ჩატვირთული და გაჩერებული იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ 3 ვაგონში, ანუ ამ 3 ვაგონს ფლობდა და სარგებლობდა „ყაზბეგი-ფშაველი“ და შესაბამისად, რკინიგზას არ ჰქონდა ამ ვაგონებით სხვა გადაზიდვის განხორციელებისა და შემოსავლის მიღების საშუალება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ყაზბეგი-ფშაველი“ აწარმოებდა ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვას. 2006 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წერილის საფუძველზე შეყოვნდა შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ ტვირთი, რის გამოც ადგილი ჰქონდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ვაგონების მოცდენას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ მიერ არ ყოფილა ჩადენილი დანაშაული, ასევე არ არის დადასტურებული მის მიერ საბაჟო წესების დარღვევა, მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ვაგონების მოცდენისათვის. სააკასაციო პალატა არ იზიარ

რებს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობს როგორც საქმეში არსებული მასალებიდან, ასევე კანონის მოთხოვნებიდან.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოხდა შპს "საქართველოს რკინიგზის" ვაგონების მოცდენა. უდავოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნულში ბრალი რკინიგზას არ მიუძღვის. ხოლო ყოველი ვაგონის მოცდენა შესაბამისი ანაზღაურების გარეშე გულისხმობს რკინიგზისათვის ზიანის მიყენებას. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ რკინიგზა პასუხს აგებს მისთვის მიყენებული ზიანისათვის, ისე რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის ასეთი შედეგის დადგომამდე.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ამ კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებითა და შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრული პასუხისმგებლობისა. სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისათვისაც, თუ არ დამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლება დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შპს "ყაზბეგი-ფშაველა" გადააცილა ვაგონებში ტვირთის განთავსების ვადას. ამასთან, ტვირთი გაჩერდა ტვირთმფლობელის მიზეზით და ასეთი შედეგი არანაირად არ არის განპირობებული რკინიგზის ბრალით ან მიზეზით. ვაგონის მოცდენისას თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ზიანი ადგება რკინიგზას. სასამართლო ვალდებულია დაიცავს როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის ინტერესი; მაგრამ ერთი მხარის ინტერესების დაცვით არ შეიძლება შეილახოს მეორე მხარისათვის კანონით მინიჭებული უფლება. კანონმდებლობა შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლებამოსილს ხდის ტვირთის მფლობელს გადაახდევინოს ვაგონების სარგებლობის საფასური. ამ უფლების უგულვებელყოფის შემთხვევაში კი ირღვევა რკინიგზის უფლებები და შესაბამისად ირღვევა კანონის მოთხოვნაც.

პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 45-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის საფუძველზე ტვირთამგზავნი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან თავისუფლდება, თუ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა აკრძალა ტვირთის დატვირთვა ან გადმოტვირთვა, ასევე, თუ მან შეზღუდა ან შეწყვიტა ტვირთის დატვირთვა. როგორც აღნიშნული ნორმის სათაურიდანვე ირკვევა, აღნიშნული ნორმა ეხება სატრანსპორტო საშუალებათა გამოუყოფლობისა და გამოუყენლობის შემთხვევებს, რაც არ მოხდარა მოცემულ შემთხვევაში. ხოლო უფლებამოსილ პირში შეიძლება ვიგულისხმოთ მხოლოდდამხოლოდ რკინიგზის უფლებამოსილი თანამშრომელი და არა ნებისმიერი პირი, ვინც აჩერებს ტვირთს.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებას. მართალია, შპს "ყაზბეგი-ფშაველის" მიმართ არ დადგენილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი მაგრამ ტვირთი გაჩერდა მისი მიზეზით, ხოლო ამ ვაგონების დაცლის დაყოვნების პერიოდში რკინიგზამ ვერ შეძლო ვაგონების დანიშნულებისამებრ გამოყენება და ვერ მიიღო ის შემოსავალი, რასაც იგი ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად იღებს. ასეთ შემთხვევას კი სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლი ვადის გადამცილებლობისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას დაწესებას უკავშირებს. იგივეა მითითებული საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-7 ნაწილშიც. აღნიშნული ნორმის თანახმად, ვაგონით სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულება დაყოვნების მთელი პერიოდისათვის ეკისრება ტვირთმფლობელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ შპს "ყაზბეგი-ფშაველს" სწორად გადაახდევინა შპს "საქართველოს რკინიგზამ" ვაგონების მოცდენისათვის თანხა. ეს თანხა კი არ წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგს, ამიტომ იგი არ ექვემდებარება დაბრუნებას.

ზემოთ მითითებულ გარემოებათა გათვლისწინებით, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას და ახალი გადაწყვეტილები მიიღებს. სასამართლო თვლის, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და იგი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

შპს "ყაზბეგი-ფშაველის" სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

შპს "ყაზბეგი-ფშაველს" დაეკისროს შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 4248,7 ლარის გადახდა შპს "საქართველოს რკინიგზის" სასარგებლოდ;

გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოვალის პასუხისმგებლობა ვადის გადაცილების გამო

განჩინება

#ას-910-1118-08

24 აპრილი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „მორავია ჯორჯიას“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „საქართველოს რკინიგზას“ დაევალა შპს „მორავია ჯორჯიას“ კუთვნილი რკინიგზის ფოთის სადგურში არსებული 28 ვაგონში ჩატვირთული 1400 ტონა მანგანუმის კონცენტრანტის გადაზიდვა დანიშნულების ადგილამდე. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი შპს „მორავია ჯორჯიას“ მიმართ არ დაკმაყოფილდა და მას უარი ეთქვა ვაგონების მოცდენის გამო მიყენებული ზიანის 603 375 ლარის ანაზღაურებაზე, რაც სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ;

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის 1 იანვარს შპს „მორავია ჯორჯიასა“ და სლოვაკეთის ფირმა „მინერფინს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, შპს „მორავია ჯორჯიას“ მიერ ფირმა „მინერფინსათვის“ მანგანუმის მადნისა და კონცენტრანტის მიყიდვის შესახებ.

შპს „მორავია ჯორჯიამ“ ფირმა „მინერფინს“ წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესასრულებად ანუ შეძენილი პროდუქციის ხელშეკრულების მხარისათვის მიწოდების მიზნით 2005 წლის თებერვლის ბოლოს შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ დადო გადაზიდვის ხელშეკრულება.

2005 წლის 18 და 22 თებერვალს შპს „მორავია ჯორჯიამ“ გადაიხადა გადაზიდვის ღირებულება ჯამში 11 398,18 ლარი.

2005 წლის 3 თებერვლის სასამართლოს განჩინებით, ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა სს „ჭიათურმანგანუმის“ განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა დაედო მანგანუმის მწარმოებელი იურიდიული პირების მიერ მანგანუმის კონცენტრანტით დატვირთულ ყველა ვაგონს; შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ სადგურ ჭიათურას აეკრძალა მანგანუმით დატვირთული ვაგონების გადაზავნა, გარდა სს „ჭიათურმანგანუმისა“;

2005 წლის 3 თებერვლის განჩინება ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ შპს „მორავია ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე განმარტა და მიუთითა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ ფილიალ სადგურ ჭიათურისათვის დაწესებული აკრძალვა ვრცელდებოდა მხოლოდ განჩინების ჩამონათვალში მითითებულ იურიდიულ პირებზე და არა სხვა რომელიმე პირზე.

2005 წლის 1 მარტს ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ სს „ჭიათურმანგანუმის“ განცხადების საფუძველზე აუკრძალა შპს „საქართველოს რკინიგზას“ და მის ფილიალებს - სადგურ ზესტაფონს და სადგურ ჭიათურას, მანგანუმის მადნით და მანგანუმის კონცენტრატით დატვირთული ვაგონების გაზავნა და სს „ჭიათურმანგანუმისა“;

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 მარტის განჩინების საფუძველზე შპს „მორავია ჯორჯიას“ ტვირთით დატვირთული ვაგონები გაჩერდა სადგურ სამტრედიისში;

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის 2005 წლის 23 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „მორავია ჯორჯიას“ განცხადება და შპს „საქართველოს რკინიგზას“ დაევალა სამტრედიის სადგურში გაჩერებულ 28 ვაგონში დატვირთული შპს „მორავია ჯორჯიას“ კუთვნილი მანგანუმის კონცენტრანტის გადაზიდვა დანიშნულების ადგილზე;

2005 წლის 1 მარტიდან 2005 წლის 23 მარტამდე პერიოდში ვაგონების მოცდენის გამო შპს „მორავია ჯორჯიას“ დაერიცხა ვაგონით სარგებლობის საფასური და ტვირთის შენახვის ხარჯები 28 877 ლარის ოდენობით, რაც მის მიერ გადახდილ იქნა;

2005 წლის 25 მარტის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა სს „ჭიათურმანგანუმის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით და ყადაღა დაედო შპს „მორავია ჯორჯიას“ სახელზე რიცხულ მანგანუმის კონცენტრატს, რომელიც განთავსებული იყო შპს „მორავია ჯორჯიას“ სახელზე გამოყოფილ ვაგონებში და აიკრძალა აღნიშნული პროდუქციის გადაადგილება. ამ განჩინების საფუძველზე რკინიგზის ფოთის სადგურზე გაჩერებული იქნა შპს „მორავია-ჯორჯიას“ კუთვნილი მანგანუმის კონცენტრატით დატვირთული 28 ვაგონი;

შპს „მორავია ჯორჯიას“ კერძო საჩივრის საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცობის საქმეთა პალატამ 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით, დაევალა სს „ჭიათურმანგანუმს“ შპს „მორავია ჯორჯიასათვის“ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა - 200 000 ლარით;

სს „ჭიათურმანგანუმის“ მიერ უზრუნველყოფის წარმოუდგენლობის გამო, გაუქმდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 მარტის განჩინება;

2008 წლის 8 აგვისტოს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც შპს „საქართველოს რკინიგზას“ დაერთო ნება შპს „მორავია-ჯორჯიას“ მიმართ შეესრულებინა გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

სს „საქართველოს რკინიგზამ“ 2005 წლის 25 მარტიდან 2005 წლის 08 აგვისტომდე პერიოდისათვის ვაგონების მოცდენისა და ტვირთის შენახვის ღირებულება - დღე-ღამეში 2030,84 ლარი - დაარიცხა შპს „მორავია ჯორჯიას“;

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ შპს „მორავია ჯორჯიას“ სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენს რკინიგზასთან შეთანხმებული გადაზიდვის საზღაურის გადახდა სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლისა და საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და დაადგინა, რომ შპს „მორავია-ჯორჯიამ“ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულება შეასრულა - წინასწარ გადაიხადა გადაზიდვის ღირებულება, რის შედეგადაც რკინიგზას წარმოეშვა ვალდებულება შპს „მორავია-ჯორჯიას“ კუთვნილი ტვირთი გადაეზიდა დანიშნულების ადგილზე.

პალატამ მიიჩნია, რომ 2005 წლის 25 მარტიდან 2005 წლის 8 აგვისტომდე, რკინიგზის ფოთის სადგურში ვაგონების მოცდენის (დგომის) გამო დარიცხული თანხის გადახდის ვალდებულება შპს „მორავია ჯორჯიას“ არ ჰქონდა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით სასამართლოს განჩინების საფუძველზე რკინიგზის მიერ ვაგონების გაჩერების (მოცდენის) გამო პასუხისმგებლობა ტვირთგამგზავნზე არ არის დაკისრებული. შპს „მორავია-ჯორჯიამ“ დაწესებულ ვადაში დატვირთა მისთვის გამოყოფილი ვაგონები, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ტვირთგამგზავნის ვაგონების დატვირთვა არ დაუგვიანებია, არც ვაგონი დაგვიანებით დაუბრუნებია და არც ვაგონის მიღება დაუყოვნებია, ანუ არ არსებობს არც ერთი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომწვევი გარემოება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“.

კასატორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით, სს „ჭიათურმანგანუმს“ დაევალა „მორავია-ჯორჯიასათვის“ მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფად, 20 დღის ვადაში 200 000 ლარის დეპოზიტზე განთავსება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ამდენად, 2005 წლის 25 მარტიდან 8 აგვისტომდე, მანგანუმის კონცენტრატით დატვირთული 28 ვაგონი დაყადაღებული იყო სასამართლო განჩინების საფუძველზე და სარჩელის უზრუნველყოფის სახით აკრძალული იყო მისი გადაადგილება, ანუ 25 მარტიდან 8 აგვისტომდე პერიოდში მოხდა ვაგონების მოცდენა და რომ არა სარჩელის უზრუნველყოფა, რკინიგზა ამ ვაგონებით განახორციელებდა სხვა გადაზიდვას და, შესაბამისად, მიიღებდა მოგებას.

კასატორის აზრით, შპს „მორავია-ჯორჯიას“, როგორც ტვირთმფლობელის (ტვირთგამგზავნის) პასუხისმგებლობა ვაგონების მოცდენის (დაყოვნების) გამო საფასურისა და ტვირთის შენახვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ იმპერატიულად არის დადგენილი სარკინიგზო კოდექსით და „მორავია-ჯორჯია“ ვალდებული იყო რკინიგზისათვის ანაზღაურებინა 2005 წლის 25 მარტიდან 28 ვაგონის მოცდენისა და ტვირთის შენახვის ხარჯები, როგორც ეს გააკეთა სამტრედიაში ვაგონების დაყოვნების შემთხვევაში.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას უსაფუძვლოდ არ გაიზიარა რკინიგზის ეს მოსაზრება და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს

მიერ სარკინიგზო კოდექსის 22-ე-23-ე მუხლების უსწორო განმარტების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინების გაუქმების საფუძველია.

კასატორის მითითებით, სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2005 წლის 24 მარტიდან 8 აგვისტომდე „მორავია-ჯორჯიას“ მანგანუმის კონცენტრატით დატვირთული 28 ვაგონის მოცდენა გამოწვეული იყო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებით სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს მხოლოდ პროცესუალურ მხარეებთან (სავარაუდო მოსარჩელე - უზრუნველყოფაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი - სს „ჭიათურმანგანუმი“ და მოპასუხე შპს „მორავია-ჯორჯია“) და არა მესამე პირებთან (შპს „საქართველოს რკინიგზა“) სსკ 199-ე მუხლის საფუძველზე უშუალოდ არ შეუძლია სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს პირდაპირ სს „ჭიათურმანგანუმისგან“, სარჩელი აღძრა „მორავია-ჯორჯიას“ მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გაითვალისწინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, რომ 28 ვაგონის ფოთის სადგურში დაყოვნება გამოწვეული იყო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით. ამასთან, ვინაიდან სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 317-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არასწორად განმარტა სარკინიგზო კოდექსის 22-ე-23-ე მუხლები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების საფუძველზე, კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შპს „მორავია-ჯორჯიას“ ტვირთის გადაზიდვისას ადგილი ჰქონდა ვაგონების მოცდენას 2005 წლის 1 მარტიდან 2005 წლის 23 მარტამდე, რისთვისაც მას დაერიცხა ვაგონით სარგებლობის საფასური და ტვირთის შენახვის ხარჯები 28877 ლარის ოდენობით, ასევე, 2005 წლის 25 მარტიდან 2005 წლის 8 აგვისტომდე ტვირთის შენახვისა და ვაგონების მოცდენის ღირებულება 2030,84 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის გადაწყვეტისას სწორად განმარტა სარკინიგზო კოდექსის 22-ე-23-ე მუხლები და სწორად იმსჯელა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაუშვებლობის თაობაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარებს როგორც საქმეში არსებული მასალებიდან, ასევე, კანონის მოთხოვნებიდან. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოხდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ვაგონების მოცდენა შპს „მორავია-ჯორჯიას“ ტვირთის გადაზიდვისას. უდავოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნულში ბრალი რკინიგზას არ მიუძღვის (იგულისხმება 2005 წლის აგვისტომდე პერიოდი). ხოლო ყოველი ვაგონის მოცდენა შესაბამისი ანაზღაურების გარეშე გულისხმობს რკინიგზისათვის ზიანის მიყენებას. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ რკინიგზა პასუხს აგებს მისთვის „მიყენებული ზიანისათვის, ისე, რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის ასეთი შედეგის დადგომაში. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება თვით სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არ არსებობს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ამ კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებითა და შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრული პასუხისმგებლობისა. სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისათვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლება დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შპს „მორავია-ჯორჯიამ“ გადააცილა ვაგონებში ტვირთის განთავსების ვადას. ამასთან, ტვირთი გაჩერდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად, რომელიც სასამართლომ მიიღო სს „ჭიათურმანგანუმის“ განცხადების საფუძველზე. ტვირთი გაჩერდა ტვირთმფლობელის მიზეზით და ასეთი შედეგი არანაირად არის განპირობებული რკინიგზის ბრალით ან მიზეზით. ვაგონის მოცდენისას თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ზიანი ადგება რკინიგზას. სასამართლო ვალდებულია დაიცვას როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის ინტერესი, მაგრამ ერთი მხარის ინტერესების დაცვით, შეიძლება შეილახოს მეორე მხარისათვის კანონით მინიჭებული უფლება. კანონმდებლობა შპს „სა-

ქართველოს რკინიგზას" უფლებამოსილს ხდის ტვირთის მფლობელს გადახდევინოს ვაგონების სარგებლობის საფასური. ამ უფლების უგულვებელყოფის შემთხვევაში კი ირღვევა რკინიგზის უფლებები და, შესაბამისად, ირღვევა კანონის მოთხოვნაც.

რაც შეეხება შპს „მორავია ჯორჯიას“, მას ზემოთ მითითებული გარემოებათა გამო მართლაც მიადგა ზიანი, მაგრამ იგი არ არის გამოწვეული შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბრალით, ამიტომ ზიანის ანაზღაურება მან უნდა მოთხოვოს ზიანის მიმყენებლისაგან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შპს "მორავია ჯორჯიას" ტვირთი სასამართლოს განჩინების საფუძველზე გაჩერებული იყო მხოლოდ 2005 წლის 8 აგვისტომდე. დანარჩენი პერიოდისათვის კი ვაგონების მოცდენის ხარჯების თაობაზე სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მითითებულია სააპელაციო საჩივარში. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება ზემოთ მითითებულ გარემოებათს გამო არასრულია. საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია გაირკვეს ტვირთის გაჩერების მიზეზები მოცდენის მთელი პერიოდისათვის და შეფასდეს მოდავე მხარეთა არგუმენტები. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული დავა ხელახლა უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "საქართველოს რკინიგზის" წარმომადგენლის თ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. ზიანის ანაზღაურება

მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ას-771-986-08

24 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ო-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“, სს „ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით.

თბილისის დიდუბა-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ო-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ო-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

პალატამ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. ო-შვილი თსსუ აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიის სექციაში მკურნალობდა 1991 წლის 11 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე, სადაც მას ჩაუტარდა მარცხენა სათესლე ჯირკვლის ამოკვეთა (ორქიექტომია).

მ. ო-შვილმა 1996 წლის 13 მარტს სამკურნალოდ მიმართა უროლოგიის ეროვნული ცენტრის პირველ უროლოგიურ განყოფილებას. ჰოსპიტალიზაციის დროს დაუდგინდა დიაგნოზი: შარდკენჭოვანი დაავადება, თირკმლის ჭვალი, კლინიკური კვლევებით მარცხენა მხარეს აღმოჩნდა შარდის პასაჟის დარღვევა, რომლის აღდგენის მიზნით განხორციელდა მარჯვენამხრივი პერკუნტალური ნეფროსტომია, ჩაუტარდა ცისტოსკოპი-ბიოფსია. მორფოლოგიური კვლევით დადგინდა შარდის ბუშტის ეპითელიური ზომიერი დისპლაზია, ლორწოვან შრეში - ანთებით უბნები.

1996 წლის 5 აპრილს ავადმყოფი გადაყვანილი იქნა ფტოზიატრიისა და ჰულმონოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უროლოგიის განყოფილებაში, სადაც ის მკურნალობდა 28 მაისამდე. კომპლექსური გამოკვლევებით დადგინდა თირკმლების კავერნოზული ტუბერკულოზი, შარდის ბუშტის ტუბერკულოზი, მარჯვენამხრივი პერიურთერიტი, პოსტატის ტუბერკულოზი.

1996 წლის 14 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე B ჰეპატიტის გამო მ. ო-შვილი მკურნალობდა ინფექციური პათოლოგიის ცენტრში.

1999 წლის 2 დეკემბერს მ. ო-შვილი განმეორებით მოთავსდა უროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პირველ უროლოგიურ განყოფილებაში. ჩატარებული კლინიკურ-რენტგენოლოგიური კვლევებით დადასტურდა შარდ-სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი და დაენიშნა ანტიტუბერკულოზური მკურნალობის გაგრძელება. მკურნალობის შემდგომ, 2000 წლის 25 იანვარს, ავადმყოფი გაეწერა კლინიკიდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

2000 წლის 23 თებერვალს მ. ო-შვილი განმეორებით იქნა ჰოსპიტალიზებული უროლოგიის ინსტიტუტში მარჯვენამხრივი ნეფროსტომიის ამოვარდნის გამო, სადაც მას ჩაუტარდა კონსერვატული მკურნალობა და 2000 წლის 28 თებერვალს ავადმყოფი გაეწერა კლინიკიდან.

მ. ო-შვილი 2000 წლის 6 მარტიდან 12 ივნისამდე მკურნალობდა ტუბისტიტუტში.

2000 წლის 4 დეკემბრიდან 2001 წლის 3 ივნისამდე მ. ო-შვილი მკურნალობდა ტუბერკულოზისა და ჰულმონოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც ჩაუტარდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის მორიგი კურსი და საკონტროლო გამოკვლევებით ავადმყოფს დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის ფიბროზული კავერნოზული ტუბერკულოზი (უფუნქციო თირკმელი), მარჯვენამხრივი ტუბერკულოზური ურთერიტი შარდსაწვეთის ტუბერკულოზი, ქრონიკული პიელონეფრიტი, თირკმლის ქრონიკული I-II ხარისხის უკმარისობა, რენული ჰიპერტენზია. გადაწყდა მარჯვენამხრივი ნეფრექტომიის ჩატარება.

2001 წლის 9 მარტს ავადმყოფს ჩაუტარდა ოპერაცია - მარჯვენამხრივი სუბკაფსულური ნეფრექტომია (ამოღება).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის უროლოგიურ განყოფილებაში მ. ო-შვილი განმეორებით მოთავსდა 2001 წლის 4 მაისს მარჯვენამხრივი ნეფრესტომიის შემდეგ ჩამოყალიბებული ჩირქმდენი ფისტულის გამო. კლინიკაში მოთავსებისთანავე ვენური ნარკოზის ქვეშ ჩირქოვანი ფისტულა ამოიკვეთა. 18 მაისს ავადმყოფი გაეწერა კლინიკიდან მეორეულად მიმდინარე შეხორცებადი ჭრილობით და დაენიშნა ამბულატორიული მკურნალობა.

პალატამ მიიჩნია, რომ მას შემდეგ რაც მ. ო-შვილს თსსუ აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიის განყოფილებაში დაუდგინდა სათესლე ჯირკვლის ტუბერკულოზი, ის აყვანილი უნდა ყოფილიყო დისპანსერულ მეთვალყურეობაზე და უნდა ჩატარებოდა შესაბამისი მკურნალობა. სამედიცინო დაწესებულება ვალდებული იყო პაციენტისათვის დროულად მიეწოდებინა ინფორმაცია დიაგნოზისა და ანტიტუბერკულოზური მკურნალობის ჩატარების აუცილებლობის შესახებ. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მ. ო-შვილი ინფორმირებული იყო აღნიშნულის თაობაზე. ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, აღნიშნულმა უარყოფითი გავლენა იქონია მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და მკურნალობის ეფექტურობაზეც.

პალატამ მიიჩნია, რომ სამედიცინო დაწესებულებას უნდა გამოეყენებინა პროფესიული გულისხმიერება, კერძოდ, უზრუნველყო პაციენტი დროული ინფორმაციით მისი ავადმყოფობის შესახებ, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მისი შემდგომი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

პალატამ მ. ო-შვილის სარჩელი დაწესებულების მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილა.

პალატამ განმარტა, რომ არც სააპელაციო საჩივარში და არც სარჩელში მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ არის დაზუსტებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაცივრა მ. ო-შვილმა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იგი ითხოვს 100 000 ლარის მორალური ზიანისათვის. ასევე, ვინაიდან არსებობს

მატერიალური ზიანის დაკისრებისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი, რაც გამოიხატება არასწორი დიაგნოზის დასმაში, მოითხოვს მოპასუხეებს დაეკისროს მის მიერ დღემდე გაწეული ყველანაირი მატერიალური ხარჯების ანაზღაურება, რაც მკურნალობასა და მოვლა-პატრონობას დასჭირდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

საკასაციო საჩივარში შინაარსობრივად შეიცავს მ. ო-შვილის ავადმყოფობების აღწერას მასში ასევე მოყვანილია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მ. ო-შვილს ჯერ კიდევ 1991 წელს დაუდგინდა სათესლე ჯირკვლის ტუბერკულოზი, რის გამოც ამ მიმართებით მისთვის სპეციფიკური ანტიტუბერკულოზური თერაპია 1996 წლამდე არ ჩატარებიათ. აღნიშნულმა კი უარყოფითი ზეგავლენა იქონია ავადმყოფის შემდგომ ჯანმრთელობის მდებარეობასა და მკურნალობის ეფექტურობაზე. როგორც კასატორი უთითებს, იგი, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ითხოვს 100000 ლარის დაკისრებას მორალური ზიანისათვის. სააპელაციო პალატამ აღნიშნული ნორმის საფუძველზე დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა 10000 ლარის ოდენობით. კასატორი კი არ უთითებს, რატომ არ ეთანხმება სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობას.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი არაა დარღვეული უფლების სრულყოფილი რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, ამასთან, შეუძლებელია კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ განისაზღვროს. ბუნებრივია მ. ო-შვილმა მიიღო დიდი სულიერი ტკივილი ხანგრძლივი და მეტად რთული ავადმყოფობის გამო. მაგრამ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულში დაადგინა მხოლოდ თსსუ აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ბრალი და ზიანის ოდენობაც 10 000 ლარის ოდენობით განსაზღვრა. საკასაციო საჩივარში კი აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი და არ უთითებს აღნიშნული შედეგის საწინააღმდეგოდ არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ საფუძვლებზე. ასევე, მიზანშეწონილობის ფარგლებზეც, თუ რატომ უნდა დაეკისროს მოწინააღმდეგე მხარეს ზიანის ანაზღაურება უფრო მეტი ოდენობით

რაც შეეხება კასატორის მითითებას მატერიალურ ზიანთან მიმართებით, იგი არ შეიცავს საკასაციო საჩივრის საფუძვლებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლოს განმარტავს, რომ არც სარჩელში და არც საჩივარში არ არის მითითებული მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობაზე. აღნიშნული არ დგინდება საქმის მასალებითაც. ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაზე ვერ უთითებს კასატორი. ვერ უთითებს იმ საფუძვლებზეც თუ რატომ უნდა გაუქმდეს გადაწყვეტილება და დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

მოცემულ შემთხვევაში მოქალაქე ქ. ჩ-მის მიერ 2009 წლის 2 თებერვალს წარმოდგენილი იქნა ღია ბარათი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად. პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარზე თანდართული მასალები ამოღებული უნდა იქნეს საქმიდან და უნდა დაუბრუნდეს კასატორს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საქმიდან #ას-771-986-08 ამოღებულ იქნეს საქმის მასალები და დაუბრუნდეს კა-სატორს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

განჩინება

#ას-883-1095-08

1 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 9 ივლისს შპს "ინტერ-ლითონპროდუქტმა" სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ფაქტობრივი დანაკლისის - 112 200 აშშ დოლარისა და 26 070 ლარის, ვალდებულების შესრულებამდე ყოველთვიურად 418 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის - 80 000 აშშ დოლარის დაკისრება შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელის განმარტებით, მან მონაწილეობა მიიღო 2005 წლის 12 იანვარს შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ საჯარო რეალის რეალიზაციის მიზნით მოწყობილ აუქციონში. 2005 წლის 17 იანვარს მოპასუხემ თავისი #13/გ ბრძანებით ლოტი #2-ით გამოტანილი, საჯარო რეალის რეალიზაციის მიზნით გამართულ აუქციონში გამარჯვებულად გამოაცხადა მოსარჩელე;

2005 წლის 17 იანვარს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მხარეებს წარმოეშვათ უფლება-მოვალეობები, კერძოდ, მოსარჩელემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და სრულად გადაიხადა ფასი - 166 422,73 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. თავის მხრივ, მოპასუხე, ვალდებული იყო, მიეღველისათვის გადაეცა ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლება და მიეწოდებინა საქონელი. მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხემ უხეშად დაარღვია 2005 წლის 17 იანვრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, დადგინდეს ვადებში არ მიაწოდა ნაყიდი საქონელი და ცალმხრივად განაცხადა უარი ხელშეკრულებაზე.

აღნიშნულის გამო, როგორც მოსარჩელე განმარტავს, მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 192 000 აშშ დოლარი და 26 071 ლარი, რომლის ოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად: როგორც მიუღებელი შემოსავალი - 80 000 აშშ დოლარი, ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი - 112 000 აშშ დოლარი და 26070 ლარი - მოპასუხის მიერ ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და უსაფუძვლოდ გამო, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს "ინტერ-ლითონპროდუქტის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს "საქართველოს რკინიგზას" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 192 000 აშშ დოლარის გადახდა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და 13 941,75 ლარის გადახდა მიუწოდებელი საქონლის ღირებულების სახით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზამ", მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს "ინტერ-ლითონპროდუქტმა" მონაწილეობა მიიღო 2005 წლის 12 იანვარს შპს "საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი საჯარო რელსის რეალიზაციის მიზნით მოწყობილ აუქციონში. 2005 წლის 17 იანვარს შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორის #13/გ ბრძანებით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ინტერ-ლითონპროდუქტი";

შპს "ინტერ-ლითონპროდუქტს" აღნიშნული საჯარო რელსი ესაჭიროებოდა გადასამუშავებლად, რითაც უნდა ეწარმოებინა სამშენებლო არმატურა შემდგომი რეალიზაციის მიზნით, რაც მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა;

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ, კერძოდ, 2005 წლის 20 იანვარს შპს "ინტერ-ლითონპროდუქტმა" ხელშეკრულება გააფორმა სომხეთში რეგისტრირებულ საწარმო შპს "ევროპასთან" 800 ტონა არმატურის მიწოდებაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა არმატურის ღირებულება, მიწოდების პირობები და გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში, დადგინდა, რომ იგი დაჯარიმდებოდა მყიდველის სასარგებლოდ, ეტაპობრივად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 40%-ით;

შპს "საქართველოს რკინიგზამ" უარი განაცხადა შპს "ინტერ-ლითონპროდუქტთან" ხელშეკრულების გაფორმებაზე ამ უკანასკნელი მიერ დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდის გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეებს შორის დავა გადაწყდა სასამართლოს გზით, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს "ინტერ-ლითონპროდუქტის" სარჩელი დაკმაყოფილდა და აღიარებულ იქნა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადახდილი 12.01.05-ში გამართულ აუქციონზე ნაყიდი ქონების შესაძენად გადახდილ 166 422,73 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხაში შედიოდა დღგ, შესაბამისად, შპს "საქართველოს რკინიგზას" დაევალა შპს "ინტერ-ლითონპროდუქტთან" ხელშეკრულების დადება.

ზემოაღნიშნულის გამო, შპს "ინტერ-ლითონპროდუქტმა" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შპს "ევროპასთან" ვერ შეასრულა, რის გამოც შპს "ევროპამ" 2006 წლის 20 იანვრის წერილით მას აცნობა 2005 წლის 20 იანვრის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა 112 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმართავდა სასამართლოს.

შპს "საქართველოს რკინიგზასთან" ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 2007 წლის 18 იანვარს შპს "ინტერ-ლითონპროდუქტმა" სამშენებლო არმატურის მიწოდებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გააფორმა შპს "გლორია-რ"-თან. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შპს "ინტერ-ლითონპროდუქტს" შპს "ევროპასგან" ეცნობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ჯარიმის მოთხოვნის თაობაზე.

2007 წლის ივნისში შპს "ევროპამ" სარჩელით მიმართა სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკურ სასამართლოს და მოითხოვა შპს "ინტერ-ლითონპროდუქტისათვის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დავალდებულება, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის სასარგებლოდ 112 000 აშშ დოლარის დაკისრება. დადგენილია, რომ შპს "ინტერ-ლითონპროდუქტს" შპს "ევროპისათვის" საჯარიმო თანხა უკვე გადახდილი აქვს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს "საქართველოს რკინიგზის" მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია მხარეებს შორის ხელშეკრულების დადების თარიღად 2005 წლის 17 იანვარი, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე უკვე ნამსჯელი ჰქონდათ სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოებს და სასამართლოს მიერ გამარჯვებულ პირთან ნასაყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტად განსაზღვრული იყო ბრძანების გამოცემა აუქციონში მონაწილე პირის გამარჯვებულად აღიარების თაობაზე;

სააპელაციო სასამართლომ კანონიერ ძალში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" წინასწარ სავარაუდო იყო, რომ საჯარო რელსის მიუწოდებლობა გამოიწვევდა შპს "ინტერ-ლითონპროდუქტისათვის" ზიანის მიყენებას;

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ შპს "ინტერ-ლითონპროდუქტსა" და შპს "ევროპას" შორის ხელშეკრულების დარღვევა შპს "ინტერ-ლითონპროდუქტის" მხრიდან გამოწვეული იყო შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ საქონლის მიუწოდებლობით და, შესაბამისად, მასვე უნდა დაკისრებოდა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც მთლიანობაში შეადგენდა 192 000 აშშ დოლარს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების საფუძველზე, სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს "ინტერ-ლითონპროდუქტისათვის" მიუღებელი შემოსავალი, მოცემულ შემ-

თხვევაში განისაზღვრებოდა 80 000 აშშ დოლარით, რაც წარმოადგენდა შპს "ევროპასთან" და შპს "გლორია-რ"-სთან დადებულ ხელშეკრულებებს შორის სხვაობას;

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დააკისრა შპს "საქართველოს რკინიგზას" მოსარჩელის მიერ შპს "ევროპისათვის" ჯარიმის სახით გადასახდელი თანხა, ვინაიდან ხელშეკრულების შეუსრულებლობა მისი ბრალით იყო გამოწვეული;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, დადგინდა გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზამ", მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ განჩინების გამოტანისას, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რის გამოც საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება. ამასთან, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მასალებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელესა და შპს „ევროპას“ შორის ხელშეკრულების დარღვევა შპს „ინტერლითონპროდუქტის“ მხრიდან გამოწვეული იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ საქონლის მიუწოდებლობით, რის გამოც მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რაც შეადგენს 192 000 აშშ დოლარს. დადგენილია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ მოსარჩელისათვის სრულად არ აქვს მიწოდებული ნაყიდი საქონელი და მიუწოდებელი დარჩა 34,195 ტონა საჯართე რელსი, რისი ღირებულებაც შეადგენს 13 941,75 ლარს. ასევე, დადგენილია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ წინასწარ სავარაუდო იყო, რომ საჯართე რელსის მიუწოდებლობა გამოიწვევდა შპს „ინტერ-ლითონპროდუქტისათვის“ ზიანის მიყენებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება. იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შემდეგ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება და განმარტება.

მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კასატორის მიერ არ არის მითითებული მტკიცებულებებზე, რომლითაც გამოირიცხება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბრალი ზიანის დადგომაში, რაც უნდა შეეფასებინა და არ შეეფასა ან არასწორად შეეფასა სააპელაციო სასამართლომ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

კასატორის მტკიცება, რომ მისთვის 13 941,75 ლარის ოდენობით მიუწოდებელი საქონლის ღირებულების დაკისრება უკანონოა, რადგან საქმეში არ არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუ რამდენ ლარს შეადგენდა მიუწოდებელი პროდუქცია, საკასაციო პალატა არ იზიარებს, ვინაიდან იმის მტკიცება, რომ მითითებულზე მეტი საქონელი იყო მიწოდებული მოპასუხის მიერ და, შესაბამისად, უფრო ნაკლები თანხაა ასანაზღაურებელი, მოპასუხეს ეკისრებოდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნული ნორმის თანახმად, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს. მოპასუხის მიერ კი ასეთი მტკიცებულება არ ყოფილა წარდგენილი.

ასევე ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არ მოიპოვება და არც სააპელაციო სასამართლო უთითებს იმ მტკიცებულებებზე, რომლის საფუძველზეც დასტურდება ის გარემოება, რომ მოსარჩელეებმა შპს „ევროპას“ გადაუხადა ჯარიმის სახით 112 000 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამარ-

თლებრივი თვალსაზრისით. საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ სააპელაციო სასამართლოში სადავოდ არ მიიჩნევა I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურებად დაკისრებული თანხის ოდენობის გაანგარიშებას. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტმა აღნიშნა, რომ შპს „ევროპისათვის“ თანხის გადახდის ფაქტს სადავოდ არ ხდის, ისინი გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვენ იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის 2006 წლის 2 ოქტომბრამდე არ არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო სამართლის ნორმები.

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელესა და შპს „ევროპისათვის“ შორის ხელშეკრულების დარღვევა შპს „ინტერლითონპროდუქტის“ მხრიდან გამოწვეული იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ საქონლის მიუწოდებლობით, რის გამოც მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რაც შეადგენს 192 000 აშშ დოლარს. დადგენილია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ მოსარჩელისათვის სრულად არ აქვს მიწოდებული ნაყიდი საქონელი და მიუწოდებელი დარჩა 34,195 ტონა საჯართე რელსი, რისი ღირებულებაც შეადგენს 13 941,75 ლარს. ასევე, დადგენილია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზისათვის“ წინასწარ სავარაუდო იყო, რომ საჯართე რელსის მიუწოდებლობა გამოიწვევდა შპს „ინტერ-ლითონპროდუქტისათვის“ ზიანის მიყენებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბრალი ზიანის დადგომაში დადასტურებულია იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, ასევე მიუღებელი შემოსავლისთვისაც.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მატერიალური ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ას-455-769-09

3 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 11 ოქტომბერს შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სარჩელით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს ნ. ბ-ძისა და გ. გ-შვილის წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული ზიანის - 15122.45 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2006 წლის 16 სექტემბერს ქობულეთიდან სოფ. ... მიმართულე-ბით მოძრაობდა თივით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი-2228“, რომელ-საც მართავდა გ. გ-შვილი. სოფ. ...-თან რკინიგზის გადასასვლელზე გადასვლის დროს ნახევ-რად მისაბმელის წინა ქვედა ნაწილი დაედო ლიანდაგის შპალებს, რამაც ავტომანქანა გააჩერა. მოსარჩელის განმარტებით, შექმნილი ვითარების დროს მძღოლმა უგულვებლყო და არ შეასრულა საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საგზაო მოძრაობის წესების“ 29.1 და 34.5 მუხლის მოთხოვნები. რკინიგზის გადასასვლელის მორიგე ნ. ბ-მემ არ შეასრულა გადასასვლელების მოწყობისა და მომსახურების ცპ-4288 ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთ-ხოვნები, კერძოდ, არ ჩართო შემზღუდავი სიგნალები და არ შეატყობინა სადგურ ქობულეთის მორიგეს რკინიგზის გადასასვლელზე წარმოქმნილი დაბრკოლების შესახებ. სატვირთო მატარებლის #2106 მემანქანემ, რომელიც მოძრაობდა ქობულეთიდან ბათუმის მიმართულებით, დამუხრუჭების გზით სცადა თავიდან აცილება, მაგრამ, სამუხრუჭე მანძილის სიმიცირის გამო, მატარებელი ვერ გაჩერდა და მანქანას შეეჯახა.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიადგა 15 122.45 ლარის ზიანი, ამიტომ მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისთვის სოლიდარულად 15122.45 ლარის დაკისრება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მოპასუხე გ. გ-შვილის განმარტებით, შემთხვევა მისი ბრალე-ული ქმედებით არ მომხდარა. რკინიგზის გადასასვლელზე მოძრაობის დროს, მანქანის წინა ნაწი-ლი წამოედო ლიანდაგის შპალის კუთხეს, რომელიც ზემოთ იყო ამოწეული, ამიტომ მანქანამ ვე-ლარ შესძლო გადაადგილება და გაჩერდა ლიანდაგზე.

სარჩელი არ ცნო ნ. ბ-მემაც, რომელმაც მიუთითა, რომ მას ბრალი არ მიუძღვის მომხდართან დაკავშირებით, ამასთან დაუსაბუთებელია ის ზიანი, რომელსაც მოსარჩელე ითხოვს.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გ. გ-შვილის მიერ, შპს „საქართველოს რკინიგზისთვის“ მიყენებუ-ლი მატერიალური ზიანის - 15 122.45 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის - 453.67 ლარის მოპასუ-ხე ნ. ბ-მესთან ერთად სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყო-ფილდა უსაფუძვლობის გამო; ნ. ბ-მეს დაეკისრა შპს „საქართველოს რკინიგზისთვის“ მიყენებუ-ლი ზიანის - 15 122.45 ლარისა და მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 453,67 ლარის, სულ 15 567.12 თეთრის ანაზღაურება შპს „საქართველოს რკინიგზის“ სასარ-გებლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის გა-დაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“. კასა-ტორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექ-სის 992-ე მუხლი, კერძოდ, განმარტა და გაანალიზა დასახელებული მუხლით მატერიალური ჰა-სუხისმგებლობის დადგომის პირობები და საბოლოოდ გამოიტანა დასკვნა, რომ, ვინაიდან არ არ-სებობდა დანაშაული, შესაბამისად, არ არსებობდა ბრალი და ზიანის ანაზღაურების ვალდებულე-ბა, რაც არასწორია.

კასატორი მიუთითებს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა პირის განზრახი ან გაუფრთხილებელი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება“. აღნიშნულში არ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება. სააპელაციო სასამარ-თლომ კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაუკავშირა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშა-ულში ბრალეულობას, მაშინ, როდესაც „მართლსაწინააღმდეგო“ ქმედება არ შეიძლება მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულთან იყოს ასოცირებული. ბათუმის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილება, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ „სისხლის სა-მართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო“, არ ნიშნავს იმას, რომ წი-ნასწარმ გამოძიებამ გაამართლა მოპასუხეები ნ. ბ-მე და გ. გ-შვილი და საქმე ამ საფუძვლით შეწყვიტა. გამოძიებამ დადგენილად ცნო, რომ ამ უკანასკნელთ არ ჩაუდენიათ სისხლის სამარ-თლის დანაშაული და მათ ქმედებაში შეინიშნებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნიშნები, რაც გამოიხატებოდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაში, რამაც შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიაყენა 15 122.45 ლარის ზიანი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა „გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლების შესახებ“, რაც გამოიხატა იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად გააუქმა ქო-

ბუღეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება, რაც აპელანტს არ მოუთხოვია და არც შეიძლება მოეთხოვა, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება მეორე მოპასუხე გ.გ-შვილის მიმართ შესული იყო კანონიერ ძალაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ამდენად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, 2006 წლის 16 სექტემბერს ქობულეთიდან სოფ. ...-ის მიმართულებით მოძრაობდა თივით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი-2228“, რომელსაც მართავდა გ. გ-შვილი. სოფ. ...-თან რკინიგზის გადასასვლელზე გადასვლის დროს ნახევრად მისაბმელის წინა ქვედა ნაწილი დაედო ლიანდაგის შპალეებს, რამაც ავტომანქანა გააჩერა. სატვირთო მატარებლის #2106 მემანქანემ, რომელიც მოძრაობდა ქობულეთიდან ბათუმის მიმართულებით, დამუხრუჭების გზით სცადა თავიდან აცილებს, მაგრამ, სამუხრუჭე მანძილის სიძვირის გამო, მატარებელი ვერ გაჩერდა და მანქანას შეეჯახა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ სასარჩელო მოთხოვნა, ნ. ბ-ძესა და გ. გ-შვილს დაეკისროთ მიყენებული ზიანის - 15122.45 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სასარჩელო მოთხოვნა გ. გ-შვილის მიმართ, მაგრამ დააკმაყოფილა ნ. ბ-ძის მიმართ. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სოლიდარულად ნ. ბ-ძესთან ერთად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გ. გ-შვილისათვის დაკისრებაზე სააპელაციო წესით არ გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, ამდენად ამ ნაწილში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ნ. ბ-ძის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორი (მოსარჩელე) თავის მოთხოვნის საფუძველად უთითებს ბათუმის რაიონული პროკურატურის შესახებ 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილებაზე, რომლითაც შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრული იგნორირება გაუკეთა ზემოაღნიშნულ დადგენილებას, რომელშიც მითითებულია, რომ მოპასუხეებმა დაარღვიეს საგზაო მოძრაობის წესები, რამაც შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიაყენა 15.122,45 ლარის ზიანი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლო სხდომაზე შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლის მიერ გაცემებულ ახსნა-განმარტებაზე, რომლითაც მან განაცხადა, რომ ზიანი მიადგათ მატარებლების დაყოვნების შედეგად“.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული განმარტების გარდა შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ვერ ადასტურებს ზიანის საფუძველიანობასა და ოდენობას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბათუმის რაიონული პროკურატურის შესახებ 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილება, რომელშიც მითითებულია, რომ სატვირთო მატარებლის შეჯახების შედეგად შპს „საქართველოს რკინიგზამ“ განიცადა 15.122,45 ლარის ზიანი, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებად, რომლითაც დასტურდება ვაგონების დაყოვნებით მიღებული ზიანისა და მისი ოდენობის ფაქტი.

უპირველეს ყოვლისა, პასუხგასაცემია, საჭიროებს თუ არა მტკიცებას აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული ფაქტი იმის შესახებ, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ განიცადა 15.122,45 ლარის ზიანი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში უნდა განიმარტოს სსსკ-ის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან იმ ფაქტების შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება იმ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსის გარკვევას გააჩნია დიდი მნიშვნელობა, რომელიც მიუთითებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებსა და მათ პრეიუდიციულ მნიშვნელობაზე, კერ-

ძოდ, იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას.

ამ ფაქტების პრეიუდიციულ მნიშვნელობას განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია იმ პირის მოქმედების შედეგები, რაც წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი განხილვის საგანს.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილი სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ ფაქტები; გადაწყვეტილება იმ პირის მოქმედების თაობაზე რომელიც სამოქალაქო საქმეზე მონაწილეობს), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება). აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასების შინაარსი, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ვლინდება გადაწყვეტილების არა სარეზოლუციო, არამედ სამოტივაციო ნაწილიდან, რომლითაც უნდა დგინდებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ფაქტები, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლებრივი განხილვის საგანს.

კონკრეტულ შემთხვევაში ბათუმის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ავტოსატრანსპორტო შემთხვევის ფაქტზე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, კასატორის მიერ არ დასტურდება, რომ 15122,45 ლარის ზიანის ნაწილში მითითება 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილების გამოტანის ერთ-ერთი საფუძველია (რომლის გარეშე შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტაზე მსჯელობა).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვაგონების დაყოვნების ფაქტი და ამ დაყოვნების შედეგად მიღებული ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადასტურდეს საამისოდ გათვალისწინებული ფორმითა და წესით შედგენილი აქტებით.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორი არც ერთ ინსტანციის სასამართლოში არ უთითებს, თუ კონკრეტულად რამდენად დაყოვნდა მგზავრთა გადაყვანა, ბარგის, ტვირთ-ბარგის, ფოსტის, ტვირთის გადაზიდვის, ასევე, კონკრეტულად რომელი ვაგონების (კონტეინერების), რა დროის მონაკვეთით და ა.შ.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილი თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. ამავე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებულ სხვა გარემოებათა დასამოწმებლად დგება ტექნიკური და საერთო ფორმის აქტები, "რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის წესებისა" და „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად.

ვაგონების დაყოვნების მიზეზები, მათი რაოდენობა, დაყოვნების დრო და ა.შ შესაძლებელია დადასტურდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული ნორმატიულ აქტებში მითითებული, კონკრეტული შემთხვევის ამსახველი (კომერციული, ტექნიკური, საერთო) აქტების მეშვეობით.

აღნიშნულის ზოგადი დანაწესი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვით, "საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით".

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, აუცილებელია არსებობდეს არა მარტო ნ. ბ-ძის, როგორც რკინიგზის გადასასვლელის მორიგის, მიერ სათანადო ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ფუნქციური ვალდებულებების შეუსრულებლობის (მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედების), არამედ ამ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისა და მისი ოდენობის ფაქტი, რაზეც კასატორი არ უთითებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

ას-856-1142-09 25 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი სარჩელში: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 3 იანვარს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. ო-იამ მოპასუხეების - თ. და მ. ბ-იების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბინის ნასყიდობის თანხის - 60 000 აშშ დოლარის მოპასუხეთათვის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

1997 წლის ოქტომბერში მოსარჩელე მოპასუხეებს შეუთანხმდა, რომ 100 000 აშშ დოლარად შეიძენდა თბილისში, ... ქ. #5-ში მდებარე მოპასუხეთა კუთვნილ საცხოვრებელ სახლს, ასევე, იყიდდა ბინაში არსებულ ავეჯს 5000 აშშ დოლარად. მთლიანობაში დ. ო-იას მოპასუხეებისათვის უნდა გადაეხადა 105 000 აშშ დოლარი. 1997 წლის 13 ოქტომბერს მოსარჩელემ მოპასუხეებს გადაუხადა 30 000 აშშ დოლარი და შეუთანხმდა, რომ დარჩენილ თანხას ნაწილ-ნაწილ გადაიხდიდა. მოგვიანებით, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მოსარჩელემ მოპასუხეებს კიდევ გადაუხადა 30 000 აშშ დოლარი. დარჩენილი 45 000 აშშ დოლარის გადახდა ვერ შეძლო, რაზედაც მოპასუხეები გაუზიარებდნენ, მონახეს სხვა მყიდველი და გაასხვისეს ბინა, ხოლო 60 000 აშშ დოლარის დაბრუნებაზე უარი განუცხადეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინეს, რომელშიც განმარტეს, რომ 1997 წლის 13 ოქტომბერს თ. ბ-იასა და დ. ო-იას შორის გაფორმდა მარტივი წერილობითი ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, დ. ო-იას უნდა ეყიდა თბილისში, ... ქ. #5-ში მდებარე თ. ბ-იას კუთვნილი ბინა 70 000 აშშ დოლარად. ბინის ღირებულება დ. ო-იას უნდა გადაეხადა 1997 წლის 1 ნოემბრიდან 1998 წლის 30 მაისამდე. დ. ო-იამ ხელწერილის გაფორმებისთანავე ბეს სახით გადაიხადა 10 000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც თ. ბ-იამ გადასცა ბინა ავეჯით გამოსყიდვამდე დროებით სარგებლობაში. დ. ო-იამ ბინა გამოიყენა თავისი კომერციული მიზნების განსახორციელებლად, გახსნა სასტუმრო და იღებდა სარგებელს. 1998 წლის 15 აპრილს თ. ბ-ია მოჰყვა ავტოკატასტროფაში. დ. ო-იამ ისარგებლა მისი მძიმე მდგომარეობით და ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად 1998 წლის ოქტომბერში ბინა მოპასუხეებს უკანვე დაუბრუნა. ბინის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას საკმაო თანხა დასჭირდა, რამაც მოპასუხეები საგრძნობლად დააზარალა. შეგებებული სარჩელის ავტორებმა მოითხოვეს დ. ო-იას მიერ მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება 41400 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე, ზოდის მოხდა და ხელწერილის ჩამორთმევა, რომ მომავალში მათ ოჯახს აღარ მიაყენებდა მორალურ თუ ეკონომიკურ ზიანს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით დ. ო-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თ. და მ. ბ-იებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 37 200 აშშ დოლარის გადახდა, 22 800 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -

გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - თ. და მ. ბ-ებს დ. ო-იას სასარგებლოდ დაეკისრათ 17 200 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. და მ. ბ-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 12 დეკემბრის განჩინებით თ. და მ. ბ-ების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2002 წლის 1 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული შეგებებული სასარჩელო განცხადებით თ. და მ. ბ-ებმა მოითხოვეს. 1997 წლის ოქტომბრიდან ერთი წლის განმავლობაში სახლის სასტუმროდ გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლის - 69 000 აშშ დოლარის, სახლის არასწორი ექსპლუატაციით მიყენებული ზარალის - 1000 აშშ დოლარის, ბინის უსაფუძვლო დაყადაღებით მიყენებული ზიანის - 40 000 აშშ დოლარის, მკურნალობის ხარჯების - 20 000 აშშ დოლარის, ბანკის კრედიტით სარგებლობის გამო მიყენებული ზიანის - 18 400 აშშ დოლარის, მორალური ზიანის - 50 000 აშშ დოლარის დ. (ქ.) ო-იასგან ანაზღაურება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით თ. და მ. (მ.) ბ-ების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. ო-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მ. და თ. ბ-ებს დ. ო-იას სასარგებლოდ დაეკისრათ 17200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; მათვე დაეკისრათ დ. ო-იას სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 1135 ლარი, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; თ. და მ. ბ-ების შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - დ. ო-იას მ. და თ. ბ-ების სასარგებლოდ დაეკისრა 69 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ო-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო თ. და მ. ბ-ებისათვის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 3 აპრილის განჩინებით დ. ო-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2003 წლის 4 ივლისს დ. ო-იამ დავის საგნის გადიდების თაობაზე განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის - 82.594 აშშ დოლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინებით დ. ო-იას შუამდგომლობა დავის საგნის გადიდების თაობაზე დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - დ. ო-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თ. და მ. ბ-ებს მის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრათ 38 194,23 აშშ დოლარი; მ. და თ. ბ-ების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ბ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 15 აპრილის განჩინებით თ. ბ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა თ. ბ-იას საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს მდებარე თბილისში, ... ქ. #10-სა და ... ქ. #12-ში.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ქ. ო-იამ. მან მიუთითა, რომ სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ ერთი წლის განმავლობაში 1997 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე ბ-იების კუთვნილ ბინას სასტუმროდ იყენებდა, რომელიც უწყვეტად 365 დღის განმავლობაში 4 უცხოელს მიაქირავა, საიდანაც, თითოეულისაგან ქირის სახით დღეში იღებდა 60 აშშ დოლარს, ანუ დღეში საერთო ჯამში 240 აშშ დოლარს. სასამართლოს აზრით, სულ 1 წლის მანძილზე მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 87.600 აშშ დოლარი ($4 \times 60 \times 365 = 97,600$), მაგრამ ვინაიდან მოსარჩელე ითხოვდა მხოლოდ 69,000 აშშ დოლარს, ამიტომ სასამართლომ დააკისრა 69,000 აშშ დოლარის გადახდა.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი არასწორი და ურთიერთგამომრიცხავია.

სააპელაციო სასამართლო უთითებს სს „თელასიდან“ მიღებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც 1997 წლის 13 ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე ბ-იას ბინაზე დარიცხულია 1066 კვ.სთ ელექტროენერჯის გადასახადი. ასევე უთითებს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებანი გაზიარებულ იქნა უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით. ეს დასკვნა სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან მითითებული ცნობა წარმოდგენილ იქნა სწორედ განხილვის წინ და უზენაეს სასამართლოს არ შეეძლო მისი გაზიარება.

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებების ნაწილში, უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის განჩინებაზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ იმსჯელა მხოლოდ 60 აშშ დოლარზე გამოსაკლებ ხარჯებზე, მაგრამ არაფერი თქვა 2003 წლის 3 აპრილის განჩინების იმ მითითებაზე, რომელიც ითხოვდა კონკრეტულად დადგენილიყო „თუ რა ინტერსიურობით იყო დატვირთული სასტუმრო“ და დადგენილიყო კონკრეტულად მიღებული სარგებელი.

თუ დადგინდებოდა, რომ ო-ია უწყვეტად ერთი წლის მანძილზე მართლაც ყოველდღიურად 60 აშშ დოლარს იღებდა ერთი მომხმარებლისაგან და ბინა უწყვეტად 4 მომხმარებელზე იყო გაქირავებული, მაშინ დადგებოდა ხარჯების გამოკლების საკითხი.

60 აშშ დოლარისათვის ხარჯების გამოკლებამდე დასადგენი იყო „თუ რა ინტერსიურობით იყო დატვირთული სასტუმრო“ და „ამ ბინის სარგებლობით უკვე მიღებული შემოსავალი“.

სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან ო-იას იმავე ქუჩაზე აქვს სასტუმრო „კოლხი“ და ვინაიდან ამ სასტუმროში მომსახურებისათვის დამქირავებლები იხდიდნენ დღეში 60 აშშ დოლარს, ამიტომ სავარაუდოა, რომ ბ-იების 5-ოთახიანი ბინასაც 60 აშშ დოლარად გააქირავებდა. არა ერთ, არამედ 4 დამქირავებელზე ერთდროულად და ამდენად, დღეში 240 აშშ დოლარს მიიღებდა. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ბინა უწყვეტად 365 დღის მანძილზე სასტუმროდ იქნებოდა გამოყენებული და აქედან გამომდინარე, შემოსავალიც 87,600 აშშ დოლარი იქნებოდა ($60 \times 4365 = 87600$).

საქმის განხილვის წინ სააპელაციო სასამართლოს წარედგინა ორი ახალი მტკიცებულება, რომლებიც საერთოდ გამორიცხავენ ო-იას მიერ ბ-იას ბინის სარგებლობას.

საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე წარმოდგენილ იქნა ცნობა თელასიდან 1997 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე პერიოდში ... ქ.#5-ში მდებარე ბინის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის შესახებ, საიდანაც აღმოჩნდა, რომ ერთი წლის განმავლობაში სულ მოხმარებულია 1066 კილოვატსაათი, რომლის ღირებულება 48 ლარია. ეს საერთოდ გამორიცხავს ბინის სასტუმროდ გამოყენების ფაქტს.

თელასის ცნობა არის ახალი მტკიცებულება, რომელიც არ არსებობდა საქმის განხილვის წინა სტადიებზე და, აქედან გამომდინარე, ეს მტკიცებულება საერთოდ გამორიცხავს ბინის სასტუმროდ გამოყენების ფაქტს.

გარდა ამისა, საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე იქნა წარმოდგენილი მოსარჩელეთა მიერ საგადასახადო ინსპექციის მიერ შედგენილი სასტუმრო „კოლხის“ შემოწმების აქტი, საიდანაც ირკვევა, რომ დ. ო-იას კუთვნილი, მეზობლად მდებარე 29-ნომრიანი სასტუმრო „კოლხის“ შემოსავლები 1997 წლის მე-4 კვარტალში იყო 23900 ლარი, ხოლო 1998 წლის ამავე სასტუმროს შემოსავალმა ხარჯების გარეშე 6705 ლარი შეადგინა. თუკი 29-ნომრიანმა სასტუმრო „კოლხის“ შემოსავლებმა 1998 წელს ხარჯების გარეშე 6705 ლარი შეადგინა, აქედან გამომდინარე, საწინააღმდეგოა სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ბ-იების ერთმა ბინამ (ისიც არასასტუმროდ მოწყობილმა ერთი სველი წერტილით) წელიწადში ო-იას შემოსავლების სახით 87 600 აშშ დოლარი მოუტანა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის

394-ე მუხლი „ე“ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ჟ. (დ.) ო-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

განხილვის საგანს წარმოადგენს საკითხი ჟ. (დ.) ო-იას მიერ თ. და მ. ბ-იების საკუთრებაში არსებული ბინის მდებარე თბილისში, ... ქ. #5-ში სასტუმროდ გამოყენების ფაქტი და აღნიშნულის შედეგად ჟ. (დ.) ო-იას მიერ მიღებული სარგებლის ოდენობა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ერთი წლის განმავლობაში ოთხ უცხოელზე 60 აშშ დოლარად გაქირავების შედეგად ჟ. (დ.) ო-იამ მიიღო 87 600 აშშ დოლარის სარგებელი. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ თანხას უნდა გამოაკლდეს 18 600 აშშ დოლარი, რაც აღიარებულ იქნა თ. და მ. ბ-იების მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჟ. (დ.) ო-იამ მიიღო 69 000 აშშ დოლარის სარგებელი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებაზე, რომელშიც მითითებულია, რომ ჯერ კიდევ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 3 აპრილის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს მიეცა მითითებები, რომ დღიური სარგებლის - 60 აშშ დოლარის განსაზღვრისას მხედველობაში მიეღოს ის გარემოება, რომ დღეში 60 აშშ დოლარი არ წარმოადგენდა სარგებელს, იგი იყო საფასური, რომელშიც შედიოდა ის ხარჯებიც, რომელსაც სასტუმროს მეპატრონე ეწეოდა (საუზმე, მომსახურე პერსონალის ხელფასი, სინათლისა და გათბობის გადასახადები და სხვა).

აღნიშნულთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასტუმროს მეპატრონის მიერ გაწეული ხარჯები (საუზმე, მომსახურე პერსონალის ხელფასი, სინათლისა და გათბობის გადასახადები და სხვა) არ დასტურდება, რასაც იზიარებს საკასაციო პალატა. მაგრამ საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ზემოაღნიშნული ხარჯების არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ 60 აშშ დოლარი წარმოადგენდა იმ სარგებელს, რომელსაც ღებულობდა ჟ. (დ.) ო-ია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასტუმროს მეპატრონის ხარჯებში, ასევე იგულისხმება ქირით მიღებული შემოსავლის გადასახადი (საშემოსავლო გადასახადი), რომლის განაკვეთს სადავო პერიოდში (1997 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე) მოქმედი საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილისა და "საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად შეადგენს მიღებული შემოსავლის 20% - 13769 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმ შემოსავალს, რომლითაც დ. ო-ია უსაფუძვლოდ გამოდიდრდა, ე.ი. მიიღო სარგებელი. ამრიგად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 797-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, ჟ. (დ.) ო-იას მიერ სადავო ბინის გაქირავებით მიღებული სარგებელი წარმოადგენს 55231 აშშ დოლარს ($69000 - 13769 = 55231$), რაც მას უნდა დაეკისროს ბ-იების სასარგებლოდ. ამასთან ერთად საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ჟ. (დ.) ო-იას სასარგებლოდ მ. და თ. ბ-ებისათვის 53.866 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარების დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამავე კოდექსის 444-ე მუხლის თანახმად, თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, იქვითება მხოლოდ ის, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე.

აღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით ($55231 - 53.866 = 1365$) ჟ. (დ.) ო-იას უნდა დაეკისროს მ. და თ. ბ-იების სასარგებლოდ 1365 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ჟ. (დ.) ო-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
ჟ. (დ.) ო-იას დაეკისროს თ. და მ. ბ-იების სასარგებლოდ 55231 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.
აღნიშნული თანხის ანგარიშში გაიქვითოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. (მ.) და თ. ბ-იებისათვის ჟ. (დ.) ო-იას სასარგებლოდ დაკისრებული 53866 აშშ დოლარი და ჟ. (დ.) ო-იას, მ. და თ. ბ-იების სასარგებლოდ დაეკისროს 1365 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
გაუქმდეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას თ. ბ-იას საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... ქ. #10-სა და ... ქ. #12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს;
საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

განჩინება

#ას-850-1064-08

27 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ა-იანმა და არასრულწლოვან მ. მ-ძის წარმომადგენელმა ლ. ა-იანმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიმართ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ლ. ა-იანი ცხოვრობს წყალტუბოს რ-ნის სოფ. ... , სადაც მას ეკუთვნის 0,75 ჰა მიწის ნაკვეთი. 1964 წელს აღნიშნულ ნაკვეთზე აშენდა ელექტროქვესადგური. 1965 წლიდან, ელექტროქვესადგურის ფუნქციონირების დაწყების დღიდან, თვითონ და მისი ოჯახის წევრები დასაქმებული იყვნენ ამ ქვესადგურში და იღებდნენ ხელფასს. 1991 წელს გარდაეცვალა მამა ო. ა-იანი, 1998 წელს - დედა ლ. ა-იანი. მათი გარდაცვალების მიზეზი იყო გულ-სისხლძარღვთა სისტემის მწვავე დაავადება. გარდა ამისა, ო. ა-იანს დადგენილი ჰქონდა ფილტვების, ხოლო ლ. ა-იანს - სარძევე ჯირკვლების კიბო. ამავე ოჯახში ცხოვრობს მისი 14 წლის დისშვილი მ. მ-ძე, რომელიც დაავადებულია ლეიკემიით. აღნიშნული დაავადებები გამოწვეულია ელექტროქვესადგურის ექსპლუატაციისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევით, რის გამოც ისინი იძულებული არიან, გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. ქვესადგურის მფლობელისაგან მისმა ოჯახმა განიცადა როგორც მორალური, ისე მატერიალური ზიანი, რაც გამოიხატება მის სარგებლობასა და საკუთრებაში არსებული 0,06 ჰა მიწის ნაკვეთის ეროზიით, ნარგავებისა და ნაყოფის მომცემი სხვა მცენარეების გახმობით და სხვა. მოსარჩელე მხარემ მოითხოვა მორალური ზიანის - 3 000 000 ლარის, მატერიალური ზიანის - 120 000 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების“ წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: წყალტუბოს რ-ნის სოფ. ... ქვესადგური და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები ექსპლუატაციაშია სამშენებლო, საექსპლუატაციო და უსაფრთხოების, ასევე, ელექტროდანადგარების მოწყობისა და ელექტრული დაცვის ნორმების სრული დაცვით, რომლებიც

ელექტრული ველის ზემოქმედების თვალსაზრისით საშიშროებას არ წარმოადგენს. უსაფუძვლოა მოსარჩელეთა მითითება ადამიანებსა და მცენარეებზე მათი მავნე ზემოქმედების შესახებ. რაც შეეხება სანიტარული ნორმებისა და წესების დარღვევებს, აღნიშნულზე კონტროლი ევალემა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის დეპარტამენტს. მითითებულ საკითხზე საჭიროა სრულყოფილი ექსპერტიზის ჩატარება. ზემოაღნიშნული ადასტურებს მოპასუხის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობას, გამორიცხავს რაიმე სახის მიზეზობრივ კავშირს მ.მ-ძის ავადმყოფობასთან, ასევე ნიადაგის ეროზიასა და ხეხილ-ვენახის გახმობასთან.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ა-იანისა და მ. მ-ძის წარმომადგენელ ლ. ა-იანის სარჩელი, ხანდაზმულობის გამო, არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავატრების საქმეთა პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინებით მ.მ-ძის წარმომადგენელ ლ. ა-იანისა და ლ. ა-იანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა მ.მ-ძის ჯანმრთელობისათვის, ნიადაგის ეროზიისა და ნარგავებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში დაუბრუნდა სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ა-იანის, ლ. ა-იანისა და მ. მ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს მოსარჩელეთა სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ მატერიალური ზიანის - 64270 ლარის, 160 000 ევროს ეკვივალენტი ლარის, ასევე სოლიდარულად მორალური ზიანის - 130 000 ლარის მოსარჩელეთა სასარგებლოდ გადახდა, ხოლო ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავატრების საქმეთა პალატის 2006 წლის 28 მარტის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ძისა და ლ. ა-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ლ. ა-იანმა და მ. მ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტთა მოთხოვნაზე მოწინააღმდეგე მხარისათვის მიწით სარგებლობის საზღაურის დაკისრების შესახებ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების მომზადების ეტაპზე აპელანტებმა მოთხოვნა შეამცირეს და მოითხოვეს გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება, მოგვიანებით კი მათ მოთხოვნა კვლავ გაზარდეს და მოითხოვეს მიწით სარგებლობისათვის ქირის მოპასუხისათვის დაკისრება. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა განმარტება, რომ მითითებული მოთხოვნით მათ დავის საგანი დააზუსტეს და არ გაუზრდიათ, ვინაიდან მოსარჩელის შეცვლილი მოთხოვნა სარჩელის დაზუსტებად ჩაითვლება, როდესაც იგი გამომდინარეობს სარჩელიდან, იკითხება მასში და დაზუსტებული მოთხოვნა თავდაპირველი მოთხოვნის გონივრული განმარტებაა, მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელეთა მიერ ზემოხსენებული ქირის გადახდევინების მოთხოვნა მოსარჩელეთა არც ერთი თავდაპირველი მოთხოვნის განმარტებიდან არ გამომდინარეობს. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი, რომ წყალტუბოს რ-ნის სოფ. ... ლ. ა-იანის ეზოში დგას 35/10 კვ სიმძლავრის ელექტროსადგური. მ. მ-ძე დაავადებულია მწვავე ლეიკემიით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტთა დასკვნების მიხედვით, მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით ვერ დგინდება, 35/10 კვ სიმძლავრის ელექტროქვესადგურის ექსპლუატაციით გამოწვეული ელექტრული ველის დამაბულობის რა ოდენობას შეუძლია გამოიწვიოს ლეიკემიით დაავადება და ჯანმრთელობისათვის საშიშ ზონაში რა დროის მონაკვეთში ყოფნა იწვევს დაავადების განვითარებას. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სოფ. ... განთავსებული ელექტროსადგურის ფუნქციონირების შედეგად მ. მ-ძის ლეიკემიით დაავადების ფაქტს. პალატამ ასევე გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ ელექტროგადამცემი ხაზების ლეიკემიის დაავადების გამოწვევს წყაროდ მიჩნევის შემთხვევაშიც არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ მ. მ-ძე ელექტროქვესადგურში არ მუშაობდა და სოფ. ...

არ ცხოვრობდა, იგი ავადაა 1998 წლის 23 ივლისიდან, რა დროსაც მოსარჩელე 11 წლის იყო. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ მ. მ-მე დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ელექტრული ველის უშუალო ზემოქმედების არეალში და მისი დაავადება გამოწვეული იყო ელექტრო ველის ზემოქმედებით და არა სხვა რაიმე მიზეზით. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტთა 2007 წლის 3 ივლისის დასკვნაზე, რომლითაც არ დადგინდა მიზეზობრივი კავშირის არსებობა ელექტროქვესადგურის ფუნქციონირებასა და მასში მომუშავე პერსონალის დაავადებას შორის, რაც თავისთავად ნაკლებსავარაუდოს ხდის ისეთ პირთა დაავადებას, რომლებიც ელექტროქვესადგურში არ მუშაობდნენ. სამოქალაქო კოდექსის 992-ე და მე-1000 მუხლებით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წამოიშობა მაშინ, როცა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ა-იანმა, მ. მ-მემ და მათმა წარმომადგენელმა მ. ჯ-მემ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრეს საკასაციო წესით და მოითხოვეს ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას. დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ წყალტუბოს რ-ნის სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთი ლ. ა-იანის საკუთრებაა. 0,06 ჰა მიწის ნაკვეთზე ლ. ა-იანის მშობლების ნებართვის გარეშე, ტექნიკური და უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით აშენებულია მოწინააღმდეგე მხარის საკუთრებაში არსებული ელექტროქვესადგური. აღნიშნული ქვესადგურის მშენებლობისას დაშვებულ დარღვევებს ადასტურებს 2003 წლის 20 ივნისის ექსპერტიზის #957-2 დასკვნა. ასევე დადასტურებულია ის გარემოება, რომ ლ. ა-იანის მშობლები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ქვესადგურში, რამაც გამოიწვია მათი სიმსივნით დაავადება და ადრეული სიკვდილი. ასევე დადასტურებულად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ მ. მ-მის დედა გათხოვებამდეც და შემდგომაც ცხოვრობდა ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის გამოც მან და მისმა შვილმა მიიღეს ჯანმრთელობისათვის საშიში დასახივება. აღნიშნულმა გამოიწვია მ. მ-მის ლეიკემიით დაავადება, რაც გამოიხატა მეტად მძაფრი სიმპტომებით და საჭიროებდა რთულ მკურნალობას. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ, ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ლეიკემიის გამომწვევი ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს ხშირი და ძლიერი ელექტროენერჯის დასახივება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად, ხოლო ლ. ა-იანის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო ის გარემოება, რომ მ. მ-მე წყალტუბოს რ-ნის სოფ. ... არ ცხოვრობდა და ელექტროქვესადგურში არ მუშაობდა. ამავდროულად, სასამართლომ დაუდგენლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მ. მ-მე დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ელექტრული ველის უშუალო ზემოქმედების არეალში.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მ. მ-მის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რისთვისაც აუცილებელია, დადგინდეს ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის სავალდებულო ოთხი წინაპირობის არსებობა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

საკასაციო პალატა სარჩელზე უარის თქმის საფუძვლად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ შესძლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის დამაჯერებლად და სარწმუნოდ განხორციელება, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნული ნორმა განამტკიცებს მოდავე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის თანაბრად გადანაწილებას - ორივე მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს წარდგენილი სარჩელისა თუ შესაგებლის საფუძვლიანობა. მტკიცების პროცესი მოიცავს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა შეგროვებას და სასამართლოში წარდგენას. მხარე უფლებამოსილია და ვალდებული, თვითონვე დაამტკიცოს მის მიერ

მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი პირდაპირ და არსებით გავლენას ახდენს დავაზე და, შესაბამისად, განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს.

მოცემულ დავაში მოსარჩელე ზიანის, მ. მ-ძის ლეიკემიით დაავადების გამომწვევ მიზეზად უთითებდა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მ. მ-ძე დაავადებამდე ცხოვრობდა რა სოფ. . . . , სადავო ნაგებობიდან გამომდინარე, ელექტრული ველის უშუალო ზემოქმედების არეალში უხდებოდა ყოფნა. ამ ფაქტობრივი გარემოების დამაჯერებლად გამოკვლევისა და დადგენის საჭიროებაზე ხაზგასმით მითითებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 28 მარტის განჩინებითაც. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ დასახელებულ გარემოებას არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ანუ მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უპირველესად უნდა დადგენილიყო, იმყოფებოდა თუ არა (დადებით შემთხვევაში - რა ხანგრძლივობით) მ. მ-ძე ჯანმრთელობისათვის საშიშ ზონაში. აღნიშნულის მტკიცება კი მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა. გასაჩივრებული განჩინებით სასამართლოს დასკვნა, რომ მ.მ-ძე სოფ. . . . არ ცხოვრობდა, ეყრდნობა თვით მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას. მიუხედავად საკასაციო სასამართლოს მითითებებისა, მოსარჩელეს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისას საწინააღმდეგოს დამამტკიცებელ დოკუმენტზე არ მიუთითებია და საგულისხმოა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით არც საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას. თავისთავად ზიანის - ლეიკემიით დაავადების არსებობა კი არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას უნდა შემოწმდეს ზიანის მკვალიფიციურებელი წინაპირობები, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი პირობის არარსებობა დაშვებულია კანონით (მაგ: სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მესამე ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის დადგენილი არ არის, ვინაიდან მხარემ ვერ დაამტკიცა ჯანმრთელობის დაზიანება საშიშ გარემოში დიდხანს ყოფნით.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული საკასაციო საჩივრის ზოგადი მითითებები, რომ სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას. ასევე ზოგადია და დაუსაბუთებელი მითითება სარჩელის საფუძვლად დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენის შესახებ. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორმა ვერ შეძლო დამტკიცებინა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევის თაობაზე, რაც კასაციაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აქვე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ დავაზე მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ზიანის ანაზღაურების კანონიერების საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანს წარმოადგენდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისა და ბრალის საკითხის გამოსარკვევად მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი ანუ სასამართლოს, მ. მ-ძის სადავო ტერიტორიაზე ყოფნის(ცხოვრების) ფაქტის დადგენის შემდეგ, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებით უნდა დაედგინა, მოქმედებდა თუ არა ამ ქმედებაში ეჭვმიტანილი პირი - მოპასუხე მართლსაწინააღმდეგოდ. როგორც გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში აღინიშნა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. ასეთი მოთხოვნის აუცილებელი პირობის - მიზეზობრივი კავშირის დაუდგენლობა. ვინაიდან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ამ გარემოებებით არ არის გამოწვეული, საკასაციო სასამართლო აღნიშნულზე სააპელაციო პალატის კვლევასა და დასკვნებს არ აფასებს. თუმცა აქვე უთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის თანაბარი გადანაწილების ზოგადი დანაწესიდან განსხვავებით ზოგჯერ მოქმედებს საპროცესო ან მატერიალური სამართლით გათვალისწინებული გამონაკლისი. ზოგიერთ შემთხვევაში მატერიალური სამართლის ნორმებით მტკიცების ტვირთი შებრუნებულია (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი, 992-ე, 995-ე, 1012-ე მუხლები და სხვ), რა დროსაც მოწინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგო არ არის.

რაც შეეხება ლ. ა-იანის საკასაციო საჩივარს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი უნდა დარჩეს განუხილველად, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექ-

სის 372-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო 187-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ა-იანმა და მ. მ-მემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარისათვის მორალური ზიანის, მომავალში მკურნალობის ხარჯებისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, თუმცა 2008 წლის 23 დეკემბრის განცხადებით კასატორებმა უარი თქვეს მოთხოვნაზე მატერიალური ზიანის - 64 270 ლარის ანაზღაურების შესახებ.

ამდენად, მოცემულ ეტაპზე საკასაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. მ-ის მოთხოვნა მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო მკურნალობის ხარჯებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამდენად, საკასაციო საჩივრით სადავოა რა მ. მ-ის უფლების დარღვევა, ლ. ა-იანი არ არის უფლებამოსილი, იდავოს მ.მ-ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. ამავე კოდექსის 396-ე მესამე ნაწილის მიხედვით, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ა-იანის საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

ლ. ა-იანის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

განჩინება

#ას-342-661-09

26 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-მემ სარჩელით მიმართა სასამართლოს სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ქ. საგარეჯოს გამგეობის 2000 წლის 19 ივლისის #73 დადგენილებით მიიღო ქ. საგარეჯოში, ... ქ. #104-ში მდებარე 720 კვ. მ მიწის ნაკვეთი, რომელიც 1964 წლიდან ირიცხებოდა დედის-ნ. მ-ის სახელზე. საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 2001 წლის 5 ნოემბერს. წლების მანძილზე მოპასუხე ორგანიზაციას მის სახელზე რეგისტრირებუ-

ლი 720 კვ. მ-დან დაკავებული აქვს 320 კვ.მ, რომელიც მის უკანონო მფლობელობაშია და ხელს უშლის მოსარჩელეს მიწის ნაკვეთით სარგებლობაში.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2002 წლის 9 ოქტომბერს წერილობით მიმართა მოპასუხე ორგანიზაციას და მოითხოვა დაკავებული ფართის განთავისუფლება, თუმცა უარი მიიღო.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისთვის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით გ. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" დაევალა, გაათავისუფლოს გ.მ-მის სახელზე რეგისტრირებული 320 კვ. მ მიწის ნაკვეთი, მასვე აეკრძალა მესაკუთრისათვის საკუთრების უფლების განხორციელებისათვის ხელშეშლა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით გ. მ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება გ. მ-მის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გ. მ-მის სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში და სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" დაეკისრა 2005 წლის ივლისიდან 2008 წლის ივნისამდე თვეში 150 ლარის, სულ 5400 ლარის გადახდა გ. მ-მის სასარგებლოდ.

სააპელაციო პალატამ არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გ. მ-მის მიერ სარჩელით მოთხოვნილ იქნა სადავო მიწის ქირა და სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენდა ნივთის უკანონო მფლობელობით მიყენებული ზიანი, რისი ოდენობაც მოსარჩელის მიერ განსაზღვრული იყო იმ სავარაუდო ქირის ოდენობით, რომელსაც იგი მიიღებდა ნივთი მის მფლობელობაში რომ ყოფილიყო, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ 150 ლარით განსაზღვრა. სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოპასუხე სამართლებრივი საფუძველის გარეშე ფლობდა მოსარჩელის მიწის ნაკვეთს და მისი მოქმედების შედეგად მესაკუთრემ ვერ მიიღო შემოსავალი, რომელსაც იგი მიიღებდა, ხელი რომ არ შეეშალათ საკუთრების სარგებლობაში, შესაბამისად, სს „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“ ვალდებულია, გ. მ-მეს აუნაზღაუროს ნივთის უკანონო ფლობით მიყენებული ზიანი.

ასევე, სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ გ. მ-მე მიწის მესაკუთრედ აღირიცხა 2001 წლის 5 ნოემბრიდან. აღნიშნულ ფართს იმავე თარიღიდან ფლობს მოპასუხეც, შესაბამისად, გ. მ-მეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა ამ დღიდან, ვინაიდან დაზუსტებული სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით გ. მ-მემ აღძრა 2008 წლის 12 ივნისს.

პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ქირა 150 ლარი არ შეესაბამება საზაზრო ღირებულებას, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული ცნობა, რომლის შინაარსიდანაც სადავო მიწის 1 კვ.მ ფასი შეადგენს 7.02 ლარს, ხოლო აღნიშნული მიწის ნაკვეთი გასაქირავებელი ფასის შესაბამისია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა 2007 წლის 4 ივლისის საქართველოს მთავრობის #134 დადგენილება „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“, რომლის საფუძველზეც, მკაცრადაა განსაზღვრული საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესი, მათი დაცვის ზონები და ამ ზონებში სამუშაოთა წარმოების წესი. ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, „ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელთა საკუთრებაში ან მფლობელობაში არის მიწის ნაკვეთი, რომლებზეც ხაზები გადის, ვალდებული არიან, განხორციელონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა ხაზების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად“. ამავე დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით, „აკრძალულია ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ხაზების ნორმალური ფუნქციონირება“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ გ. მ-ძის სახელზე ირიცხება 720 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. საგარეჯოში ... ქ. #104-ში. საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 2001 წლის 5 ნოემბერს. რეგისტრაციის საფუძველია ქ. საგარეჯოს გამგეობის 2000 წლის 19 ივლისის დადგენილება და 2001 წლის 8 მაისის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი.

სააპელაციო სასამართლოს ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-ძის სახელზე რეგისტრირებული 720 კვ.მ-დან 320კვ.მ იმყოფება სს "გაერთიანებული ტელეკომის" მფლობელობაში. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სს "გაერთიანებული ტელეკომის" სააპელაციო საჩივრის ის ნაწილი, რომლითაც იგი ითხოვდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებას, არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ის ნაწილი, რომლითაც სს "გაერთიანებული ტელეკომის" მხრიდან სადავო მიწის ნაკვეთის უკანონო ფლობის ფაქტი დადგინდა. ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს გ. მ-ძის მიუღებელი შემოსავლის დაკმაყოფილების ნაწილში გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. მ-ძის მოთხოვნა და სს "გაერთიანებული ტელეკომის" დაეკისრა გ. მ-ძის სასარგებლოდ 2005 წლის ივნისიდან 2008 წლის ივნისამდე 150 ლარის, სულ 5400 ლარის გადახდა, იმდენად არასრულია და დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ მოპასუხე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა მოსარჩელის მიწის ნაკვეთს და მისი მოქმედების შედეგად მესაკუთრემ ვერ მიიღო შემოსავალი, რომელსაც იგი მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუკი ნივთს უკანონოდ არ დაეუფლებოდნენ, შესაბამისად, სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ვალდებულია, გ. მ-ძეს აუნაზღაუროს ნივთის უკანონო ფლობით მიყენებული ზიანი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და ამასთან ერთად არ გამოიკვლია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც აუცილებელია ამ ნორმის კვალიფიკაციისათვის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, "ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო". განსახილველი ნორმის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ ფაქტის მტკიცება, რომ მიუღებელი შემოსავლის მიღება იყო რეალურად მოსალოდნელი, ეკისრება კრედიტორს. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელია მისი ოდენობის მაკვალიფიცირებელ ნიშნებზე აპელირება.

საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სს "გაერთიანებული ტელეკომის" შესაგებელში მითითებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესები, კერძოდ, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სადავო მიწის ნაკვეთის ქვეშ გადიოდა და დღესაც გადის კავშირგაბმულობის ჭა და კაბელები, რომელსაც ფლობდა საგარეჯოს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი, რომლის სამართალმემკვიდრეა კასატორი.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს ზემოაღნიშნულ საკითხებზე, რაც აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გ. მ-ძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მიყენებული ზიანის ოდენობა მოსარჩელის (გ. მ-ძეს) მიერ განსაზ-

ღვრული იყო იმ სავარაუდო ქირის ოდენობით, რომელსაც იგი მიიღებდა ნივთი მის მფლობელობაში რომ ყოფილიყო, ანუ ნივთის გაქირავებით მიღებული თანხით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, თუ რა მიზნის განსახორციელებლად ჰქონდა დაკავებული სადავო მიწის ნაკვეთი სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას", გადიოდა და დღესაც გადის თუ არა სადავო მიწის ნაკვეთის ქვეშ კავშირგაბმულობის ჭა და კაბელები, რომელსაც ფლობდა საგარეჯოს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი. აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში, რამდენად შესაძლებელი იყო სადავო მიწის ნაკვეთის გამოყენებით მოსარჩელის მიერ მითითებული შემოსავალის მიღება იმ პირობებში, როდესაც სადავო მიწის ნაკვეთის ქვეშ გადის კავშირგაბმულობის ჭა და კაბელები.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, წარმოადგენს თუ არა ეს კაბელები საქართველოს მთავრობის 2007 წლის 4 ივლისის #134 დადგენილებით დამტკიცებული "ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების და მათი დაცვის ზონების შესახებ" პირველი მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობასა და აღნიშნული ნაგებობის თავისებურების გათვალისწინებით, მოსარჩელეს მიერ მითითებული შემოსავალის მიღების წინაპირობები რამდენად შესაბამებოდა ზემოაღნიშნული წესების მოთხოვნებს.

ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს, რამდენად მიუძღვის ბრალი სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" მოსარჩელის მიერ მიუღებელი შემოსავლის მიღებაში.

კონკრეტულ შემთხვევაში მიუღებელი შემოსავალია, რომელიც შეიძლება, მიეღო გ. მ-ძეს, თუ მის მიერ მითითებული დანიშნულებით ამ მიწის ნაკვეთს მართლზომიერად გამოიყენებდა მოპასუხის ხელშეშლის არარსებობის შემთხვევაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დელიქტური ვალდებულებანი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-290-612-09

28 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტერების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 8 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიურომ მოპასუხე რ. ე-უას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 3750 ლარის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ 2001 წლის 21 სექტემბერს, დაახლოებით 11.00 საათზე, რ. ე-უა, რომელიც მინდობილობით მართავდა ჯ. ბ-ურის კუთვნილ, "ვაზ-2107" მარკის PA8-011 ავტომანქანას, შეეჯახა ფეხით მოსიარულე ლ. რ-შვილს, რომელიც მიყენებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა;

ავტომობილს ტექნიკური დათვალიერება გავლილი არ ჰქონდა და იგი სავალდებულო წესით დაზღვეული არ ყოფილა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ, რამდენადაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა დაუზღვეველი ავტოტრანსპორტით, "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სავალდებულო დაზღვევის ბიუროში წარდგენილ იქნა დაზარალებულის (გარდაცვლილ ლ. რ-შვილის მეუღლის) განცხადება ზიანის ანაზღაურების შესახებ. სავალდებულო დაზღვევის ბიურომ განიხილა წარდგენილი საბუთები და აანაზღაურა ზიანი ამავე კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ოდენობით - 3750 ლარით.

"ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელი ვალდებულია, დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოტრანსპორტზე. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ დაარღვია აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სავალდებულო წესით არ დააზღვია სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის კუთვნილებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებაზე და უკანონო ქმედებით ზიანი მიაყენა სავალდებულო დაზღვევის ბიუროს. შესაბამისად, "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბიურო უფლებამოსილი იყო, პასუხისმგებელი პირის დადგენის შემთხვევაში გაცემული თანხის რეგრესული მოთხოვნა წაეყენებინა უშუალოდ ზიანის მიმყენებელი პასუხისმგებელი პირის, კონკრეტულ შემთხვევაში რ. ე-უასათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროს სარჩელი დაკმაყოფილდა, რ. ე-უას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 3750 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2001 წლის 21 სექტემბერს რ. ე-უა მინდობილობით მართავდა ჯ. ბ-ურის კუთვნილ ავტომანქანას; ავტომანქანა დაზღვეული არ ყოფილა "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად; სავალდებულო დაზღვევის ბიურომ დაზარალებულ ლ. რ-შვილს 2002 წლის 25 ოქტომბერს აუნაზღაურა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი 3750 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-3, მე-11, 22-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მფლობელი ვალდებულია, დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ყოველ ავტომოტოტრანსპორტზე. მფლობელს, რომელიც არ დააზღვევს თავის სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ეკისრება სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება; დაზარალებულს სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის სიკვდილის შემთხვევაში უნაზღაურდება ზიანი 100 პროცენტის ოდენობით, სადაზღვევო თანხის სიდიდე არ შეიძლება იყოს 3750 ლარზე ნაკლები; სავალდებულო დაზღვევის ბიუროდან ხორციელდება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია დაუზღვეველი ავტოტრანსპორტით და პასუხისმგებელი პირის დადგენის შემთხვევაში ბიურო უფლებამოსილია, რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს უშუალოდ ზიანის მიმყენებელს.

გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას მფლობელის ნებართვის გარეშე ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ დაზარალებულს ზიანი უნდა ანაზღაურებოდა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ბიუროდან, რომელსაც უფლება გააჩნდა, რეგრესული მოთხოვნა წაეყენებინა ავტომანქანის მფლობელისათვის. საქმეზე დგინდებოდა, რომ ავტომანქანის მფლობელი იყო რ. ე-უა, რომელიც ავტომანქანას მართავდა მინდობილობით და რომლის შეჯახების შედეგად გარდაიცვალა ლ. რ-შვილი. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ე-უა პასუხისმგებელი იყო 3750 ლარის ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ე-უამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტი განმარტავდა, რომ "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელი არის პირი, რომლის საკუთრებაშია ავტომოტოტრანსპორტი ან მართლზომიერად განაგებს მას. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მინდობილობა მას ანიჭებდა მხოლოდ მართვის უფლებას. მოპასუხის მიმართ დასახელებული კანონის გამოყენება არაკანონიერი იყო, ვინაიდან იგი ავტომანქანის არც მესაკუთრეს და არც მფლობელს არ წარმოადგენდა.

აპელანტი არასწორად მიიჩნევდა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სავალდებულო დაზღვევის ბიუროს გააჩნდა ზიანის მიმყენებლისაგან რეგრესის წესით თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მისი აზრით, აღნიშნული დასკვნის გამოტანისას საქალაქო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის შესაბამისად, სადაზღვევო ორგანიზაცია დაზარალებულს არ აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, თუ იგი გამოწვეულია თვით დაზარალებულის განზრახი ქმედებით (მუხლი მე-10). ამასთან, დაზარალებული ვალდებულია, წარუდგინოს მზღვეველს მისთვის ცნობილი ყველა არსებითი ინფორმაცია, რომელიც ზიანის მიყენებას და მფლობელის ბრალეულობას ეხება (მუხლი მე-13). საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ფონდის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, დაზარალებულის წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს დაუზღვეველი შემთხვევის გამო პასუხისმგებელი პირის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. სადავო შემთხვევაში კი გამომძიებლის 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილების თანახმად რ. ე-უას მიმართ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით რ. ე-უას სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სავალდებულო დაზღვევის ბიურო, მოპასუხე ფიზიკური პირისაგან, რ. ე-უასაგან, ითხოვდა თანხის ანაზღაურებას "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, პასუხისმგებელი პირის დადგენის შემთხვევაში ბიურო უფლებამოსილია, გაცემული თანხის რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს უშუალოდ ზიანის მიმყენებელ პასუხისმგებელ პირს. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით. ანუ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გადახდილი თანხის რეგრესის წესით დაკისრების მოთხოვნა, რაც არსებითად სამოქალაქო კოდექსის ნორმებით უნდა დარეგულირდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავის საგანი, რომელიც, აღნიშნული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხილვას ექვემდებარებოდა, არ არსებობდა. დავის საგანი გამომდინარეობდა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, საქმე განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. ე-უას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: სსიპ საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროს სარჩელი დაკმაყოფილდა - რ. ე-უას საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროს სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 3 750 ლარის ოდენობით.

საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2001 წლის 21 სექტემბერს დაახლოებით 11.00 საათზე ... გამზირზე, მეტრო "300 არაგველის" წინ ავტომობილი "ვაზ-2107" მარკის ავტომანქანა დაეჯახა ფეხით მოსიარულე ლ. რ-შვილს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა;

ავტომანქანა გაფორმებული იყო ჯ. ბ-ურზე და მას მინდობილობით მართავდა მოპასუხე რ. ე-უა;

ავტომანქანა იყო დაუზღვეველი და მას გავლილი არ ჰქონდა ტექნიკური დათვალიერება; თბილისის საგამომიებო სამმართველოს განყოფილების გამომძიებლის 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით რ. ე-უას მიმართ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო;

საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიურომ 2002 წლის 25 ოქტომბერს დაზარალებულის მეუღლეს ლ. რ-შვილს აუნაზღაურა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი 3750 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რ. ე-უა არ უნდა მიჩნეულიყო მოცემული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე ავტომანქანის მფლობელად, რადგან იგი ავტომობილს მართავდა უბრალო მინდობილობის საფუძველზე, რომელსაც შეიძლება ვადაც ჰქონდა გასული, მით უფრო, რომ მინდობილობა საქმეში წარდგენილი არ იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა თავად რ. ე-უას მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ახსნა-განმარტებაზე, სადაც ეს უკანასკნელი ადასტურებდა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს ავტომანქანას მართავდა მინდობილობით, რომელიც გაფორმებული ჰქონდა ბ-ურისგან ერთ წლის და ექვსი თვის ვადით. მოცემული ფაქტი დასტურდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის თბილისის საგამომიებო სამმართველოს ცნობითაც, რომელიც საქმეში დაცული იყო.

"ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელია ნებისმიერი პირი, რომლის საკუთრებაშია ავტომოტოტრანსპორტი ან მართლობითად განაგებს მას. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ასევე კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ე-უა ავტომანქანას მართლობითად განაგებდა და იგი ამ ავტომანქანის მფლობელად უნდა მიჩნეულიყო.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რ. ე-უას მოსაზრება იმის შესახებ, რომ სავალდებულო დაზღვევის ბიურომ დაზარალებულის წარმომადგენელს სადაზღვევო თანხა გადაუხადა კანონის დარღვევით, რადგან ბიუროში წარდგენილი არ ყოფილა სათანადო დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდებოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ლ. რ-შვილის გარდაცვალების ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლ. რ-შვილის გარდაცვალების მოწმობაში მითითებული არ იყო სიკვდილის მიზეზი (რადგან გვამი არ გაკვეთილა), თუმცა ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი 2001 წლის 21 სექტემბერს ავტომანქანის, რომელსაც მართავდა რ. ე-უა, დაჯახების შედეგად გარდაიცვალა, დასტურდებოდა თბილისის საგამომიებო სამმართველოს განყოფილების გამომძიებელ დ. ძ-იას 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით. ამ დოკუმენტის მიხედვით, ლ. რ-შვილის გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევით დადგენილია, რომ მისი სიკვდილის მიზეზია ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმა, ქალა სარქველისა და ფუძის ძვლების მრავალფრამენტოვანი მოტეხილობა, რომლებიც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით. ტრასოლოგიური გამოკვლევით დადგენილია, რომ ავტომობილს "ვაზ-2107" დაზიანებული აქვს ძრავის სახურავის მარჯვენა ნაწილი და საქარე მინის მარჯვენა ნაწილი, რომლებიც წარმოქმნილია რაიმე, მასზე უფრო რბილი საფარის მქონე სხეულთან ურთიერთქმედებით, როგორც შეიძლება იყოს ადამიანის სხეულიც.

ზემოთითებული მტკიცებულებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ლ. რ-შვილის სიკვდილის მიზეზი გახდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელი ვალდებულია, დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ყოველ ავტომოტოტრანსპორტზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რ. ე-უამ სწორედ კანონის მითითებული ნორმა დაარღვია, რითაც ზიანი მიაყენა სავალდებულო დაზღვევის ბიუროს, რომელმაც ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე რ. ე-უას მფლობელობაში არსებული დაუზღვეველი ავტომოტოტრანსპორტით გამოწვეული ზიანი აუნაზღაურა ლ. რ-შვილის მეუღლეს მითითებული კანონის მე-11 მუხლით დადგენილი ოდენობით. ამასთან, მოცემული კანონის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პასუხისმგებელი პირის დადგენის შემთხვევაში ბიურო უფლებამოსილია გაცემული თანხის რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს უშუალოდ ზიანის მიმყენებელ პასუხისმგებელ პირს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული კანონის 22-ე მუხლი ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესების დაცვას, როდესაც ზიანი გამოწვეულია დაუზღვეველი ავტომოტოტრანსპორტით. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდება სახელმწიფო

სავალდებულო დაზღვევის ბიუროდან, რომელსაც უფლება აქვს, რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს უშუალოდ ზიანის მიმყენებელ პასუხისმგებელ პირს (ავტომანქანის მფლობელს). სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ პირს წარმოადგენდა მოპასუხე რ. ე-უა, რომელსაც მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 3750 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას ექვემდებარებოდა, რამდენადაც მოცემული საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოხდა განსჯადობის წესების დარღვევით, ანუ საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის ნაცვლად განხილულ იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" პუნქტიდან გამომდინარე, თავისი შინაარსით უთანაბრდებოდა არაკანონიერი შემადგენლობის მიერ საქმის განხილვას.

დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ე-უამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

"ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელია ნებისმიერი პირი, რომლის საკუთრებაშია ავტომოტოტრანსპორტი ან მართლობიერად განაგებს მას. სადავო არ არის, რომ რ. ე-უა არ წარმოადგენდა ავტომოტოტრანსპორტის მესაკუთრეს. აქედან გამომდინარე, მტკიცებას საჭიროებდა ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი მართლობიერად განაგებდა ავტომანქანას. მოპასუხის მხრიდან ავტომანქანის მართლობიერად ფლობის დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ახსნა-განმარტებაზე, რომ იგი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს ავტომანქანას მართავდა მინდობილობით, რომელიც გაფორმებული ჰქონდა ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით. სინამდვილეში რ. ე-უამ განმარტა, რომ ბ-ურისაგან გაფორმებული ჰქონდა მინდობილობა ექვსი თვის ან ერთი წლის ვადით, რომელიც გენერალური არ იყო, რაც აბსოლუტურად განსხვავდება სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ჩვენების შინაარსიდან. ასეთ ვითარებაში სრულიად ლოგიკურად ჩნდება კითხვები: სადავო შემთხვევაში რა სახის მინდობილობა იყო სახეზე, აძლევდა თუ არა ეს მინდობილობა რ. ე-უას ავტომანქანის განკარგვის უფლებას, შეეძლო თუ არა მოპასუხეს აღნიშნული ავტომანქანა გაეტარებინა ტექნიკურ დათვალიერებაზე, რომლის გარეშეც მას ვერ დააზღვევდა, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მინდობილობას ხომ არ ჰქონდა გასული მოქმედების ვადა. დასახელებულ კითხვებზე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება პასუხებს არ შეიცავს. რ. ე-უას განმარტებით, მინდობილობით მას ავტომანქანის ტექნიკურ დათვალიერებაზე გატარება არ შეეძლო, შესაბამისად, არც მისი დაზღვევის უფლება ჰქონდა, იგი მხოლოდ ავტომანქანის მართვის უფლებას იძლეოდა.

კასატორი მიუთითებს "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმად, სადაზღვევო ორგანიზაცია დაზარალებულს არ აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, თუ იგი გამოწვეულია თვით დაზარალებულის განზრახი ქმედებით. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, დაზარალებული ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს მისთვის ცნობილი ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება ზიანის მიყენებასა და მფლობელის ბრალეულობას. ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებისათვის დაზარალებულმა ან დაზარალებულის წარმომადგენელმა ბიუროში უნდა წარადგინოს დოკუმენტები, რომლებიც განისაზღვრება ბიუროს დებულებით. სავალდებულო დაზღვევის ბიუროს დებულების მე-11 მუხლში კი აღნიშნულია, რომ დაზარალებულის წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს დოკუმენტები განცხადების სახით და მას უნდა დაერთოს: ა. გარდაცვალების მოწმობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანების გამო; ბ. დაუზღვეველი ტრანსპორტით გამოწვეული შემთხვევის გამო პასუხისმგებელი პირის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

კასატორის აზრით, სადავო შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ უგულებელყოფილია ზემოთ დასახელებული კანონისა და დებულების მოთხოვნები. საქმეში არ არსებობს გარდაცვალების მოწმობა, რომელიც დასაბუთებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანების გამო დაზარალებულის გარდაცვალებას. უფრო მეტიც, წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობით ლ. რ-შვილის სიკვდილის მიზეზი დაუდგენელია. ამ მიზეზის დასადგენად გამომიგებელ დ. ძ-იას 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებაში ასახულ ფაქტებზე მითითება არადამაჯერებელია. გარდა ამისა, არ არსებობს მოპასუხის მიმართ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი. პირიქით, არსებობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის

თქმის შესახებ გამომძიებლის დადგენილება რ. ე-უას ქმედებაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო.

კასატორის მითითებით, სავალდებულო დაზღვევის ბიურომ, ნაცვლად იმისა, რომ დაწვრილებით განეხილა წარდგენილი საბუთები, საეჭვო საკითხების გადასაწყვეტად დამატებით გამოეთხოვა შესაბამისი დაწე-ულებიდან საჭირო ცნობები და დოკუმენტები, დაზარალებულის წარმომადგენელს უკანონოდ აუნაზღაურა ზიანი 3750 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მოსარჩელეს არ გააჩნია კანონდარღვევით გაცემული თანხის რ. ე-უასაგან რეგრესული მოთხოვნის უფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ იგი არ წარმოადგენს "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელია ნებისმიერი პირი, რომლის საკუთრებაშია ავტომოტოტრანსპორტი ან მართლობიერად განაგებს მას. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სადავო შემთხვევაში რ. ე-უა წარმოადგენდა ავტომანქანის მართლობიერ მფლობელს, კერძოდ, იგი ავტომანქანას მართავდა მინდობილობის საფუძველზე, ხოლო კასატორს ამასთან დაკავშირებით არ აქვს წამოყენებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. იგი ვერ ადასტურებს, რომ მინდობილობას ვადა ჰქონდა გასული და ვერც საქმეში არსებულ რომელიმე მასალაზე მიუთითებს, რომელიც სააპელაციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით არ გამოიკვლია და რის საფუძველზეც სხვაგვარი ფაქტობრივი გარემოება დადგინდებოდა.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ლ. რ-შვილის გარდაცვალება. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ლ. რ-შვილის გარდაცვალება რ. ე-უას მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის დაჯახების შედეგად სრულად დასტურდება საქმის მასალებით, კერძოდ, თბილისის საგამომძიებო სამმართველოს განყოფილების გამომძიებლის 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს რ. ე-უასათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

სადავო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია "ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მოსარჩელე სსიპ საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიურო აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე ითხოვს გაცემული თანხის რეგრესული წესით ანაზღაურებას რ. ე-უასგან, როგორც ამ ნორმით გათვალისწინებული "უშუალოდ ზიანის მიმყენებელი პასუხისმგებელი პირისგან". მოცემული კანონის დაცვის ობიექტია სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევა - ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ანუ იმგვარი პასუხისმგებლობა, რომელიც შესაძლებელია დადგეს, თუკი, საერთოდ, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა დგება.

"ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონი ცალკე გამოყოფს, ერთი მხრივ, დაზღვეული და, მეორე მხრივ, დაუზღვეველი, დაუდგენელი და გატაცებული ტრანსპორტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს. პირველ შემთხვევაში დაზარალებულს ზიანს უნაზღაურებს სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, შემდგომ მოთხოვნა რეგრესის წესით წაუყენოს ზიანის მიმყენებელ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელს. მეორე შემთხვევაში დაზარალებულს ზიანს უნაზღაურებს სავალდებულო დაზღვევის ბიურო, რომელიც, თავის მხრივ, ასევე უფლებამოსილია, გაცემული თანხის რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელ პასუხისმგებელ პირს.

ზემოაღნიშნული კანონი და მის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ფონდის დებულება" საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით ყურადღებას აქცევს როგორც დაზარალებულის, ისე - მფლობელის ბრალეულობას. დაზარალებულს არ უნაზღაურდება როგორც დაზღვეული, ისე დაუზღვეველი ავტომანქანით მიყენებული ზიანი, თუკი ზიანი გამოწვეულია თავად დაზარალებულის განზრახვი ქმედებით ან დაუძლეველი ძალის მოქმედებით (კანონის მე-10 მუხლი,

დებულების 11.5 მუხლი). რაც შეეხება მფლობელის ბრალს, აღნიშნულ საკითხს კანონი აწესრიგებს მხოლოდ დაზღვეული ავტომანქანის მფლობელის შემთხვევაში, კერძოდ, რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობას მფლობელს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში აკისრებს: ზიანის განზრახ მიყენებისას, ალკოჰოლური, ტოქსიკური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომობილის მართვისას, მართვის უფლების არქონისას (მუხ. მე-17). ბიუროს მიერ დაუზღვეველი ავტომანქანის მფლობელისათვის რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენების შემთხვევასთან მიმართებით კანონი ასეთ სპეციალურ რეგულირებას არ შეიცავს, თუმცა არც რაიმე იმპერატიულ მითითებას იძლევა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენებისას მფლობელის ბრალის საკითხს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. ამასთან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონი საუბრობს მოთხოვნის წაყენებაზე მხოლოდ "პასუხისმგებელი პირისადმი". საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამასთან დაკავშირებით კანონის ნორმებს ავსებს სამოქალაქო კოდექსის ნორმები ზიანის ანაზღაურების დროს პირის პასუხისმგებლობის შესახებ და რომ ამ შემთხვევაში მფლობელს შეიძლება რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნა წაეყენოს მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების არსებობისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რ. ე-უას, როგორც მფლობელის რეგრესული წესით ზიანის ანაზღაურებაზე სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით პასუხისმგებელ პირად მიჩნევის ნაწილში დაუსაბუთებელია. ამასთან, ამ საკითხზე საქმე არ საჭიროებს ფაქტობრივი გარემოებების დამატებით დადგენას, რის გამოც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად გამოიტანოს გადაწყვეტილება.

დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში რ. ე-უას მიერ ავტო-სატრანსპორტო შემთხვევა დადგა დაუზღვეველი ავტოტრანსპორტით.

ასევე დადგენილია, რომ თბილისის საგამომიებო სამმართველოს გამომძიებლის 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით მძღოლ რ. ე-უას მიმართ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო. დადგენილების მიხედვით, შემთხვევის დადგომისას ავტომობილის საჭით მართვის მექანიზმი და საზღვრუქი სისტემა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იყო, ავტოტექნიკური გამოკვლევით დგინდებოდა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მძღოლ რ. ე-უას განკარგულებაში არსებული მანძილისა და დროის სიმცირის გამო ეს უკანასკნელი ფეხით მოსიარულზე დაჯახების თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა და მას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონი არ დაურღვევია. ამავე დადგენილების მიხედვით, ავტოსატრანსპორტო შემთხვევა თავად დაზარალებულის მიერ გამოწვეულია მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით, კერძოდ, მან წინ გადაურბინა ავტომობილს იმდენად სწრაფად და მოულოდნელად, რომ ავტომობილმა ვერ მოასწრო დამუხრუჭება.

ამდენად, თბილისის საგამომიებო სამმართველოს გამომძიებლის 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე დგინდება, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში რ. ე-უას არ მიუძღვის ბრალი, ხოლო დაზარალებული მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, ბრალის არქონის გამო, არ არსებობს პირისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო საფუძველი. ამ შემთხვევაში არც აღნიშნული კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის პირობებია სახეზე, რამდენადაც მოცემული ნორმა არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას ისეთ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ახორციელებდა სატრანსპორტო საშუალების მართლზომიერ ექსპლუატაციას ანუ მის მიერ არ იყო დარღვეული ექსპლუატაციის წესები. მომეტებული საფრთხის წყაროდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს ეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი წარმოიშობა იმ მიზეზის გამო, რის გამოც აღნიშნული მომეტებული საფრთხის წყაროდ მიიჩნევა, ანუ შედეგი, ყოველგვარი გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე, უშუალო კავშირში უნდა იყოს საფრთხის მომეტების გამომწვევ მიზეზთან. აღნიშნული სპეციალური ნორმა, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამოწვეულია ნივთის იმ თვისებებით, რის გამოც ის მომეტებული საფრთხის წყაროს განეკუთვნება, თუ ზიანი გამოწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე, არამედ დაზარალებულის ბრალით, მაშინ პასუხისმგებლობის დაკისრება საერთო საფუძველებით ხდება.

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსით ზიანის ანაზღაურების დაკისრების შემადგენლობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს, კერძოდ, არ არსებობს ზიანის მიმყენებლის ბრალი ზიანის დადგომაში, რის გამოც სსიპ საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროს სარჩელი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

რ. ე-უას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

სსიპ საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

სსიპ საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროს დაეკისროს რ. ე-უას მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დელიქტური ვალდებულებანი

განჩინება

#ას-82-415-09

30 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჯ-შვილმა სარჩელით ყმომართა ვანის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ლ. მ-შვილისა და ზ. მ-იას მიმართ და მოითხოვა მათთვის ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სახით 10000 ლარისა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 10000 ლარის დაკისრება. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ზ. მ-იასათვის დასაკისრებელი თანხიდან მისთვის გადახდილი 1000 ლარის გამოკლება.

ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის პირველი აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ჯ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ზ. მ-იას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4000 ლარის, ხოლო ლ. მ-შვილს - 5000 ლარის გადახდა. სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ვანის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ლ. მ-შვილი და ზ. მ-ია ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და მიესაჯათ ჯარიმა 300-300 ლარის ოდენობით;

ზ. მ-იას მიმართ განაჩენი შევიდა კანონიერ ძალაში, ხოლო ლ. მ-შვილის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 16 მარტის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება;

მ. ჯ-შვილის სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას არ განხილულა;

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მოპასუხეთა ქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი, მაგრამ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მისთვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. მ-შვილმა და ზ. მ-იამ, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. მ-იასა და ლ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის პირველი აგვისტოს გადაწყვეტილება მ. ჯ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ჯ-შვილის სარჩელი ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზიანის

ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ზ. მ-იასა და ლ. მ-შვილს მ. ჯ-შვილის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 1774,14 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში განხილვის საგანს წარმოადგენდა მ. ჯ-შვილისათვის ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ჯ-შვილის სხეულის დაზიანება გამოიწვია მოპასუხეთა ქმედებამ, აღნიშნული დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი გადაწყვეტილებებით, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, პრეიურიდიციული ძალა გააჩნდათ;

სააპელაციო სასამართლოს აზრით, მ. ჯ-შვილმა ვერ დაამტკიცა, რომ აპელანტთა ქმედებით მიადგა 9000 ლარის ოდენობის ზიანი.

საქმეში წარმოდგენილი ექსპერტთა დასკვნები სასამართლომ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიიჩნია, და ჩათვალა, რომ 2004 წლის 16 ნოემბრის დასკვნას, 2005 წლის 20 ივნისის დასკვნასა და 2005 წლის 12 ივლისის დასკვნებს შორის სარწმუნო იყო 2005 წლის 12 ივლისის დასკვნა, რომლის თანახმადაც, მ. ჯ-შვილისათვის გაწეული სამედიცინო დახმარებისა და მასზე გახარჯული მედიკამენტების საერთო ღირებულება შეადგენდა 5479,14 ლარს. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ, ექსპერტთა განმარტებით, დასკვნაში შეცდომით იყო მითითებული მოსარჩელისათვის გადასხმული ალბუმინის რაოდენობა, კერძოდ, ნაცვლად 60-ისა მითითებული უნდა ყოფილიყო - 6.

გარდა აღნიშნულისა მ. ჯ-შვილს წარმოემვა 1075 ლარის დავალიანება სს "დიპლომისშემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიის კლინიკის" მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ჯ-შვილისათვის გაწეული სამედიცინო დახმარებისა და მასზე გახარჯული მედიკამენტების საერთო ღირებულება შეადგენდა 1699,14 ლარს, სულ მატერიალური ზიანი კი განისაზღვრებოდა 1699,14+1075=2774,14 ლარით. ვინაიდან სადავო არ იყო, რომ ზ. მ-იას მ. ჯ-შვილისათვის გადახდილი ჰქონდა 1000 ლარი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად ზ. მ-იასა და ლ. მ-შვილს მ. ჯ-შვილის სასარგებლოდ დააკისრა სოლიდარულად 1774,14 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც მ. ჯ-შვილმა, ისე ლ. მ-შვილმა.

ლ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებლად იქნა ცნობილი, ხოლო მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

მ. ჯ-შვილი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ნაწილობრივ უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ლ. მ-შვილისთვის და ზ. მ-იასთვის მის სასარგებლოდ 7225,86 ლარის სოლიდარულად დაკისრებას შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ იგნორირება გაუკეთა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებას და მიუხედავად იმისა, რომ ლ. მ-შვილსა და ზ. მ-იას არ წარმოუდგენიათ სრული მტკიცებულებები, ისინი გაათავისუფლა მტკიცების ტვირთიდან და თავად იკისრა სარჩელის უარყოფის მტკიცების ტვირთი, რითაც სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა და 173-ე მუხლის მოთხოვნები; ამასთან, მედიკამენტების რაოდენობასა და ღირებულების თაობაზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, და მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა, არამედ სრულიად უსაფუძვლოდ გაიზიარა ექსპერტთა მიერ სასამართლოს სხდომაზე მიცემული განმარტებები;

კასატორის აზრით, სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ უარყო საქმეში არსებული მტკიცებულებები მის მიერ მედიკამენტების შექმნის თაობაზე, როდესაც აღნიშნა, რომ მედიკამენტები შეიძინა არა მან, არამედ მისმა დედამთილმა მ. ბ-მემ;

კასატორის განმარტებით, სასამართლოს გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურების თაობაზე საერთოდ არ უმსჯელია და ისე უთხრა უარი ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ჯ-შვილმა აღნიშნა, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევით გამოიტანა, რაც მისი გაუქმების საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავოდ დადგენილია, რომ მ. ჯ-შვილის სხეულის დაზიანება გამოიწვია მოპასუხეთა ქმედებამ, აღნიშნული დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული შემავალი გადაწყვეტილებებით. დადგენილია, რომ მ. ჯ-შვილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობდა სტაციონალურად და ამბულატორულად სხვადასხვა ქალაქში და ესაჭიროებოდა მომვლელი და აღნიშნულის შესაბამისად გასწია ხარჯები. ამდენად, უდავოდ დადგენილი ფაქტია, რომ მ. ჯ-შვილი მკურნალობდა და გასწია შესაბამისი ხარჯები.

მიუხედავად დადგენილი გარემოებებისა სააპელაციო სასამართლომ უარყო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები იმ საფუძველით, რომ ცნობები გაცემულია მ. ბ-ძის და არა მ. ჯ-შვილის სახელზე. საქმის მასალებით ირკვევა, დრომ მ. ბ-ძე მ. ჯ-შვილის ოჯახის წევრია (დედამთილი) და იგი უვლიდა ავადმყოფს, შესაბამისად, ბუნებრივია წამლებსაც ის შეიძენდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე საერთოდ არ იმსჯელა გაუთვალისწინებელ ხარჯებზე, (მგზავრობა, კვება, ბინა, მომვლელის ხარჯები და სხვა), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნული კი, სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა შეაფასოს სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, და სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დელიქტური ვალდებულებანი

განჩინება

#ას-78-411-09 15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონულმა პროკურატურამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. თ-ანის მიმართ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის - 226900,96 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 მარტის განაჩენით ე. თ-ანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებითა და 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, პრეიუდიციული ძალა უნდა მიენიჭოს კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე და

33-ე მუხლის თანახმად, ე. თ-ანის მიმართ წინასწარ გამოძიებაში სამოქალაქო სარჩელი არ წარდგენილა, შესაბამისად, პროკურორი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ქარსაფარი ზოლის გაჩეხვით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1008-ე მუხლის მიხედვით, ე. თ-ანმა ჩაიდინა ზემოხსენებული დანაშაული, სახელმწიფოს მიაყენა 226 900,96 ლარის მატერიალური ზიანი და ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს იგი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2003 წლის 29 აგვისტოს ოზურგეთის რაიონის გამგებლის #60 განკარგულებით შექმნილმა კომისიამ ჩაატარა დ. ლაითურში არსებული ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ქარსაფარ ზოლში არის 21 747 ჯანსაღი ხე, მათ შორის, ამორტიზებული - 327 ძირი ხე, რომლებიც ექვემდებარებოდა მოჭრას. 2006 წლის 29 მარტის ოზურგეთის გამგებლის #95-ე განკარგულებით შექმნილი კომისიის მიერ დ. ლაითურში არსებული ქარსაფარი ზოლის განმეორებითი ინვენტარიზაციის დროს დაფიქსირდა 19 213 ძირი ხე, ამდენად, სხვაობამ შეადგინა 2 534 ძირი, საიდანაც 1 294 ძირის მოჭრა ჩაითვალა უკანონოდ. ამდენად, 1 294 ძირი ხის უკანონო ჭრით, მოსარჩელის მტკიცებით, სახელმწიფოს მიადგა 226 900,96 ლარის ზიანი. აღნიშნული კომისიის დასკვნა სარწმუნოდ არ უნდა ჩაითვალოს. მოპასუხემ მოითხოვა დასკვნის გადამოწმება შერეული კომისიის მიერ, რომელიც უნდა დაკომპლექტებულიყო დ. ლაითურის საკრებულოსა და ოზურგეთის რაიონის გამგებლის წარმომადგენლებით, მაგრამ მისი მოთხოვნა რეაგირების გარეშე დარჩა. ამის გამო, დ. ლაითურის ადგილობრივი მმართველობის 2006 წლის 16 მაისის #8 განკარგულებით, შეიქმნა კომისია 6 კაცის შემადგენლობით. აღნიშნული კომისიის მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე დგინდება, რომ დ. ლაითურის ქარსაფარ ზოლში არსებული ნარგავების რაოდენობა შეადგენდა არა 19213, არამედ - 20376 ძირ ხეს. ეს ნარგავები დ. ლაითურის ადგილობრივი თვითმმართველობის 2006 წლის 23 მაისის #8 განკარგულებით ჩაჰბარდა ახლად არჩეული დაბის გამგეობას. აღნიშნული მტკიცებულებები წარედგინა სასამართლოს, თუმცა ამ უკანასკნელს მათზე არ უმსჯელია, რითიც უხეშად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ე. თ-ანს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 226 900,96 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობს იმ სისხლის სამართლის საქმიდან, რომელზეც მიღებულია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება (განაჩენი) და დავა ეხება მსჯავრდებული პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 13 მარტის განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული ძალა გააჩნდა მოცემული საქმის მიმართ.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დადგენილი ამა თუ იმ ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭება თავისთავად არ ნიშნავს სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ამ ფაქტის უპირობოდ გაზიარებას, რაც ნიშნავს, რომ პრეიუდიცია შეიძლება გახდეს სადავო და სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც განსხვავებულად დაადგენს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს, თუმცა პრეიუდიციულად მიჩნეული ფაქტების საწინააღმდეგო ფაქტები უტყუარად უნდა დაადასტუროს იმ მხარემ, რომელიც მათ სადავოდ გახდის. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტს უნდა გაეზიარებინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 13 მარტის განაჩენით დადგენილი ფაქტები, რის უარსაყოფადაც მხარეს სასამართლოსათვის უტყუარი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ დ. ლაითურში ქარსაფარი ზოლების განმეორებითი ინვენტარიზაციის შესახებ აქტში არასწორადაა დაანგარიშებული ფაქტობრივად არსებული ხეების რაოდენობა. აღნიშნული აქტის მიხედვით, დარჩენილი ხეების რაოდენობა შეადგენს 19213-ს, თუმცა აქტში არსებული მონაცემების დაჯამებით არსებული ხეების რაოდენობა უნდა იყოს 19313, რაც ნიშნავს, რომ ქარსაფარ ზოლში მოიჭრა არა 2534, არამედ 2434 ძირი ხე. თუმცა, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით ამ ნაწილში მსჯავრდებულის ჩვენება არ გაიზიარა, მოცემულ შემთხვევაში კი აპელანტს არ მიუთითებია ამ მოწმეთა ჩვენებების უსწორობა-

ზე, არ განუმარტავს, თუ რატომ არ შეიძლებოდა მათი გაზიარება და არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად დაითვალა შესაბამისი ნებართვების საფუძველზე ამორტიზებული ხეების რაოდენობა, ვინაიდან განაჩენის მიხედვით, ე. თ-ანს ხელშეკრულებით გადაეცა სულ 21747 ძირი ხე. ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ ამ ხეებიდან მოიჭრა სულ 2534 ძირი, ამათგან უკანონოდ - 1294 ძირი, ამდენად, 1240 ძირი ხის მოჭრის ფაქტი აპელანტს ბრალად არ შეერაცხა. სასამართლოს მითითებით, აპელანტს მსჯავრი დაედო არა ხეების უკანონო ჭრის, არამედ - სამსახურებრივი გულგრილობის გამო, რადგან უკანონო ჭრების შესახებ არ აცნობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს და სახელმწიფო სატყეო მეურნეობას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის 4 დეკემბრის აქტისა და 6 დეკემბრის წერილის თანახმად, გამგეობას ნება მიეცა, მოეჭრა 32 ძირი ხე. 2005 წლის 14 ივლისის ოქმით, ქარსაფარ ზოლში მოიჭრა 156 ძირი ხე, თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, ოქმით არ ირკვევა, ამ ხეებში შედის თუ არა ის ძირები, რომელთა მოჭრის ნებართვაც არსებობდა და რომელთა უნებართვო ჭრასთან დაკავშირებითაც დაიწყო გამოძიება. ოქმითვე დადგინდა, რომ შეტრუსული იყო 187, თუმცა მოჭრას ექვემდებარებოდა მხოლოდ 32 ძირი ხე. მოგვიანებით გაიცა შეტრუსული ხეებიდან 10 მ³, 15 მ³-სა და 15 ძირი ხის მოჭრის ნებართვა. 2005-2006 წლებში დაიწყო გამოძიება სულ 240 ძირი ხის უკანონო ჭრის ფაქტებთან დაკავშირებით, თუმცა საქმიდან არ ჩანს დაიწყო თუ არა გამოძიება აპელანტის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე.

2004 წლის 11 იანვრის აქტის თანახმად, ელექტროგადამცემი ბოძების შესაკეთებლად მოიჭრა 35 ძირი ხე. პალატის მითითებით, საქმეში არსებული მიმართვებიდან, მოხსენებითი ბარათებიდან, აქტიდან და სხდომის ოქმებიდან არ ირკვევა, რომ ეს საბუთები ეხება არა უკვე მოხსენებული, არამედ სხვა ხეების ჭრების ფაქტებს. ამდენად, საქმის მასალების საფუძველზე სასამართლომ დადგინდა, რომ არსებობდა 711 ძირი და 25 მ³ ხის მოჭრის ნებართვა. ელექტროგადამცემი ბოძების შესაკეთებლად მოიჭრა 35 ძირი, ხოლო გამოძიება დაიწყო 240 ძირი ხის ჭრის ფაქტთან დაკავშირებით. ე.ი. სულ ამ პერიოდში, საბუთების მიხედვით მოიჭრა 986 ძირი და 25 მ³ ხე, რაც ხეთა იმ რაოდენობაზე ნაკლებია, რომელთა ჭრაც აპელანტს ბრალად არ შეერაცხვია. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ ინვენტარიზაციის შედეგად ქარსაფარ ზოლში დარჩენილი ხეების რაოდენობა შეადგენდა 19313-ს, საქმის მასალების მიხედვით უნებართვოდ და საგამოძიებო ორგანოებისათვის შეუტყობინებლად მოჭრილი აღმოჩნდებოდა 1448, ანუ 1240-ზე მეტი ძირი ხე.

სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა რაიონული სასამართლოს პოზიცია, რომ მოცემულ დავაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა წარმოადგენს მოთხოვნის უფლების მქონე პირს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ე. თ-ანმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

1. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სადავო ზიანის მიყენებაში კასატორის ბრალეულობის შემთხვევაში სახელმწიფო არ შეიწყალებდა ე.თ-ანს, ასევე პროკურატურა სამოქალაქო სარჩელს აღძრავდა ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს.

2. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2006 წლის 16 მაისის #8 განკარგულებით შექმნილი 6-კაციანი კომისიის აქტების მიხედვით, დ. ლაითურში არსებულ ქარსაფარ ზოლში ხეთა ნარგავების საერთო რაოდენობა შეადგენდა არა 19213, არამედ 20376 ძირს.

3. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ზიანის ანაზღაურება შეეძლო მოეთხოვა დ. ლაითურის ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობას, რომელმაც აღიარა კომისიის ხეთა ნარგავების მიერ ხელმეორედ გადათვლის შედეგები და ნარგავები 2006 წლის 23 მაისის #8 დადგენილებით ჩაბარდა ახლად არჩეული დაბის გამგეობას. ამდენად, უფლებამოსილი მხარე სადავოდ არ მიიჩნევადა ხეთა ნარგავების დანაკლისს და დანაკლისს არ აღიარებდა, შესაბამისად, დავის საგანი არ არსებობს.

4. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შესაბამისად, ე. თ-ანს უკანონოდ სადავო ნერგები არ მოუჭრია და არც მსგავსი ფაქტი რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია. სააპელაციო პალატას არ შეუფასებია კასატორის მიერ მითითებული მტკიცებულებები.

5. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ გაიზიარა რაიონული გამგეობის და არა დ. ლაითურის გამგეობის მიერ გამოყოფილი კომისიის მიერ გადათვლილი ხეთა ნარგავების რაოდენობა მაშინ, როდესაც კასატორმა არაერთგზის მოითხოვა შერეული კომისიის გამოყოფა და ხეთა ნარგავების რეალური რაოდენობის განსაზღვრა.

6. გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია, ვინაიდან, ერთი მხრივ, სასამართლო იზიარებს იმ აზრს, რომ არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ხოლო შემდეგ ეყრდნობა სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ სასამართლომ უკვე შეაფასა და არ გაიზიარა კასატორის შესაგებელი არგუმენტაცია. სააპელაციო პალატა დაეთანხმა აპელანტს, რომ აქტში დ. ლაითურში ქარსაფარი ზოლების რაიონული გამგეობის მიერ ჩატარებული განმეორებითი ინვენტარიზაციის შედეგად არასწორად დაანგარიშდა ფაქტობრივად არსებული ხეების რაოდენობა, თუმცა მითითებული ცდომილება გადაწყვეტილების დადგენილებით ნაწილში არ ასახულა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ორი ურთიერთსაპირისპირო ოფიციალური სახის დოკუმენტის არსებობისას, მათი სისწორე მხოლოდ ერთი მათგანის მიმღები კომისიის წევრების დაკითხვით ვერ გადაწყდება, ვინაიდან კომისიის წევრი დაადასტურებს იმ აქტის სისწორეს, რომელ კომისიაშიც თავად იყო და ამ აქტზე აწერს ხელს.

7. სააპელაციო პალატამ შეგნებულად აუარა გვერდი 1371 ძირი ნებართვით მოჭრილი ხეების ხარჯვით ნაწილს, სადაც შეამცირა საბუთებით მოჭრილი ხეების რაოდენობა 986 ძირამდე მაშინ, როდესაც 1371 ძირი ხის მოჭრის ნებართვა საქმეშია წარმოდგენილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ე. თ-ანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ხე-ტყის უკანონო ჭრის შესახებ შეუტყობინებლობის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას შეეხებოდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 13 მარტის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ე. თ-ანის გამგებლობის პერიოდში დ. ლაითურში უკანონოდ 1294 ძირი კრიპტომერიის ჯიშის ხე მოიჭრა, რის შედეგადაც სახელმწიფოს 226900,96 ლარის ზიანის მიაღება.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. განსახილველ შემთხვევაში, განაჩენით დადგინდა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანის მიყენების ფაქტი, პირის ბარლეულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გამარტებით, "სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემომითითებული 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენის პრეიუდიციულობის ობიექტური ფარგლები. აღნიშნული ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში პრეიუდიციული ძალა აქვს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ არა ყველა, არამედ მხოლოდ შემდეგ ფაქტებს: ა. ჰქონდა თუ არა მოქმედებას (უმოქმედობას) ადგილი; ბ. ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება კონკრეტულმა პირმა. კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ყველა სხვა ფაქტი, მათ შორის, ფაქტი იმის თაობაზე, თუ რა ოდენობის ზიანი გამოიწვია მოქმედებამ, პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის და მისი შემოწმების მოვალეობისაგან სასამართლო არ თავისუფლდება. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ოდენობა კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია და ქმედების საკითხი ოდენობის დადგენის გარეშე ვერ გადაწყდება".

ე. თ-ანს ბრალად სამსახურებრივი გულგრილობა შეერაცხა, რაც ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტების კომპეტენტური ორგანოსათვის შეუტყობინებლობაში გამოიხატებოდა. სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამსახურებრივი გულგრილობა განისაზღვრება, როგორც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. "კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა" გულისხმობს მიყენებული ზიანის ოდენობის გამოკვლევასაც, რათა დადგინდეს იყო თუ არა დანაშაულის ნიშნები პირის ქმედებაში. გარდა ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის უნებართვოდ მოჭრილი 166 ძირი კრიპტომერიის ჯიშის ხის მოცულობითი გაანგარიშება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული ხეების გაჩეხვით მიყენებული ზიანი 39 292 ლარს შეადგენს, ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სა-

მინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ-ცენტრალური ბიუროს ანგარიში 1128 ძირი კრიპტომერიის ჯიშის ხის მოჭრის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით სახელმწიფოს 187 608,96 ლარის ზიანი მიადგა. კასატორს საპირისპირო გაანგარიშება სასამართლოსათვის არ წარუდგენია, შესაბამისად, ზიანის ოდენობა სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია.

რაც შეეხება კასატორის მტკიცებას, რომ სასამართლომ მნიშვნელობა არ მიანიჭა მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და რომ განაჩენით არასწორად იყო დადგენილი უნებართვოდ მოჭრილ ხეთა რაოდენობა, აღნიშნულთნ დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ე. თ-ანის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლომ სრულად შეისწავლა, შეაფასა და მიიჩნია, რომ ისინი ვერ აბათილებდნენ პრეიუდიციულ ფაქტებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული მტკიცებულებები ე. თ-ანს ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს ჰქონდა წარდგენილი, თუმცა სასამართლომ ისინი არ გაიზიარა. საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ თუნდაც სააპელაციო სასამართლოს გაეზიარებინა მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული ხეების საერთო რაოდენობა მაინც ნაკლებია, ვიდრე იმ ხეთა რაოდენობა, რომელთა უკანონოდ მოჭრა მას ბრალად არ შერაცხვია, ამდენად, ამ მტკიცებულებების მეშვეობით, კასატორისათვის სასურველი შედეგი მაინც ვერ დადგებოდა.

კასატორი, აგრეთვე, აცხადებს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას დანაშაულს არც ერთ ნაწილში არ აღიარებდა და რომ თავად საქმის წარმოება დარღვევებით მიმდინარეობდა. საკასაციო პალატა ამ პოზიციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად ვერ მიიჩნევს. იმისათვის, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენი პრეიუდიციული ძალის მქონედ ჩათვალოს, მნიშვნელობა არ აქვს მხარე ცნობდა თუ არა თავს დამნაშავედ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ არსებობს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. თ-ანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დელიქტური ვალდებულებანი

განჩინება

#ას-388-704-09

16 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 18 იანვარს ბაღდათის რაიონულ სასამართლოში არსებითად განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის საქმე #8807 892. საქმეში წარდგენილი იყო დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სარჩელი ვ. რ-ძის წინააღმდეგ:

მოსარჩელის განმარტებით, ვ. რ-ძე, 2006 წლის 8 მარტიდან 2006 წლის 5 მაისამდე მუშაობდა საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის

დირექტორის თანამდებობაზე და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლებოდა მოხელედ;

დეპარტმენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მის სამსახურეობრივ უფლება-მოვალეობებს წარმოადგენდა: ტყის ფონდის დაცვა, ტყის სარგებლობის წესების დამრღვევთა მიმართ ზომების გატარება, ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტებზე სათანადო რეაგირება, მასალების სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნა.

მიუხედავად აღნიშნულისა ვ. რ-მემ განიზრახა ცალკეული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უპირატესობის მისანიჭებლად არ გადაეგზავნა სამართალდამცავი ორგანოებისათვის ბაღდათის სატყეო მეურნეობის თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები და ამ გზით გაფლანგა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ მოითხოვა ვ. რ-მისათვის, სახელმწიფოს სასარგებლოდ, მის მიერ მიყენებული ზიანის, 14475 ლარის გადასახდელად დაკისრება.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის წესით საქმის განხილვისას, იმავდროულად განხილული იქნა სამოქალაქო სარჩელი და 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით, ვ. რ-მე ცნობილ იქნა დამნაშვედ და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. მასვე 2 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 14475 ლარის გადახდა.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. რ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ვ. რ-მე გამართლდეს სეკვესტრირებული მორების სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით რეალიზაციისა და დიდი ოდენობით 13375 ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვის ნაწილში. პროკურორის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა და ვ. რ-მეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისრა 14475 ლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის განჩინებით, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცა ბაღდათის რაიონულ სასამართლოს;

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ვ. რ-მის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ამავე სასამართლოს 2008 წლის 31 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. რ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ვ. რ-მეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა, მიყენებული ზიანის - 11734,83 ლარის ანაზღაურება.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 31 ოქტომბერს სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადებაზე უარი განაცხადა მოპასუხე (მსჯავრდებული) მხარე ვ. რ-მემ და მისი დასწრების გარეშე საქმის განხილვა მოთხოვა. განსახილველ საქმეზე სასამართლოს მხარეთა ახსნა-განმარტებები მოსმენილი ჰქონდა მანამდე ჩატარებულ სხდომებზე.

პალატამ განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოტანილი, თუ მხარე არ გამოცხადდა საქმის განხილვის დაწყებისას, ხოლო მას შემდეგ, რაც საქმის არსებითად განხილვა დაიწყო მოსამართლის მიერ საქმის მოხსენებით და მოსმენილი იქნება მხარეთა ახსნა-განმარტებანი, სასამართლომ უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი, დასაბუთებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საფუძლიანად მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ამავე სასამართლოს 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სარჩელს, ამასთან დაკავშირებით პალატამ მიიჩნია, რომ 2006 წლის ბაღდათის სატყეო მეურნეობის ტყის წესების დარღვევათა აღრიცხვის წიგნში რეგისტრირებული ხე-ტყის უკანონოდ მოპვებასთან დაკავშირებით ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორად ვ. რ-მის მუშაობის პერიოდში - 2006 წლის 8 მარტიდან ამავე წლის 5 მაისამდე შედგენილი 43 ოქმიდან, 13 ოქმთან დაკავშირებით, რეაგირების გაწვევისა და სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოიპოვებოდა. შესაბამისად ვინაიდან, მოსარჩელეს მიერ სადავოდ იქნა გამხდარი ბაღდათის სატყეო მეურნეობის ტყის წესების დარღვევათა აღრიცხვის წიგნში რეგისტრირებული ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებასთან

დაკავშირებით, ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორად ვ. რ-ძის მუშაობის პერიოდში - 2006 წლის 8 მარტიდან ამავე წლის 5 მაისამდე შედგენილ ოქმებზე, რეაგირებასთან დაკავშირებით გაკეთებული ჩანაწერის ნამდვილობა, ხოლო მოპასუხე მხარის (აპელანტის) მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს მითითება იმის თაობაზე, რომ ოქმების რეაგირების გარეშე დატოვებით სახელმწიფოს მიადგა ზიანი ნაწილობრივ დასაბუთებულია.

პალატამ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დამდგარი ზიანი შეადგენს 13375 ლარს ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ბაღდათის სატყეო მეურნეობის ტყის წესების დარღვევათა აღრიცხვის წიგნში რეგისტრირებული ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებასთან დაკავშირებით, ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორად ვ. რ-ძის მუშაობის პერიოდში - 2006 წლის 8 მარტიდან ამავე წლის 5 მაისამდე შედგენილი ოქმიდან, მხოლოდ 13 ოქმი დარჩა რეაგირების გარეშე. შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ სულ ზიანმა შეადგინა 11734,83 ლარი

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. რ-ძემ.

კასატორის განმარტებით, ის აღიარებს სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენების ფაქტს 1000 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოთხოვნა არის უსაფუძვლო. სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წლის 8 მარტიდან ამავე წლის 5 მაისამდე რეაგირების გარეშე დარჩა მხოლოდ 13 ოქმი. კასატორის განმარტებით სასამართლოს არ უმსჯელია სადავო ოქმების ჩაბარების, გასაჩივრებისა და ნებაყოფლობით ანაღზაურების ვადებზე. რისი გარკვევის შემდეგაც დადგინდებოდა ჩემი ბრალეული მოქმედება და შესაბამისად სახელმწიფოზე მიყენებული ზარალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით ვ. რ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით. მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 59-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, საბოლოოდ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. მასვე ჩამოერთვა 2 წლით სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. ამასთან, დაკმაყოფილდა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სარჩელი ვ. რ-ძის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 14475 ლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განაჩენში, შეტანილი იქნა ცვლილება და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით.

ვ. რ-ძე გამართლდა სექვეტრირებული მორების სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით რეალიზაციისა და დიდი ოდენობით 13375 ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვის ნაწილში, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

ვ. რ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) და 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით. მასვე ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლის ვადით. პროკურორის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა და ვ. რ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 14475 ლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა და ვ. რ-ძის ქმედება სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე. ვრ-ძეს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, 10 თვითა და 27 დღით, მასვე ჩამოერთვა 2 წლის ვადით სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. განაჩენი გაუქმდა სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცა ბაღდათის რაიონულ სასამართლოს.

როგორც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უთითებს საკასაციო სასამართლომ (სისხლის სამართლის საქმეზე) გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბაღდათისა და ვანის სატყეო მეურნეობის დირექტორად მუშაობის პერიოდში 2006 წლის 8 მარტიდან ამავე წლის 5 მაისამდე ვ. რ-მემ ხე-ტყის უკანონო ჭრის არაერთი შემთხვევა დატოვა რეაგირების გარეშე, რაც სწორად შეფასდა როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და რომ 13375 ლარის ღირებულების ზიანის დადგომისას არ ჩაუდენია სახელმწიფო ქონების გაფლანგვა და ქონებრივი ზიანი გამოიხატა აცდენილ სიკეთეში. გარდა ამისა, ვ. რ-მემ, ნაცვლად ადმინისტრაციული წესით საქმეთა გადაგზავნისა შეიტანა სასარჩელო განცხადებები მხოლოდ ზიანის ანაზღაურების თაობაზე და ამ მოქმედებით ხე-ტყის უკანონოდ მჭრელი 22 პირი განთავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, რამაც გამოიწვია 1100 ლარის ზიანი, ხოლო ზიანის ოდენობა 2006 წლის 8 მარტიდან ამავე წლის 5 მაისამდე პერიოდში შეადგინა 14475 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიერ აპელირებულია განჩინებით ცალსახადაა დადგენილი ის ფაქტი, რომ ვ. რ-მემ სახელმწიფოს მიაყენა ზიანი 14 475 ლარის ოდენობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად ასეთი ფაქტები დადასტურებას აღარ საჭიროებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. მითითებული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად მტკიცებას არ საჭიროებს ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ასეთ ფაქტებზე მითითებისას სასამართლო აღარ აფასებს მტკიცებულებებს, არამედ უპირობოდ ეყრდნობა განაჩენში ასახულ დადასტურებულ გარემოებებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული არგუმენტებით შეუძლებელია იმ გარემოებების უარყოფა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით. ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად დამტკიცებულად ითვლება ვ. რ-მის მიერ სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების ფაქტიც და ოდენობაც. ეს გარემოებანი კი სადავოდ არ შეიძლება გახდეს სამოქალაქო წესით საქმის განხილვისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. რ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩოს ანაზღაურება (ოდენობის განსაზღვრა, გაზრდა)

განჩინება

#ას-671-892-08

30 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სარჩოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს სს "ელმავალმშენებლის" მიმართ და მიუთითა, რომ მოპასუხე ორგანიზაციაში მუშაობდა გადამბმელის თანამდებობაზე და მოითხოვა 2004 წლის 17 ივლისიდან მიუღებელი ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება და ყოველთვიური სარჩოს დანიშვნა 162 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1955 წლის 28 სექტემბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მან მიიღო საწარმოო ტრავმა და დაკარგა შრომის უნარი, გახდა ინვალიდი, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ იქნა საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტი და დადგენილ იქნა, რომ უბედური შემთხვევის მიზეზს წარმოადგენდა მენახშირე ა-შვილის მხრიდან საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება. გ. მ-შვილს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალის მიერ, საწარმოო ტრავმის გამო 1955 წლის 3 დეკემბრიდან დაენიშნა პენსია, 1988 წლის 25 მაისიდან კი უვადოდ. დღეისათვის იღებს პენსიას 38 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხეს დაეკისრებოდა 2004 წლის 17 ივლისიდან მიუღებელი ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება და ყოველთვიური სარჩოს დანიშვნა 162 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით აღიარებულ (დადგენილ) იქნა გ. მ-შვილის მოთხოვნის უფლება, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო, სს "ელმავალმშენებლისაგან" მიიღოს ყოველთვიური სარჩო 2004 წლის 17 ივლისიდან.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს "ელმავალმშენებელმა".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინებით სს "ელმავალმშენებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელე გ. მ-შვილი მუშაობდა სს "ელმავალმშენებელში" გადამბმელის თანამდებობაზე. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალში გ. მ-შვილს დაენიშნა პენსია 1955 წლის 2 დეკემბრიდან, 1988 წლის 25 მაისიდან კი - უვადოდ.

პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს სარჩოს დანიშვნა საწარმოო ტრავმის გამო, ვინაიდან მიიჩნია, რომ სარჩო დანიშნულად ითვლება იმის მიუხედავად, სარჩოს დამქირავებელი საწარმო გასცემს თუ სოცდაზღვევის ერთიანი ფონდი. ამდენად, ჩათვალა, რომ მტკიცების საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს საწარმოს ბრალეულობის საკითხი.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების საფუძველი და მოპასუხე წარმოადგენს პირს, ვისაც აღნიშნული ვალდებულება ეკისრება.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი იმასთან მიმართებით, რომ გ. მ-შვილის მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნისა, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამდენად, მიიჩნია, რომ გ. მ-შვილს უნდა აუნაზღაურდეს სარჩელის აღძვრამდე წინა სამი წლის სარჩო და განესაზღვროს გადაწყვეტილების გამოტანიდან ყოველთვიური სარჩოს ოდენობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს "ელმავალმშენებელმა" და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილი და არასწორად იხელმძღვანელა გორის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2007 წლის 15 მარტის #807 ცნობით.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის მოთხოვნა, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მოთხოვნის აღიარებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ სს "ელმავალმშენებლის" საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, მოპასუხე სს "ელმავალმშენებელს" დაეკისროს მის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო 2004 წლის 17 ივლისიდან მიუღებელი ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება 162 ლარის ოდენობით, კერძოდ, მოსარჩელის მითითებით,

მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე საწარმოში არსებობს გადამხდელის თანამდებობა, რომლის ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 200 ლარს, ხოლო ამ თანხას უნდა გამოაკლდეს 38 ლარი, რასაც ის ყოველთვიურად იღებს და სხვაობა 162 ლარის ოდენობით დაეკისროს მოპასუხეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარებული (დადგენილი) იქნა გ. მ-შვილის მოთხოვნის უფლება, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო, სს "ელმავალშენებლისაგან" მიიღოს ყოველთვიური სარჩო 2004 წლის 17 ივლისიდან.

სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი შუალედური გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ მიიჩნია დადგენილად სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სადავო სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. მ-შვილი მუშაობდა სს "ელმავალშენებელში" გადამხდელის თანამდებობაზე.

1955 წლის 28 სექტემბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მან მიიღო საწარმოო ტრავმა და დაკარგა შრომის უნარი, გახდა ინვალიდი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ იქნა საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტი და დადგენილ იქნა, რომ უბედური შემთხვევის მიზეზს წარმოადგენდა მენახშირე ა-შვილის მიერ საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან არ გადმოიხედა ტენდერიდან, გადმოაგდო ქვა და თავზე დაეცა გ. მ-შვილს.

სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალში გ. მ-შვილს დაენიშნა პენსია საწარმოო ტრავმით 1955 წლის 3 დეკემბრიდან, ხოლო 1988 წლის 25 მაისიდან კი უვადოდ.

გ. მ-შვილი საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანისათვის პენსიას იღებს სსდეს ფონდის გორის ფილიალში.

სააპელაციო სასამართლომ მიერ ასევე დადგინდა, რომ გორის რაიონის სოცულზრუნველყოფის განყოფილება მოსარჩელე გ. მ-შვილს უხდიდა პენსიას საწარმოო ტრავმის გამო და რეგრესის წესით გადახდას თხოვდა სს "ელმავალშენებელს".

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლი ითვალისწინებს სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის დადგენის (აღიარების) შესახებ წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების გამოტანას, თუ შესაძლებელია ამ ფაქტობრივი საფუძვლით განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ამისათვის უნდა შემოწმდეს, უპირველეს ყოვლისა, სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან არ ირკვევა მოთხოვნის საფუძველი, კერძოდ, სასარჩელო განცხადებიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს არა საწარმოს ბრალით საწარმოში მიღებული ტრავმის დადგენას და, აქედან გამომდინარე, პენსიის დანიშვნას, არამედ ტრავმის გამო და მის საფუძველზე პენსიის ოდენობის განსაზღვრას (გადაანგარიშებას).

სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს და არ მსჯელობს აღნიშნულ მოთხოვნის დაკმაყოფილებით სათვის აუცილებელ ყველა ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, რომელი ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებს პენსიის ოდენობის გადაანგარიშების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ასევე, გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, დაენიშნა თუ არა მოსარჩელეს პენსია "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების საფუძველზე.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა ფაქტობრივი გარემოება, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში დასადგენი იქნება მისი მოცულობა (ოდენობა), რაც მოითხოვს დამატებით პროცესუალურ მოქმედებების განხორციელებას, სასამართლოს შეუძლია წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების მიღება სარჩელის ერთ-ერთი ელემენტის - მოთხოვნის საფუძვლის მიმართ. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მსჯელობს მოსარჩელის მიერ მიღებული ტრავმისა და მის მიერ სოცულზრუნველყოფის ფონდიდან პენსიის მიღების შესახებ, მაგრამ არ არკვევს თანხის გადაანგარიშების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

ამრიგად, აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს

გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რადგან მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს "ელმავალმშენებლის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩოს ოდენობის გაზრდა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ას-169-497-09 24 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სარჩოს ოდენობის გაზრდა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 23 აპრილს ა. გ-შვილმა, გ. ც-შვილმა, ლ. ჩ-უამ, ვ. ჯ-მემ და გ. ჩ-შვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ სარჩოს ოდენობის გაზრდის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით ა. გ-შვილისა და გ. ჩ-შვილის მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება მათი გარდაცვალების გამო.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი შპს "საქართველოს რკინიგზაში" მუშაობდნენ მემანქანეებად. საწარმოო ტრავმის შედეგად დანიშნული აქვთ ყოველთვიური სარჩო. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე საწარმოში რამდენჯერმე გაიზარდა ხელფასები, მათ დანიშნული სარჩო არ გაზრდიათ. იმის გამო, რომ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ხელფასის მატებასთან ერთად ეტაპობრივად უნდა გაზრდილიყო მათი სარჩოც, ხოლო მოპასუხეს აღნიშნული არ განუხორციელებია, მოსარჩელეებმა მოითხოვეს მოპასუხისათვის სარჩოს გაზრდილი ოდენობის მიუღებელი სხვაობის სახით ლ. ჩ-უას სასარგებლოდ - 5893, გ. ც-შვილის სასარგებლოდ - 7563, ხოლო ვ. ჯ-მის სასარგებლოდ - 8491 ლარის დაკისრება. ამასთან, "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48-ე ბრძანებულების შესაბამისად, მოსარჩელეებმა ასევე მოითხოვეს, მოპასუხეს დაკისრებოდა 2008 წლის პირველი ივლისიდან გაზრდილი ოდენობის სარჩოს გადახდა ლ. ჩ-უასათვის 552,86 ლარი, გ. ც-შვილისათვის - 707,98 ლარი, ხოლო ვ. ჯ-მისათვის - 793,53 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ჯ-მის, გ. ც-შვილისა და ლ. ჩ-უას სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს "საქართველოს რკინიგზას" 2005 წლის იანვრიდან 2008 წლის ივლისამდე პერიოდის გადაანგარიშებული სარჩოს სხვაობის სახით დაეკისრა ლ. ჩ-უას სასარგებლოდ - 5893, გ. ც-შვილის სასარგებლოდ - 7563 ლარი, ხოლო ვ. ჯ-მის სასარგებლოდ 8491 ლარის ანაზღაურება, შპს "საქართველოს რკინიგზას" 2008 წლის ივლისიდან დაეკისრა სარჩოს ანაზღაურება ლ. ჩ-უას სასარგებლოდ 552,86 ლარი, გ. ც-შვილის სასარგებლოდ - 793,53 ლარი, ხოლო ვ. ჯ-მის სასარგებლოდ - 707,98 ლარი.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეებს 2002 წლის პირველი მარტიდან მდგომარეობის შეცვლამდე დაენიშნათ ყოველთვიური სარჩო. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებისათვის სარჩოს დანიშვნის ნაწილში უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გარემოება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ;

მოსარჩელები თავდაპირველად დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების შედეგად 2003 წლის სექტემბრიდან დღემდე ღებულობენ კუთვნილ თანხებს - გ. ც-შვილი - 381,98 ლარს, ლ. ჩ-უა - 298,86 ლარს, ხოლო ვ. ჯ-მე - 427 ლარს;

შპს "საქართველოს რკინიგზაში" მოსარჩელების თანრიგის მუშაკებს რამდენჯერმე გაეზარდათ ხელფასი, კერძოდ, 2005 წლის პირველი იანვრიდან 30%, 2005 წლის პირველი მარტიდან 10% და 2008 წლის პირველი იანვრიდან 30%. მოსარჩელებს სარჩო არ გაზრდიათ.

სასამართლოს განმარტებით, დაზიანების შედეგად მუშაკისათვის დანიშნული სარჩო არის იმ ხელფასის კომპენსაცია, რომელსაც მუშაკი საწარმოში ჩვეულებრივ გამოიმუშავებდა, რომ არა მისი დაზიანება, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოში ტრავმირებული მუშაკის შესაბამისი თანრიგის პერსონალისათვის ხელფასის გაზრდის შემთხვევაში უნდა გაზრდილიყო დანიშნული სარჩოს ოდენობაც. იმის გამო, რომ შპს "საქართველოს რკინიგზაში" მემანქანეების ხელფასი 2005 და 2008 წლებში გაიზარდა სამჯერ, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეთა სარჩოს ოდენობაც უნდა გაზრდილიყო.

საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48-ე ბრძანებულება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზაში", მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ც-შვილის, ლ. ჩ-უასა და ვ. ჯ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანი იყო მოსარჩელეთათვის სარჩოს დანიშვნის სამართლებრივი საფუძვლის შეფასება. ვინაიდან მოსარჩელებს სარჩო დაენიშნათ არა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობიდან, არამედ - ბოლო სამი თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ცვალებადობა ვერ გახდებოდა მოსარჩელებისათვის როგორც დანიშნული სარჩოს - 2005 წლის პირველი იანვრიდან გადაანგარიშების, ისე სარჩოს გაზრდილი ოდენობით მოპასუხისათვის დაკისრების კანონიერი საფუძველი, მეტადრე მაშინ, როდესაც "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48-ე ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის #923 ბრძანებულების მე-2 მუხლის "ა" პუნქტით ამოღებული იქნა პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48-ე ბრძანებულების მე-12 პუნქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. ც-შვილმა, ლ. ჩ-უამ და ვ. ჯ-მემ, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორთა განმარტებით, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ამასთან არასწორად განმარტა იგი. კასატორთა აზრით, მართალია სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა 1999 წლის 9 თებერვლის #48-ე ბრძანებულების მე-12 პუნქტი, რომელიც მართალია ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს გარემოება არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ დასახიჩრებული პირისათვის არ მომხდარიყო დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება.

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ 2007 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის #53-ე დადგენილებით ახლებურად დარეგულირდა საწარმოო ტრავმის შედეგად დაზარალებულების ზიანის ანაზღაურების წესი. აღნიშ-

ნულმა დადგენილებამ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო სამოქალაქო წესით, რაზეც პალატამ არ იმსჯელა და, შესაბამისად, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მუხლები, რაც გახდა მიზეზი არაკანონიერი გადაწყვეტილების მიღებისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს 2002 წლის პირველი მარტიდან მდგომარეობის შეცვლამდე დაენიშნათ ყოველთვიური სარჩო. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებისათვის სარჩოს დანიშვნის ნაწილში უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით.

მოსარჩელები თავდაპირველად დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების შედეგად 2003 წლის სექტემბრიდან დღემდე ღებულობენ კუთვნილ თანხებს - გ. ც-შვილი - 381,98, ლ. ჩ-უა - 298,86 ლარს, ხოლო ვ. ჯ-ძე - 427 ლარს;

შპს "საქართველოს რკინიგზაში" მოსარჩელების თანრიგის მუშაკებს რამდენჯერმე გაეზარდათ ხელფასი, კერძოდ, 2005 წლის პირველი იანვრიდან 30%-ით, 2005 წლის პირველი მარტიდან 10%-ით და 2008 წლის პირველი იანვრიდან 30%-ით. აღნიშნულის შესაბამისად მოსარჩელებს სარჩო არ გაზრდათ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

"შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48-ე ბრძანებულების მე-12 პუნქტით მუშაკისათვის დადგენილი ყოველთვიური სარჩოს ოდენობა ექვემდებარებოდა გადაანგარიშებას, მიუხედავად იმისა, როდის მიიღო მან ეს დასახიჩრება. აღნიშნულ ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის #923 ბრძანებულების მე-2 მუხლის "ა" პუნქტით ამოღებული იქნა პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48-ე ბრძანებულების მე-12 პუნქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან, პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48-ე ბრძანებულების მე-12 პუნქტის გაუქმებამდე (2005 წლის 7 ნოემბერი), შპს "საქართველოს რკინიგზაში" მოსარჩელების თანრიგის მუშაკებს ორჯერ გაეზარდათ ხელფასი, კერძოდ, 2005 წლის პირველი იანვრიდან 30%-ით, ხოლო 2005 წლის პირველი მარტიდან 10%-ით, შესაბამისად, მოსარჩელებს სარჩო ექვემდებარებოდა გადაანგარიშებას.

2007 წლის 6 თებერვლის საქართველოს პრეზიდენტის #93 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესები. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებით კი დამტკიცდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი. აღნიშნული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ამ წესით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში. აღნიშნული დადგენილებით ახლებურად მოწესრიგდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესები. სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზარდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსარჩელები მიიღებდნენ ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო.

დადგენილია, რომ #48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების გაუქმების შემდეგ, მოსარჩე-
ლეების თანრიგის მუშაკებს ხელფასი 2008 წლის პირველი იანვრიდან გაეზარდათ 30%-ით, შესა-
ბამისად, მოსარჩელეთა სარჩოს ოდენობაც უნდა გაზრდილიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მო-
სარჩელეთა მოთხოვნა საფუძვლიანია.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციაში შრომის
ანაზღაურების ცვალებადობა ვერ გახდება მოსარჩელებისათვის დანიშნული სარჩოს გადაანგარი-
შების საფუძველი, რადგან #48-ე ბრძანებულებაში 2003 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად,
სარჩოს ოდენობის განმსაზღვრელს წარმოადგენს ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების მხოლოდ
მინიმალური ხელფასის ცვალებადობა, საკასაციო პალატა არ იზიარებს. საკასაციო პალატა მიიჩ-
ნევს, რომ დაზარალებულისათვის დანიშნული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა არა ზო-
გადად დაწესებულებაში არსებული მინიმალური ხელფასის, არამედ იმავე თანრიგის მუშაკის მინი-
მალური ხელფასის გაზრდის შემთხვევაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს
მეორე საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გა-
დახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლების
სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. მოცე-
მულ შემთხვევაში, მოსარჩელები გათავისუფლებულები იყვნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან,
შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხეს, რაც სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის "ა" და "ე" ქვეპუნქტებისა და 39-ე მუხლის პირველი ნაწი-
ლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შეადგენს 2330 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ვ. ჯ-ძის, ლ. ჩ-უას და გ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008
წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

ვ. ჯ-ძის, ლ. ჩ-უას და გ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
შპს "საქართველოს რკინიგზას" 2005 წლის იანვრიდან 2008 წლის ივლისამდე პერიოდის გა-
დაანგარიშებული სარჩოს სხვაობის სახით დაეკისროს ლ. ჩ-უას სასარგებლოდ - 5893 ლარის, გ.
ც-შვილის სასარგებლოდ - 7563 ლარისა და ვ. ჯ-ძის სასარგებლოდ - 8491 ლარის ანაზღაურე-
ბა;

შპს "საქართველოს რკინიგზას" 2008 წლის ივლისის თვიდან დაეკისროს სარჩოს ანაზღაურება
ლ. ჩ-უას სასარგებლოდ თვეში 552,86 ლარის, გ. ც-შვილის სასარგებლოდ - 707,98 ლარისა
და ვ. ჯ-ძის 793,53 სასარგებლოდ ლარის გადახდა;

შპს "საქართველოს რკინიგზას" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო
ბაჟის გადახდა 2330 ლარის ოდენობით;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩოს ოდენობის განსაზღვრა

განჩინება

#ას-623-931-09

7 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სარჩოს გაცემის აღდგენა, სარჩოს ოდენობის გადაანგარიშება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 ივნისს მარნეულის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა
ს. კ-ანმა მოპასუხე სს "დელტას" (ამჟამად სს "დელტა ჰოლდინგი") მიმართ. მოსარჩელემ მო-

ითხოვა ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის - 2008 წლის ივნისიდან ყოველთვიურად 471 ლარისა და გასული ერთი წლის სარჩოს - 5 652 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის თანახმად, ს. პ-ანი მუშაობდა თბილისის კარიერების სამმართველოში მნგრეველად. დასახელებული ორგანიზაციის უფლებამონაცვლეა სს "დელტა". 1960-1964 წლებში მოსარჩელემ ორჯერ მიიღო საწარმოო ტრავმა. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის კარიერების სამმართველოს ს. პ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა 1969 წლის 1 თებერვლიდან ყოველთვიურად სარჩოს გადახდა. შრომითი საქმიანობის კომისიის 1973 წლის 13 აპრილის დასკვნით ს. პ-ანს დაუდგინდა საწარმოო ტრავმის გამო მეორე ჯგუფის ინვალიდობა უვადოდ.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ უკვე ერთი წელიწადია, რაც მოპასუხე ორგანიზაციამ შეუწყვიტა სარჩოს გადახდა. მოპასუხე აცხადებდა, რომ მათთან არც მნგრეველის და არც მისი ტოლფასი თანამდებობა არსებობდა. სს "მადნეულის" მიერ გაცემული ცნობით ირკვეოდა, რომ მართალია, მათთან მნგრეველის თანამდებობა აღარ არსებობდა, მაგრამ საკარიერო სამუშაოების შესრულების პირობებში იყენებდნენ საბურღი დაზვის დამხმარის პროფესიას.

სარჩელში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებად დასახელებულია "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილების მე-2 მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ამავე კოდექსის 992-ე მუხლი, რომელთა თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულს შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას; თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, მას ზიანი უნდა აუნაზღაურდეს ყოველთვიური სარჩოს გადახდით; პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

მოპასუხე სს "დელტამ" სარჩელი არ ცნო და მისი უარყოფა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

ს. პ-ანმა ითხოვა სარჩოს გაზრდა და საწარმოს ხელმძღვანელობის მხრიდან გამოვლენილი კეთილი ნების შედეგად, ეს თხოვნა დაკმაყოფილდა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი, ყოველთვიური სარჩოს ოდენობა ს. პ-ანს გაეზარდა 30 ლარამდე. 2007 წლის ივლისში მოსარჩელემ კვლავ მოითხოვა სარჩოს გაზრდა, რაზეც უარი მიიღო.

რაც შეეხებოდა გასული პერიოდის სარჩოს, მის ანაზღაურებაზე მოპასუხეს უარი არასდროს განუცხადებია და მოსარჩელეს მისი მიღება კვლავინდებურად შეეძლო.

მოპასუხის მითითებით, ის გარემოება, რომ ს. პ-ანი არ მუშაობდა და შესაბამისად, მისი სპეციალობის მქონე პირისათვის შესატყვის შემოსავალს ვერ იღებდა, გამოწვეული იყო არა მათი მიზეზით, არამედ იმის გამო, რომ ამ დროისათვის ს. პ-ანი ასაკოვანი (79 წლის) იყო. ამდენად, მოპასუხის ბრალეულ მოქმედებას კიდევ რომ არ ჰქონოდა ადგილი, დღეის მდგომარეობით ასაკის გამო მოსარჩელე მაინც უმუშევარი იქნებოდა, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე კი ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელი იყო შედეგსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

მოპასუხის მოსაზრებით, მოთხოვნა ერთი წლის სარჩოს დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნულის მსჯელობის მიუხედავადაც უსაფუძვლო იყო. ს. პ-ანს სასამართლოში წარდგენილი არ ჰქონდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა 2007 წლის ივნისიდან 2008 წლის ივნისამდე მისი თანამდებობის შესატყვისი ხელფასის ოდენობას. მოსარჩელის მიერ წარდგენილი სს "მადნეულის" კადრების მართვის სამსახურის ცნობით ირკვეოდა, რომ ამ შემთხვევაში პასუხი გაეცა ს. პ-ანის 2008 წლის 2 ივნისის წერილს, ამასთან, ცნობა შეეხებოდა საბურღი დაზვის დამხმარის ხელფასს. მასში საუბარი არ იყო 2008 წლის 2 ივნისამდე დარიცხულ ხელფასზე. გარდა ამისა, ცნობიდან არ დგინდებოდა, მნგრეველისა და საბურღი დაზვის დამხმარის თანამდებობები იყო თუ არა იდენტური.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. პ-ანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - სს "დელტას" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩოს გადახდა ყოველთვიურად 471 ლარის ოდენობით, მასვე დაევალა მიუღებელი ერთი წლის სარჩოს გადახდა 360 ლარის ოდენობით.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები;

მარნეულის რაიონის სასამართლოს 1971 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის კარიერების სამმართველოს ს. პ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა 1969 წლის 1 თებერვლიდან ყოველთვიურად 96 მანეთისა და 80 კაპიკის გადახდა. აღნიშნული თანხა ორგანიზაციას დაეკისრა მათი

ბრალით - ს. პ-ანისათვის სხეულის დაზიანების გამო, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის შრომის უნარის დაკარგვა 70%-ით. თანხის ოდენობა სასამართლომ განსაზღვრა ხელფასსა და იმ პენსიას შორის სხვაობით, რომელსაც იღებდა ს. პ-ანი, ხოლო სარჩო დაინიშნა გარემოების შეცვლამდე;

ს. პ-ანი არის მეორე ჯგუფის ინვალიდი 1973 წლიდან და ინვალიდობა მინიჭებული აქვს უვადოდ;

მოსარჩელე იღებს პენსიას 55 ლარის ოდენობით, როგორც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეს-თან გათანაბრებული პირი.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. პ-ანს სარჩოს გაცემა შეწყვეტილი ჰქონდა ყოველ-გვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რამდენადაც არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლიდან გამომდინარე სავალ-დებულო იყო ყველასათვის.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩოს მიცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მოსარჩელის მოხუცებულობა და აღნიშნა, რომ ეს გარემოება ვერ მიიჩნეოდა 1971 წლის გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოე-ბათა შეცვლად. სასამართლოს მოსაზრებით, გარემოებათა შეცვლად შეიძლება მიჩნეულიყო პი-რის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც მოპა-სუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

სს "მადნეულის" მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მწგრეველის თანამდებობა ამჟამად აღარ არსებობს და საკარიერო სამუშაოების პირობებში არსებობს საბურღი დაზვის დამხმარის პროფესია, რომლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 526 ლარს.

რაიონულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოპასუხეს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით არ და-უდასტურებია იმ გარემოების საწინააღმდეგო, რომ საბურღი დაზვის დამხმარისა და მწგრეველის თანამდებობები იდენტური არ იყო და თანამდებობრივი სარგო, რის შესაბამისადაც მოსარჩელი-სათვის დასაკისრებელი სარჩოს ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო, არ შეადგენდა 526 ლარს, მაშინ როდესაც, მოსარჩელის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი სს "მადნეულის" კადრების მართვის სამსახურის ცნობის თანახმად, საკარიერო სამუშაოების პირობებში არსებობდა საბურღი დაზვის დამხმარის პროფესია, რომლის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 526 ლარს.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მხარეების განმარტებებით ირკვეოდა, რომ, მართალია, ისინი შეთანხმებული იყვნენ სარჩოს ოდენობაზე, კერძოდ, 30 ლარზე, რასაც მოსარჩელე იღებდა მოპასუხისგან, მაგრამ სარჩელის წარდგენის დროიდან (2008 წლის ივნისიდან) მოსარჩელე ით-ხოვდა მოპასუხეს დაკისრებოდა სარჩო იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი განისაზღვრა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, კერძოდ, ეს თანხა ამგვარად უნდა განსაზღვრულიყო: თანამ-დებობრივ სარგოს (526 ლარი) გამოკლებული პენსია (55 ლარი), რაც მოცემულ შემთხვევაში შეადგენდა 471 ლარს და რისი ანაზღაურებაც უნდა დაკისრებოდა მოპასუხეს. საქმეში სასამარ-თლოს 1971 წლის 28 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელის დასახელებული მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას ერთი წლის მიუღებელი სარჩოს 5 652 ლარის ოდენო-ბით ანაზღაურების თაობაზე, რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული თანხა მოპასუხეს არ უნდა დაკისრებოდა დასახელებული ოდენობით, ვინაიდან მხარეებს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება, რაც აღიარებულ იქნა პროცესზე და წლების განმავლობაში მოპასუხე ს. პ-ანს უხდი-და სარჩოს 30 ლარის ოდენობით. ამასთან, ამის შესახებ მოსარჩელეს თავის დროზე პრეტენზია არ განუცხადებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთდროული მიუ-ღებელი სარჩო სარჩელის აღძვრამდე უნდა განსაზღვრულიყო ყოველთვიურად 30 ლარის ოდენო-ბით, როგორც ეს იყო შეთანხმებული მხარეთა შორის. 12 თვის მიუღებელი სარჩო სულ შეადგენ-და 360 ლარს. სარჩელის აღძვრის მომენტიდან მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა სარჩოს გადახდა 1971 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით, თანამდებობრივ სარგოს გამოკ-ლებული პენსიის ოდენობით, რაც მთლიანობაში შეადგენდა ყოველთვიურად 471 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "დელ-ტამ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილე-ბით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სს "დელტას" სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს. პ-ანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს "დელტას" ს. პ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი სარჩოს ანაზღაურება 360 ლარის ოდენობით, მასვე

მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩოს გადახდა 2008 წლის 27 ივნისიდან თვეში 42 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტობრივი გარემოებები:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 1971 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის კარიერების სამმართველოს, რომლის უფლებამონაცვლეა სს "დელტა", ს. კ-ანის სასარგებლოდ 1969 წლის 1 თებერვლიდან სარჩოს სახით ყოველთვიურად გადასახდელად დაეკისრა 96.80 მანეთი, საწარმოს ბრალით ს. კ-ანის მიერ 70%-ით შრომის უნარის დაკარგვის გამო, მდგომარეობის შეცვლამდე;

ს. კ-ანი 1973 წლიდან არის მეორე ჯგუფის ინვალიდი, ინვალიდობა დადგენილია უვადოდ;

ს. კ-ანი სოციალური სუბსიდიების სააგენტოსგან იღებს პენსიას 55 ლარის ოდენობით, როგორც მეორე მსოფლიო ომში მონაწილესთან გათანაბრებული პირი;

სს "დელტაში" იმავე ან იგივე თანრიგის თანამდებობა, რომელზეც მოსარჩელე მუშაობდა, აღარ არსებობს;

2005 წლის 6 დეკემბრიდან 2007 წლის ივლისამდე მოსარჩელე სს "დელტასაგან" ურთიერთშეთანხმებით სარჩოს სახით იღებდა თვეში 30 ლარს;

2007 წლის ივლისიდან სს "დელტამ" მოსარჩელეს შეუწყვიტა სარჩოს გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სს "დელტამ" 2007 წლის ივლისიდან უკანონოდ შეუწყვიტა მოსარჩელეს სარჩოს გადახდა, ვინაიდან დასაბუთებული არ იყო საამისოდ არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი წანამდგვრების არსებობა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ სარჩოს გადახდის ვალდებულება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ჰქონდა მდგომარეობის შეცვლამდე, რაშიც მოიაზრებოდა მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი შრომის უნარის აღდგენა, რადგან სარჩო სწორედ ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანების გამო, შრომის უნარის დაკარგვისათვის დაინიშნა. შესაბამისად, ვინაიდან საქმის მასალებით არ დგინდებოდა მოსარჩელის გამოჯანმრთელების და მისი შრომის უნარის აღდგენის ფაქტი, სახეზე არ იყო მდგომარეობის შეცვლა და მოპასუხე საწარმო უფლებამოსილი არ იყო შეეწყვიტა სარჩოს გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მდგომარეობის შეცვლაში მოიაზრებოდა მოხუცებულობის გამო მუშაკის შრომის უნარის დაკარგვაც, როგორც მართლზომიერი საფუძველი სარჩოს გაცემის შესაწყვეტად. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ უწინარესად აღნიშნა, რომ დასახელებული არ წარმოადგენდა სარჩოს გაცემის შესაწყვეტად კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველს. ამასთან, თუ მდგომარეობის შეცვლას განვიხილავდით, როგორც შეფასებით კატეგორიას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მისი მოპასუხისეული განმარტება არ შეესაბამებოდა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მიზანს.

მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლზე, რომლის მიხედვით, დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდება ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი აქვს შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, მინიჭებული აქვს თუ არა ინვალიდობის ჯგუფი; ზიანი ანაზღაურდება იმავე ან იგივე თანრიგის ნებისმიერი სპეციალობის მუშაკის ბოლო სამი თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი; თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობს დაზარალებულის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრება სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი, ხოლო იმ ორგანიზაციებში, სადაც ხორციელდება მის ბალანსზე არსებული ქონების 10 პროცენტზე მეტი ინვესტიცია, არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ორმაგი ოდენობიდან.

რამდენადაც საქმეზე დგინდებოდა, რომ მოპასუხე საწარმოში მოსარჩელის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები აღარ არსებობდა, ამასთან, იმავე საწარმოში ბალანსზე არსებული ქონების 10 პროცენტზე მეტი ინვესტიციის განხორციელება ვერ დგინდებოდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან, შრომის უნარის დაკარგვის პროცენტის გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა "მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის #351 ბრძანებულებაზე, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად მინიმალური ხელფასის ოდენობა განისაზღვრა 20 ლარით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელისათვის ყოველთვიურად ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა შეადგენდა 42 ლარს (მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობის - 60 ლარის 70%), რაც მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა სარჩელის აღძვრის მომენტიდან - 2008 წლის 24 ივნისიდან უვადოდ, ხოლო სარჩელის შეწყვეტიდან - 2007 წლის ივლისიდან სარჩელის აღძვრამდე - 2008 წლის 24 ივნისამდე მოსარჩელეს სარჩო უნდა ანაზღაურებოდა ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით, ვინაიდან აღნიშნულზე არსებობდა მხარეთა შეთანხმება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ სარჩო უნდა გამოანგარიშებულიყო სს "მადნეულში" არსებული საბურღი დაზვის დამხმარის თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, ვინაიდან "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლი მიუთითებდა მხოლოდ იმავე საწარმოში და არა სხვა საწარმოებში არსებული თანამდებობებისა და პროფესიების შესახებ. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში არ დგინდებოდა მოსარჩელის მიერ დაკავებული და სს "მადნეულში" არსებული საბურღი დაზვის დამხმარის პროფესიის იგივეობა.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის არც ის პოზიცია გაიზიარა, რომ დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება, არამედ - "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილება, ვინაიდან ეს უკანასკნელი არეგულირებს სარჩოს დანიშვნის საფუძვლებს, მაშინ როდესაც მოცემულ შემთხვევაში სარჩო დანიშნულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების საფუძველზე და დავა ეხება მხოლოდ მისი შეწყვეტის კანონიერებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. პ-ანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 2007 წლის ივნისიდან სარჩოს სახით ყოველთვიურად 471 ლარის დაკისრება.

კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა 2007 წლის ივნისიდან მოპასუხის მიერ მისთვის სარჩოს გადახდის შეწყვეტა. მხარეებს შორის სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება უკვე ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით. რაც შეეხება, "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებას, რომელიც აღნიშნულ პერიოდში ამოქმედდა, იგი განსაზღვრავს, რომ საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საბურღი დაზვის დამხმარის ხელფასის გაუზიარებლობის შესახებ, რამდენადაც საქმეზე დადგენილია, რომ ს. პ-ანი მუშაობდა საკარიერო სამუშაოებზე, დღევანდელ რეალობაში კი საბურღი დაზვის დამხმარეც ასრულებს საკარიერო სამუშაოებს.

სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინა სს "დელტამ", რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს სასამართლოს 1971 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ს. პ-ანისათვის ყოველთვიური კომპენსაციის ანაზღაურება არამართებულია, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ჩანაწერი - "მდგომარეობის შეცვლამდე", გულისხმობს არა მხოლოდ მოსარჩელის მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ

- ყველა იმ გარემოებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სარჩოს გადახდაზე ან მის ოდენობაზე. ერთ-ერთი ასეთი გარემოება არის დასახიჩრებული პირის შრომისუუნარობა ასაკის გამო.

საკასტორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოყვანილი დასაბუთების შესაბამისი განმარტებიდან. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს 1971 წლის გადაწყვეტილება მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 457-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი, აგრეთვე ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანი მთლიანად უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება ანაზღაურებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის. მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამდენად, ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია პირის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების არსებობა, ზიანის ფაქტი და ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი. ყოველივე ჩამოთვლილი გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზიანის დაკისრებისას.

მოცემულ შემთხვევაში ზიანი, რომლის ანაზღაურებასაც ს. პ-ანი მოითხოვს, წარმოადგენს მიუღებელ ხელფასს. მართალია, თავის დროზე არსებობდა სს "დელტასათვის" ზიანის ანაზღაურების დაკისრების ყველა საფუძველი, კერძოდ, სახეზე იყო სს "დელტას" მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება, შედეგი მიუღებელი ხელფასის სახით და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, თუმცა დღეს გამოირიცხება სს "დელტას" მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებასა და შედეგს (ხელფასის მიუღებლობა) შორის მიზეზობრივი კავშირი. ს. პ-ანი თავისი ასაკის გათვალისწინებით დღეს მაინც ვერ შეძლებდა მუშაობას, თუნდაც თავის დროზე სს "დელტას" ბრალეული ქმედება არ არსებულებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

მარნეულის რაიონის სასამართლოს 1971 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის კარიერების სამმართველოს 1969 წლის 1 თებერვლიდან სარჩოს სახით ს. პ-ანის სასარგებლოდ ყოველთვიურად გადასახდელად დაეკისრა 96.80 მანეთი, საწარმოს ბრალით ს. პ-ანის მიერ შრომის უნარის 70%-ით დაკარგვის გამო, მდგომარეობის შეცვლამდე;

ს. პ-ანი 1973 წლიდან არის მეორე ჯგუფის ინვალიდი, ინვალიდობა დადგენილია უვადოდ;

სადავო არ არის, რომ თბილისის კარიერების სამმართველოს უფლებამონაცვლეა სს "დელტა";

2005 წლის 6 დეკემბრიდან 2007 წლის ივლისამდე პერიოდში ს. პ-ანი სს "დელტასაგან" სარჩოს სახით იღებდა თვეში 30 ლარს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

2007 წლის ივლისიდან სს "დელტამ" ს. პ-ანს შეუწყვიტა სარჩოს გადახდა;

ს. პ-ანმა სარჩოს გაცემის აღდგენისა და სარჩოს ოდენობის გადაანგარიშების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2008 წლის ივნისში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შეგებებული საკასაციო საჩივრის მსჯელობას, რომ ამ შემთხვევაში სარჩოს გაცემის შეწყვეტა მართლზომიერია. არ არის სწორი შეგებებული საკასაციო საჩივრის არგუმენტი, რომ 1971 წლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მითითებული ჩანაწერი - "მდგომარეობის შეცვლამდე" - გულისხმობს არა მხოლოდ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ - ყველა იმ გარემოებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სარჩოს გადახდაზე ან მის ოდენობაზე, მათ შორის, დასახიჩრებული პირის შრომისუუნარობას ასაკის გამო. ამ საკითხზე საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სარჩოს გადახდის ვალდებულება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაკისრებული ჰქონდა მოსარჩელის მდგომარეობის შეცვლამდე, რაშიც მოიაზრებოდა მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი შრომის უნარის აღდგენა. ამ შემთხვევაში მდგომარეობის შეცვლაში არ მოიაზრება მოხუცებულობის გამო შრომის უნარის დაკარგვა, დასახელებული არ წარმოადგენს სარჩოს გაცემის შესაწყვეტად კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის სარჩოს გაცემის შეწყვეტა არამართლზომიერია, რამდენადაც არ არსებობდა სარჩოს გაცემის შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი რაიმე საფუძველი.

დადგენილია, რომ მოპასუხე სს "დელტამ" მოსარჩელეს სარჩოს გადახდა შეუწყვიტა 2007 წლის ივლისიდან. ამდენად, ამ შემთხვევაში სადავოა სარჩოს გაცემის აღდგენა 2007 წლის ივლი-

სიდან და ამავე პერიოდიდან მისი გადაანგარიშება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობის მიმართ არასწორად გამოიყენა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება. 2007 წლის ივლისის მდგომარეობით აღნიშნული ბრძანებულება უკვე ძალადაკარგული იყო "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება ამ წესით, შრომის კოდექსით და სამოქალაქო კოდექსით. აღნიშნული დადგენილებით ახლებურად მოწესრიგდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესი, რომლის თანახმად, სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუძლირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა 2008 წლის 27 ივნისიდან ს. კ-ანისათვის გასაცემი ზიანის ანაზღაურების ოდენობა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით და გადასანგარიშებელი სარჩოს ოდენობა განესაზღვრა მათ საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოების დადგენა სს "დელტაში" იგივე ან იმავე თანრიგის თანამდებობის არარსებობის შესახებ, რომელზეც მოსარჩელე მუშაობდა. სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს, თუ რის საფუძველზე გამოიტანა აღნიშნული დასკვნა. არსებობს თუ არა სს "დელტაში" 2008 წლის ივნისიდან იგივე ან იმავე თანრიგის თანამდებობა, რაზეც მუშაობდა ს. კ-ანი, აღნიშნული შესაძლებელია გაირკვეს სს "დელტას" სამტატო ნუსხისა და შესაბამისი თანამდებობების ფუნქციური დატვირთვის გამოკვლევის შედეგად, რაც სააპელაციო სასამართლოს არ განუხორციელებია. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ დაუდგენია, თუ როდის გაუქმდა მოსარჩელის თანამდებობა და გაუქმებამდე რამდენს შეადგენდა ხელფასის ოდენობა. რაც შეეხება სს "მადნეულის" ცნობას, მოცემულ საქმეზე იგი გაზიარებულ ვერ იქნება, რამდენადაც ამ შემთხვევაში მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, როგორც სს "დელტას" და არა როგორც სს "მადნეულის" თანამშრომელი, აღნიშნული საწარმოები მეწარმე სუბიექტებია და შეუძლიათ დაადგინონ შრომის ანაზღაურების სრულიად განსხვავებული პირობები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს სს "დელტასათვის" ს. კ-ანის სასარგებლოდ 360 ლარის ოდენობით მიუღებელი სარჩოს ანაზღაურების ნაწილში, ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით, ვინაიდან აღნიშნულზე არსებობდა მხარეთა შეთანხმება. "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილება ადგენს შესაძლებლობას, რომ დამსაქმებელი და დასაქმებული შეთანხმდნენ ამ დებულებით დამტკიცებული ზიანის ანაზღაურების წესისაგან განსხვავებულ პირობებზე (პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს 2008 წლის 27 ივნისიდან ს. კ-ანისათვის გასაცემი ყოველთვიური სარჩოს ოდენობის ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების გამოყენების საფუძველზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამორკვევის შედეგად უნდა გადაწყვიტოს მოსარჩელისათვის ყოველთვიურად გასაცემი სარჩოს ოდენობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინება 2008 წლის 27 ივნისიდან ს. პ-ანისათვის თვეში 42 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების გაცემის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინება უცვლელად დარჩეს სს "დელტასათვის" ს. პ-ანის სასარგებლოდ 360 ლარის ოდენობით მიუღებელი სარჩოს დაკისრების ნაწილში;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. ვალდებულების შეწყვეტა

განჩინება

#ას-47-382-09

5 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სახელმწიფო ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ძის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი საპროცენტო დავალიანების - 10 639 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2002 წლის 11 ივლისს სს „საქართველოს საზღვაო ბანკსა“ და მ. მ-ძეს შორის დაიდო #39 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც მ. მ-ძემ „საზღვაო ბანკიდან“ აიღო 20 000 აშშ დოლარი კრედიტი წლიური 24%-ის დარიცხვით. მ. მ-ძემ ნაწილობრივ დაფარა კრედიტი და სარჩელის აღძვრის დროისათვის დავალიანებამ შეადგინა 10 639 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს ძირითადი თანხის პროცენტს. სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმე, რის გამოც ვერ მოხერხდა მ. მ-ძისგან აღნიშნული სესხის დაბრუნება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მ.მ-ძემ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად, დათქმულ ვადაში შეასრულა. აღნიშნული გარემოება დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო ბიუროს უფროსისადმი სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორ ო. ბერიძის მიერ გაგზავნილი წერილით, რომლითაც, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება უნდა გათავისუფლებულიყო იპოთეკისაგან.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოცემულ საქმეზე რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2002 წლის 11 ივლისს საკრედიტო ხელშეკრულებით მ. მ-ძემ აპელანტებისაგან ისესხა 20 000 აშშ დოლარი 36 თვის ვადით, წლიური 24%-ის დარიცხვით. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ქ. ქობულეთში მდებარე მოპასუხის და სხვა პირთა კუთვნილი უძრავი ქონება. 2003 წლის 28 მარტს მხარეებმა გააფორმეს #39 საკრედიტო ხელშეკრულების დანამატი, რომლითაც მ.მ-ძემ სესხის სახით დამატებით მიიღო 19500 აშშ დოლარი 42 თვის ვადით წლიური 24%-ის სარგებლით. ვალის დაფარვის საბოლოო ვადად განისაზღვრა 2006 წლის სექტემბერი. 2004 წლის 16 მარტს დაიწყო სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სალიკვიდაციო პროცესის წარმოება და გაუქმდა საბანკო ლიცენზია. 2007 წლის 15 მაისს, ანუ როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

და, მ.მ-ძის მიერ სასესიო ვალდებულებების შესრულების მოტივით, მოითხოვა ქონებაზე არსებული იპოთეკის გაუქმება. პალატა დაეთანხმა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არსებულ მსჯელობას, რომ ამ ცნობით დასტურდება მოვალის მიერ ვალდებულების სრულად შესრულების ფაქტი და არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება მოვალის მიერ საპროცენტო სარგებლის დაფარვის ფაქტის აღნიშნული საბუთით დაუდასტურებლობის შესახებ. პალატამ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილით მიიჩნია, რომ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორის 2007 წლის 15 მაისის წერილი, არსებითად არის ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რადგან ამ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი მ. მ-ძის მიერ დაუფარავი პროცენტის შესახებ, იგულისხმება, რომ მოვალემ ფულადი ვალდებულება მთლიანად შეასრულა. სასამართლომ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა აპელანტს, მას კი თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. რაც შეეხება საქმეში არსებულ გაანგარიშებას, იგი აპელანტმა შეადგინა, წარმოადგენს მისი განმარტების შემადგენელ ნაწილს და ამ საბუთით არ მტკიცდება, რომ მ. მ-ძეს აპელანტის მიმართ ვალდებულება ბოლომდე არა აქვს შესრულებული. პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი, როდესაც ჩათვალა, რომ ვალდებულების შესრულებით შეწყდა მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა მ.მ-ძის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და მას უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მ. მ-ძეს სარჩელზე შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვრა 10 დღის ვადა. სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხის დედას ჩაბარდა 2008 წლის 9 აგვისტოს. მოპასუხეს შესაგებელი სასამართლოში უნდა წარმოედგინა არა უგვიანეს 2008 წლის 19 აგვისტოსა. შესაგებელი რაიონული სასამართლოს კანცელარიაში შეტანილ იქნა 2008 წლის 20 აგვისტოს, ანუ სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ერთი დღის გადაცილებით. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულის შესახებ 2008 წლის 21 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე იმსჯელა და მოპასუხე მხარის მიერ შესაგებლის წარდგენის ვადის დარღვევა მიიჩნია საპატიოდ. განსახილველ პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობა და სრული მობილიზაცია იყო გამოცხადებული, ამდენად, სასამართლო უფლებამოსილი იყო, საპატიოდ ჩათვალა მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენისათვის დადგენილი ვადის გაშვება და აღედგინა იგი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორსა და მ. მ-ძეს შორის დადებული 2002 წლის 11 ივლისის საკრედიტო #39 ხელშეკრულებით მოპასუხემ მიიღო 20000 აშშ დოლარის ოდენობით კრედიტი 36 თვის ვადით წლიური 24%-ის დარიცხვით, ხოლო 2003 წლის 28 მარტის დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულებით მანვე გამოიტანა 19 500 აშშ დოლარი 42 თვის ვადით, ასევე წლიური 24%-ის დარიცხვით. მ.მ-ძემ ნაწილობრივ დაფარა დავალიანება და გადაუხდელი დარჩა 10 639 აშშ დოლარი, რომელიც მოიცავს 2004 წლის 28 აპრილიდან 2006 წლის 11 სექტემბრამდე პერიოდში საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროცენტის თანხას. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 427-ე და 429-ე მუხლებისა და მოპასუხის წერილის საფუძველზე სადავო ვალდებულება მთლიანად შესრულებულად არასწორად ჩათვალა. აღნიშნული წერილი ეხება ო. ზილბერშტეინისა და ლ. მ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებას. ამდენად, იპოთეკის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალკე გარიგებას, შესაბამისად, მისი გაუქმების შესახებ შეთანხმება არ ნიშნავდა საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას და, იპოთეკის ხელშეკრულების აქცესორული ხასიათის მიუხედავად, მისი გაუქმების საფუძვლად ყოველთვის მთლიანი ვალდებულების შესრულება ვერ მიიჩნევა. პალატამ არასწორად განმარტა ბანკის მიერ გამოვლენილი კეთილი ნება, მოვალის მიერ დარჩენილი თანხის გადახდევინების მიუხედავად, ვალდებულების სრულ დაფარვამდე იპოთეკისაგან გათავისუფლებინა მესამე პირის უძრავი ქონება. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა თანხის სრულად დაფარვის შესახებ, რადგან მოპასუხეს საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ზემოაღნიშნული თვეების პროცენტები არ დაუფარავს. ამასთან, მოწინააღმდეგის მიერ საჯარო რეესტრისადმი წარმოდგენილ მიმართვაში საუბარია მხოლოდ 2002 წლის 11 ივლისის საკრედიტო ხელშეკრულებაზე, რაც არანაირად არ უკავშირდება 2003 წლის 28 მარტის დამატებით საკრედიტო ხელშეკრულებას. სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ მოპასუხის მიერ წარმოდგენილ ერთადერთ მტკიცებულებას და საქმე ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად უნდა შეესწავლა. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ რაიონულ სასამართლოში ბანკის მიერ შემოტანილ სარჩელზე მოპასუხეს კანონით დადგენილ ვადაში სავალდებულო შესაგებელი არ წარმოუდგენია და არც შესაგებლის წარმოუდგენ-

ლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებია, რის გამოც მოსარჩელემ იშუამდგომლა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლომ დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და მოწინააღმდეგე მხარის მიერ დავიანებით წარდგენილი სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებებისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების გამო, რაიონული სასამართლო უფლებამოსილი იყო, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენისათვის დადგენილი ვადის გაშვება საპატიოდ ჩაეთვალა და აღედგინა იგი. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილს. ამასთან, რაიონულ სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმისას ზემოხსენებულ მოტივზე არ მიუთითებია და აღნიშნული მხოლოდ სააპელაციო პალატამ დაადგინა. გაუგებარია, თუ რაში გამოიხატებოდა ხელის შეშლა, რადგან საომარი მდგომარეობის არსებობისას მხარეს შესაგებლის სასამართლოში დროულად წარდგენასა და ქალაქში გადაადგილებაში ხელი არ შეშლია, ხოლო თავად საომარ მოქმედებებში მ.მ-მე არ მონაწილეობდა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2002 წლის 11 ივლისს #39 საკრედიტო ხელშეკრულებით მ. მ-მემ სს „საქართველოს საზღვაო ბანკისგან“ ისესხა 20 000 აშშ დოლარი 36 თვის ვადით, წლიური 24%-ის დარიცხვით. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ქ.ქობულეთში მდებარე მოპასუხისა და სხვა პირთა კუთვნილი უძრავი ქონება. 2003 წლის 28 მარტს მხარეებმა გააფორმეს 2002 წლის 11 ივლისის #39 საკრედიტო ხელშეკრულების დანამატი, რომლითაც მ.მ-მემ სესხის სახით დამატებით მიიღო 19500 აშშ დოლარი 42 თვის ვადით წლიური 24%-ის სარგებლით. 2004 წლის 16 მარტს დაიწყო სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სალიკვიდაციო პროცესის წარმოება და გაუქმდა საბანკო ლიცენზია. 2007 წლის 15 მაისს ბანკის ლიკვიდატორმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და, მ. მ-მის მიერ სასესხო ვალდებულებების შესრულების მოტივით, მოითხოვა მოპასუხისა და სხვა პირთა კუთვნილ უძრავ ქონებაზე იპოთეკის გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება - სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორის 2007 წლის 15 მაისის წერილი და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მ.მ-მის მიერ ვალდებულების სრულად შესრულების თაობაზე. მითითებული წერილით კასატორის წარმომადგენელმა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და აცნობა, რომ მ. მ-მემ ჯეროვნად შესრულა 2002 წლის 11 ივლისს დადებული #39-2002 საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც იპოთეკისაგან უნდა გათავისუფლდეს 2002 წლის 9 ივლისის იპოთეკის ხელშეკრულებით დატვირთული უძრავი ნივთები.

საკასაციო სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ მითითებული მტკიცებულების შინაარსი უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის 2002 წლის 11 ივლისის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მოვალის მიერ შესრულებულია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის ძალითაც ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია. ამგვარი სახის დოკუმენტი უზრუნველყოფს მოვალის მიერ ვალის გადახდის დამტკიცებას, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ვალდებულების შესრულების საჭკვობისას, შესრულების მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება და მას ამ ვალდებულების რეალიზაცია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტით შეუძლია. ამასთან, ფულადი ვალდებულება, უმეტესწილად, ძირითად ვალთან ერთად მოიცავს პროცენტებსაც და, შესაბამისად, ვალდებულების ჯეროვანი შესრულება შეთანხმებული სარგებლის გადახდასაც გულისხმობს. ვალდებულების შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისას კრედიტორი უფლებამოსილია, მიუთითოს, მთლიანად შესრულდა თუ არა ვალდებულება

(გადახდილია თუ არა ძირითადი თანხა და სარგებელი). აღნიშნულს ადასტურებს 429-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის ძალითაც კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი ადგენს ვალდებულების მთლიანად შეწყვეტის პრეზუმფციას (429-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაც მომდინარეობს პროცენტზე უფლების აქცესორული ბუნებიდან, ანუ ამგვარი უფლება არსებობს მხოლოდ ძირითად უფლებასთან ერთად და ძირითადი ვალდებულების შეწყვეტისას ივარაუდება, რომ აქცესორული ვალდებულებაც შეწყვეტილია.

დაუსაბუთებელია კასატორის არგუმენტი მოვალის მიერ პროცენტების ნაწილში ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე, ვინაიდან კასატორი ამ გარემოების დამადასტურებელ სარწმუნო მტკიცებულებაზე ვერ უთითებს, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, მ.მ-ის დავალიანება დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სალიკვიდაციო კომისიის დასკვნით. აღნიშნული წერილობითი მტკიცებულება შედგენილია რა თარიღის მითითების გარეშე, ცალმხრივად მხოლოდ კასატორის მიერ და მ.მ-ის დავალიანების თაობაზე დასკვნა დაფუძნებულია 2002 წლის 11 ივლისის #39-2002 საკრედიტო ხელშეკრულებაზე. ასევე, თვითონ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ, გარდა მის მიერ შედგენილი დასკვნისა, გადაუხდელი პროცენტის ოდენობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. ბანკის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფულადი ოპერაციების დამადასტურებელი დოკუმენტების (კლიენტის მიერ თანხის გადახდის, დარჩენილი ვალდებულების და ა.შ.) წარმოდგენისა და ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ბანკის მხარეზეა. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის გამო სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორის მიერ შედგენილი დასკვნა მ.მ-ის დავალიანების არსებობის თაობაზე საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს ამ გარემოების დასადგენად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, ფაქტების მითითებისა და დამტკიცების ტვირთი მხარის მოვალეობას წარმოადგენს. ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის კანონი მხარის მიმართ რაიმე იძულებას არ აწესებს, თუმცა ამ მოვალეობის შეუსრულებლობას შედეგად მხარისათვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება მოჰყვება.

მოცემულ შემთხვევაში მხარემ სასამართლოს სათანადო წესით ვერ დაუდასტურა იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობა, რომელზედაც ამყარებდა სასარჩელო მოთხოვნას, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება თავისათავე არ გულისხმობს ვალდებულების შესრულებას. იპოთეკის უფლება აქცესორული, დამატებითი ხასიათის უფლებაა, არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე და ემსახურება ვალდებულებითი ურთიერთობის უზრუნველყოფას. ამ თვისებიდან გამომდინარე, იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება არსებობს ძირითადი უფლების - ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტამდე. ამავდროულად, აქცესორული უფლების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ძირითად უფლებაზე - ვალდებულებით ურთიერთობაზე და ეს უკანასკნელი კანონით დადგენილი წესით უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებას არ აფუძნებს ამ გარემოებაზე, არამედ სასამართლოს მიერ სასარჩელო მოთხოვნის უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორის 2007 წლის 15 მაისის წერილის შესაბამისობა სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესთან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვალდებულების შეწყვეტა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

დმანისის რ-ნის გამგეობამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „საქგაზმშენსერვისის“ მიმართ და აღნიშნა, რომ დმანისის რ-ნის გამგეობასა და შპს „საქგაზმშენსერვისის“ შორის 2005 წლის 11 ოქტომბერს დაიდო #97 ხელშეკრულება, რომლის თანახმად უნდა შესრულებულიყო სოფლების - განთიადისა და ჯავახეთის გაზიფიკაციის სამუშაოები. გამგეობის მიერ 2005 წლის 31 აგვისტოს გამოცხადებული ღია ტენდერის შესაბამისად, სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 480.904 ლარს. აღნიშნული სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 2005 წლის 31 დეკემბერს. ხელშეკრულების 12.5 მუხლის თანახმად, შეთანხმებულ ვადაში (2005 წლის 30 დეკემბერს) სამუშაოების დაუმთავრებლობის შემთხვევაში, მოპასუხე ვალდებულია კისრულობდა, გადაეხადა პირგასამტეხლო საერთო თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც შეადგენს დღეში 480 ლარს. მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 12 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ ამ დროისათვის შესრულებული იყო სამუშაოების მხოლოდ 75%, ხოლო მთლიანად სამუშაოები დასრულდა 2006 წლის 30 ივნისისათვის, ანუ ვადა გადაცილდა 180 დღით. შესრულებული სამუშაოებისათვის დაიხარჯა 86.400 ლარი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ტენდერში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გაზომვარაგების სამუშაოები შპს „საქგაზმშენსერვისის“ უნდა შესრულებინა 480,9 ლარად, კერძოდ, სოფელ განთიადის გაზომვარაგების სამუშაოები - 320,4 ათას ლარად, ხოლო სოფელ ჯავახეთის - 160,5 ათას ლარად; შესრულებული სამუშაოების (ფორმა #2) აქტების მიხედვით სოფელ განთიადის გაზომვარაგებაზე შესრულებულია 256,4 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები და - 268,9 ლარის სამუშაოები. მოსარჩელემ ასევე მიუთითა საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 28 ივნისის #279/47 აქტზე და განმარტა, რომ აღნიშნულითაც დასტურდება წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტებში თანხების ხელოვნურად - 23.900 ლარით გაზრდა.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში შეტანილია 34.100 ლარის ღირებულების მიღები, რომლებიც მოპასუხეს უფასოდ გადაეცა სოფელ განთიადის საკრებულოს მიერ 2005 წლის 20 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით და იგი, შპს „საქგაზმშენსერვისის“ 2005 წლის 12 დეკემბრის წერილის თანახმად, შესრულებული სამუშაოების აქტში უნდა ასახულიყო ფასის გარეშე ან მასალის უკან დაბრუნებით.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ მოპასუხის - შპს „საქგაზმშენსერვისის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად, დმანისის რ-ნის გამგეობის მიერ გადასახდელია - 90.904 (480.904-390.000=90.904) ლარი.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელე დმანისის რ-ნის გამგეობამ, აღნიშნა, რომ მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს პირგასამტეხლო - 86.400 ლარი, ფორმა #2-ში ზედმეტად ასახული თანხები - 23.900 ლარის ოდენობით და მიღების ღირებულება - 34.100 ლარი. აღნიშნული თანხების ჯამი შეადგენს 144.400 ლარს, რომელსაც. მოსარჩელის განცხადებით, უნდა გამოაკლდეს საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის გადასახდელი, გამგეობის მიერ ჯერ კიდევ აუნაზღაურებელი - 90.904 ლარი და საბოლოოდ მოპასუხეს უნდა დაეკისროს 53.496 ლარის გადახდა.

ამ გარემოებებზე მითითებით, მოსარჩელემ მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხე შპს „საქგაზმშენსერვისის“ დაეკისროს 53.496 ლარის გადახდა.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული სამუშაოების ღირებულების დროულად გადახდის ვალდებულება. ამის გარდა, გამგეობის დადგენილებით, ექსტრემალური კლიმატური პირობების გამო, დაკონსერვდა სამშენებლო სამუშაოები, არ არსებობს შპს „საქგაზმშენსერვისის“ მიმართ ხელშეკრულების 12.5 მუხლით გათვალისწინებული სანქციის (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმის სახით 0,1%-ის დაისრების) გამოყენების საფუძველი და, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 419-ე მუხლებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის საფუძველები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით დმანისის რ-ნის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მის სასარ-

გებლოდ შპს „საქგაზმშენსერვისს“ დაეკისრა 34.100 ლარის გადახდა, შპს „საქგაზმშენსერვისს“ ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 1023 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და შპს „საქგაზმშენსერვისმა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შპს „საქგაზმშენსერვისის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება დმანისის რ-ნის გამგეობის სარჩელის დაკმაყოფილების - შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ 34.100 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დმანისის რ-ნის გამგეობის მიერ 2005 წლის 31 აგვისტოს გამოცხადებულ ღია ტენდერზე სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა შპს „საქგაზმშენსერვისმა“, აღნიშნულის შედეგად დმანისის რ-ნის გამგეობასა და შპს „საქგაზმშენსერვისს“ შორის 2005 წლის 11 ოქტომბერს დაიდო #97 ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „საქგაზმშენსერვისს“ უნდა ჩაეტარებინა დმანისის რ-ნის სოფლების - განთიადისა და ჯავახეთის გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 480.904 ლარით; ხელშეკრულების 6.1 დუნქტის მიხედვით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები თანამიმდევრულად უნდა შესრულებულიყო და ამ სამუშაოთა შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2005 წლის 30 დეკემბერი.

სააპელაციო პალატამ დადგინდა ცნო, რომ დმანისის რ-ნის სოფლების - განთიადისა და ჯავახეთის, გაზიფიკაციის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში - 2005 წლის 30 დეკემბრისათვის არ დასრულებულა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება დმანისის რ-ნის გამგეობის სარჩელის - შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“, ვალდებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო, პირგასამტეხლოს სახით - 86.400 ლარის დაკისრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიუთითა, რომ მხარეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები ნარდობის შესახებ; სააპელაციო პალატამ განმარტა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი.

სააპელაციო პალატამ დადგინდა ცნო, რომ შპს „საქგაზმშენსერვისის“ მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების - სოფლების, განთიადისა და ჯავახეთის გაზიფიკაციის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობით მათ საცხოვრებელ სახლებთან გაყვანილობის მონტაჟის დროს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ვალდებულების შეთანხმებულ ვადაში შეუსრულებლობა ასევე განპირობებული იყო კრედიტორის - დმანისის რ-ნის გამგეობის მიზეზით, რომ მან არ შეასრულა ხელშეკრულების 9.4.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ შესრულებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა ღირებულების დადგენილ ვადებში ანაზღაურების თაობაზე, კერძოდ, დადასტურებულად ცნო, რომ 2005 წლის 29 დეკემბრისათვის, სამუშაოთა დასაწყისიდან საანგარიშო თვის ჩათვლით, შესრულებული იყო 363.000 ლარის ღირებულების სამუშაოები; გამგეობის მიერ საანგარიშო თვეში საწარმოსათვის გადასახდელი 85.000 ლარი გადახდილი იქნა მხოლოდ 2006 წლის 2 მარტს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შპს „საქგაზმშენსერვისის“ მიერ სამუშაოთა დაუსრულებლობა გამოწვეული იყო ასევე კლიმატური პირობების გამო, რამაც ხანგრძლივი დროით შეაფერხა სამუშაოები. საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 28 ივნისის 3279/47 აქტი წარმოადგენს 2003 წლის 1 მაისიდან 2006 წლის 1 აპრილამდე პერიოდის კომპლექსური რევიზიის შედეგად მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დმანისის რ-ნის გამგეობაში და საფინანსო განყოფილებაში ჩატარებული რაიონული ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობის ამსახველ დასკვნას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგინდა ცნო, რომ შპს „საქგაზმშენსერვისის“ გაზიფიკაციის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის სოფელ განთიადის თემის საკრებულოს მიერ, 2005 წლის 20 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა 100 მმ დიამეტრის 369 გრძივი მეტრის, 80 მმ დიამეტრის 474 გრძივი მეტრისა და 50 მმ დიამეტრის 3177 გრძივი მეტრის მილები ღირებული 34.117 ლარად. აღნიშნული მილები გადაეცა შესაბამისი ანაზღაურებით იმ პირობით, რომ მითითებული თანხა მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორებისას უნდა გამოკლებოდა დმანისის რ-ნის გამგეობის მიერ შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ შესრულებული სამუშაო-

ების ღირებულების სახით ასანაზღაურებელ თანხას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, ვინაიდან მხარეებს შორის არ შემდგარა საბოლოო ანგარიშსწორება და, შესაბამისად, დმანისის რ-ნის გამგეობას ასანაზღაურებელი აქვს შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ ამ უკანასკნელის მიერ შესრულებულ სამუშაოთა დარჩენილი ნაწილის ღირებულება, მხარეთა წინასწარ შეთანხმების მიხედვით, საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებისას აღნიშნულ თანხას უნდა გამოაკლდეს შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ სამუშაოთა წარმოებისას გადაცემული მიწების ღირებულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი. ამასთან, არასწორად განმარტა კანონი მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, კერძოდ, სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ დმანისის რ-ნის გამგეობის გადაწყვეტილებით მოპასუხეს გადაეცა მიწები, რომელთა ღირებულებაც შემდგომში უნდა ანაზღაურებულიყო. აქედან გამომდინარე, მოპასუხის მიერ არსებობს ვალდებულება მიწების ანაზღაურების შესახებ, რაც სასამართლომ არ გაიზიარა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დადგენილ ვადებში სამუშაოების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ბუნებრივი პირობების, დიდთოვლობის გამო, რასაც ითვალისწინებს 2005 წლის 11 ოქტომბრის #97 ხელშეკრულების 14.1 მუხლი, მაგრამ სასამართლომ არ უმსჯელია და არ შეუფასებია იმავე ხელშეკრულების 14.3 მუხლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შემოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ მიწების ღირებულების ასანაზღაურებლად 34100 ლარის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „საქგაზმშენსერვისის“, გაზიფიკაციის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის, სოფელ განთიადის თემის საკრებულოს მიერ, 2005 წლის 20 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა 100 მმ დიამეტრის 369 გრძივი მეტრის, 80 მმ დიამეტრიც 474 გრძივი მეტრისა და 50 მმ დიამეტრის 3177 გრძივი მეტრის მიწები მთლიანი ღირებულებით 34 117 ლარი. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ ამავე აქტით დადგენილია ის გარემოება, რომ შპს „საქგაზმშენსერვისის“ აღნიშნული მიწები გადაეცა შესაბამისი ანაზღაურებით იმ პირობით, რომ მითითებული თანხა მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორებისას უნდა გამოკლებოდა დმანისის რ-ნის გამგეობის მიერ შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ შესრულებული სამუშაოების ღირებულების სახით ასანაზღაურებელ თანხას. ამ შეთანხმებას მხარეები სადავოდ არ ხდიან.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მონაწილეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორება არ განხორციელებულა და, მოსარჩელის განმარტებით, მას შესრულებული სამუშაოებისათვის მოპასუხისათვის გადასახდელი აქვს 90.904 ლარი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისას უნდა არსებობდეს ორი აუცილებელი წინაპირობა: ორივე პირი ერთმანეთისათვის ერთდროულად კრედიტორიც უნდა იყოს და მოვალეც, ე.ი. ორივეს ერთმანეთის მიმართ უნდა ეკისრებოდეს ვალდებულების შესრულება და ასევე დამდგარი უნდა იყოს ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. აღნიშნული ნორმის თანახმად, ეს ორი წინაპირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ განხორციელდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულების გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონ-

კრეტულ დავაზე არ ვრცელდება ეს უკანასკნელი ნორმის დანაწესი (442-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რადგან მოპასუხე მხარს არ უჭერს გაქვითვას, ე.ი. არ არსებობს მისი ნება შესრულების ვადის დადგომამდე ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის შესახებ, რაც აუცილებელი პირობაა ამ ნორმით ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის მიღების ღირებულების დაკისრების შესახებ, დამოკიდებულია თვით მის მიერ მოპასუხისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დარჩენილი ნაწილის გადახდაზე. მითითებული თანხა მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშწორებისას უნდა გამოკლებოდა დმანისის რ-ნის გამგეობის მიერ შპს "საქგაზმშენსერვისისათვის" შესრულებული სამუშაოების ღირებულების სახით ასანაზღაურებელ თანხას, ხოლო საბოლოო ანგარიშწორება ჯერ არ შემდგარა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ კასატორი არ აყენებს საკასაციო პრეტენზიას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ხოლო, რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოპასუხის შესაგებლით დასტურდება მიღების ანაზღაურების ვალდებულება, აღნიშნული არ ნიშნავს ვალდებულების შესრულების დროის დადგომას, კერძოდ, მოპასუხის შესაგებელში აღნიშნულია, რომ მიღების ღირებულების თანხა შეტანილი იქნება საბოლოო ანგარიშწორების აქტში. ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ 34 117 ლარის ოდენობის მიღების ღირებულების მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, რადგან ამ მოთხოვნის შესრულებას მხარეები უკავშირებდნენ საბოლოო ანგარიშწორებას, რაც ჯერ არ განხორციელებულა.

კასატორი დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა ასევე აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს ნაწილში მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა უსაფუძვლოა, რადგან სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და არ შეუფასებია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 14.3 მუხლის შესახებ, რომლის თანახმად "დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდგმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ". კასატორი აღნიშნავს, რომ ასეთი შეტყობინა საქმეში არ არსებობს. ამასთან ერთად კასატორი აღნიშნავს, რომ სამუშაოების შესრულების ვადა 180 დღით გადააცილა, ამდენი ხნის მანძილზე არ შეიძლება სამუშაოების დაყოვნების მიზეზი გამხდარიყო დიდთოვლობა.

ამასთან მიმართებაში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობისას მოპასუხის ბრალეულობის არარსებობის მიზეზად სააპელაციო სასამართლო უთითებს არა მარტო კლიმატური პირობების არსებობას, რამაც ხანგრძლივი დროით შეაფერხა სამუშაოები, არამედ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობის ფაქტს, კერძოდ, სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ შპს "საქგაზმშენსერვისის" მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების - სოფლების, განთიადისა და ჯავახეთის გაზიფიკაციის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობით მათ საცხოვრებელ სახლებთან გაყვანილობის მონტაჟის დროს. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად ცნო დმანისის რ-ნის გამგეობის მიერ შექმნილი მაკონტროლებელი სპეციალური ინსპექტორების ჯგუფის 2006 წლის 12 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტით. ხელშეკრულების 9.12. პუნქტის თანახმად, დმანისის რ-ნის გამგეობის ვალდებულებას წარმოადგენდა მოპასუხისათვის გაზიფიკაციის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა წარმოებისათვის საჭირო ფონტის მოწყობა, რაც მან ვერ უზრუნველყო.

სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ ვალდებულების შეთანხმებულ ვადაში შეუსრულებლობა ასევე განპირობებული იყო კრედიტორის - დმანისის რ-ნის გამგეობის მიზეზით, რომ მან არ შეასრულა ხელშეკრულების 9.4.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შპს "საქგაზმშენსერვისისათვის" შესრულებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა ღირებულების დადგენილ ვადებში ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად ცნო 2005 წლის 29 დეკემბრის ცნობისა და 2006 წლის 2 მარტის #72 საგადასახადო დავალების საფუძველზე.

ამის გარდა მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად სააპელაციო პალატამ მიიჩნია ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შპს „საქგაზმშენსერვისის“ მიერ სამუშაოთა დაუსრულებლობა გამოწვეული იყო ასევე კლიმატური პირობების გამო, რამაც ხანგრძლივი დროით შეაფერხა სამუშაოები. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოებები დადგინილად მიიჩნია დმანისის რ-ნის გამგეობის 2006 წლის 18 იანვრის #5 დადგენილების, დმანისის რ-ნის გამგეობის მიერ შექმნილი მაკონტროლებელი სპეციალური ინსპექტორების

ჯგუფის 2006 წლის 12 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 28 ივნისის #279/47 აქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა არ იყო გამოწვეული მისი ბრალით. ხოლო სამუშაოთა შესრულების დაყოვნების მიზეზების შეუტყობინებლობა არ შეიძლება გახდეს მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას მისი ბრალის არსებობის და, შესაბამისად, ვადაგადაცილებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ამდენად, გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხის არაბრალეულობას ადასტურებს არა მარტო კლიმატური პირობების არსებობის, არამედ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობის ფაქტიც, რაც დაადგინა სააპელაციო სასამართლომ და რომლის წინააღმდეგ არ არის მითითებული საკასაციო საჩივარში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. ნასყიდობა

განჩინება

#ას-397-713-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. მ-ოვმა სარჩელი აღმრა სასამართლოში მ. ბ-ძის მიმართ მოპასუხისათვის ვალდებულების შესრულების მიღების დავალდებულების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2005 წლის ბოლოს ე. მ-ოვმა მოპასუხისაგან 8000 აშშ დოლარად შეიძინა ავტომანქანა "მერსედეს ბენცი", სახელმწიფო ნომრით "BშB-915", რომლის ღირებულებაც უნდა გადაეხადა ეტაპობრივად. 2006 წელს მოპასუხეს გადაუხადა 6000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 2000 აშშ დოლარის მიღებაზე მ. ბ-ძე

უარს აცხადებს. ამდენად, მოპასუხის მიმართ მისი ვალდებულება 2000 აშშ დოლარის გადახდასთან დაკავშირებით უნდა შეწყდეს დეპონირების გზით და მოპასუხეს დაეკისროს ავტომანქანის აღრიცხვიდან მოხსნა, რათა მოსარჩელემ მოახდინოს სადავო ნივთის თავის სახელზე აღრიცხვა.

მ. ბ-მემ სარჩელი არ ცნო, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ე. მ-ოვის უკანონო მფლობელობიდან კუთვნილი ავტომანქანის გამოთხოვა, ასევე ზიანის - 2005 წლის დეკემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველთვიურად 500 ლარის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით: 2005 წლის დეკემბერში მხარეები აპირებდნენ მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას, რის საფუძველზეც მ. ბ-მემ მოწინააღმდეგე მხარეს მფლობელობაში გადასცა კუთვნილი ავტომანქანა იმ პირობით, რომ დეკემბრის ბოლომდე ე. მ-ოვი გადაიხდიდა 8000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს 2005 წლის კურსის შესაბამისად. მოპასუხეს თანხის გადახდის ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია, რის გამოც მ. ბ-მე უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, რადგან მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგა. სადავო ნივთის ე. მ-ოვის მფლობელობაში უსასყიდლოდ გადაცემით მხარემ ვერ მიიღო მისი გაქირავების შემთხვევაში მისაღები ქირა, რაც ყოველთვიურად 500 ლარს წარმოადგენდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით ე. მ-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. ბ-მის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 1994 წელს გამოშვებული სახელმწიფო #BMB-915 "მერსედეს ბენცის" მარკის ავტომანქანა გამოთხოვილ იქნა ე. მ-ოვის მფლობელობიდან, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოთხოვნას უარი ეთქვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. ბ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ამასთან, მხარემ შეამცირა მოთხოვნის ოდენობა და მოითხოვა ზიანის - 10000 ლარის მოწინააღმდეგისათვის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მ. ბ-მის შეგებებული სარჩელი 2880 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ე. მ-ოვს მ. ბ-მის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 115 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2005 წლის დეკემბერში მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ე. მ-ოვი შეიძენდა მ. ბ-მის კუთვნილ "მერსედეს ბენცის" მარკის ავტომანქანას სახელმწიფო ნომრით "BMB-915". ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 8000 აშშ დოლარით. ავტომანქანა მყიდველს გადაეცა მფლობელობაში. ე. მ-ოვი ავტომანქანით სარგებლობდა 18 თვის განმავლობაში, 2005 წლის დეკემბრიდან 2007 წლის ივლისამდე. მართალია, ე. მ-ოვი მიუთითებს, რომ თანხის ნაწილი - 6000 აშშ დოლარი მ. ბ-მეს გადაუხადა, თუმცა აპელანტმა აღნიშნული მითითება უარყო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. მ-ოვმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მის მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ წარადგინა. მ. ბ-მემ უარი თქვა ხელშეკრულებაზე. პალატამ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი ე. მ-ოვის მფლობელობიდან ავტომანქანის გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა, ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში. სამოქალაქო კოდექსის 505-ე, 507-ე მუხლებისა და აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, პალატამ ჩათვალა, რომ მხარეებს შორის დაიდო ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით, მყიდველმა დაარღვია ხელშეკრულების პირობა, რაც მის მიერ ნასყიდობის ფასის გადაუხდელობაში გამოიხატა, გამყიდველმა უარი თქვა ხელშეკრულებაზე, ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, ნასყიდობის საგანი მას უნდა დაუბრუნდეს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თანხის ანაზღაურების თაობაზე მ. ბ-მის შეგებებული სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისადმი სამართლის ნორმის შეფარდება სასამართლოს პრეროგატივაა და იგი შეზღუდული არ არის მხოლოდ მხარის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველებით. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 411-ე, 414-ე მუხლით და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში კრედიტორ მ. ბ-მის ინტერესი ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიმართ იყო თანხის - 8000 აშშ დოლარის დადგენილ ვადაში მიღება, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში მისაღები თანხის სარგებლის სახით, შესაბამისად, ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით, უნდა განისაზღვროს 8000 აშშ დოლარის 2%-ით - 160 აშშ დოლარის ოდენობით, რაც გონივრულ შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვრულ

ოდენობასთან, აღნიშნული კი 18 თვის მანძილზე, ავტომანქანის დაბრუნებამდე პერიოდში, 2880 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ტოლია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ე. მ-ოვმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ ირკვევა, თუ რის გამოც გამოიყენა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 506-507-ე მუხლები. თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა ნასყიდობა გადახდის განვადებით და აღნიშნული გარიგების წერილობით გაფორმების დამადასტურებელი მტკიცებულება წარდგენილი არ ყოფილა, სააპელაციო პალატას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ასეთ დროს მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს მხოლოდ ნივთის ფასი პროცენტის გარეშე. ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 407-ე, 411-ე და 414-ე მუხლებზე დაყრდნობით მიუღებელი შემოსავლის პროცენტის დაკისრება, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც მიუღებელი შემოსავლის დანაკარგს უკავშირდება. ამასთან, სააპელაციო სასამართლო გასცდა მ. ბ-ძის შეგებებული სარჩელის მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თავისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი მოტივებით: სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა კასატორის მიერ საქალაქო სასამართლოში წარდგენილი აუდიტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სპეციალისტმა დაადგინა, რომ მ. ბ-ძის კუთვნილი ავტომანქანის მახასიათებლების მქონე ავტომობილით სარგებლობისათვის საზღაური, საქართველოში არსებული ფასების შესაბამისად, შეადგენდა 600 ლარს. სასამართლომ ასევე დაადგინა ის გარემოებაც, რომ ე. მ-ოვი კასატორის კუთვნილი ავტომანქანით 2005 წლის დეკემბრიდან 2007 წლის აგვისტომდე სარგებლობდა ყოველგვარი საზღაურის გადახდის გარეშე. სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე უდავოა, რომ ე. მ-ოვმა უსაფუძვლოდ მიიღო კასატორის საკუთრებაში არსებული ქონებრივი სიკეთე. სწორედ აღნიშნულს ეფუძნება მ. ბ-ძის მოთხოვნა ე. მ-ოვისათვის, სამოქალაქო კოდექსის 976-ე, 991-ე მუხლებიდან გამომდინარე, 2005 წლის დეკემბრიდან 2007 წლის აგვისტომდე ავტომანქანით სარგებლობისათვის ყოველთვიურად 500 ლარის დაკისრების შესახებ, რამაც საბოლოო ჯამში შეადგინა 10000 ლარი. პირველი ინსტანციის სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის უსაფუძვლოდ გამდიდრებიდან გამომდინარე ნორმების გამოყენებაზე მხარეს უარი უთხრა იმ მოტივით, რომ სარგებლობის უფლება ქონებას არ წარმოადგენდა. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, პირი უსაფუძვლოდ გამდიდრდება მაშინ, როდესაც მის ხელში ქონება უსაფუძვლოდ აღმოჩნდება. სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ სადავო შემთხვევაში სწორედ ანალოგიური სიტუაცია არსებობდა. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, მას საერთოდ არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2005 წლის დეკემბერში მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ე. მ-ოვი შეიძენდა მ. ბ-ძის კუთვნილ "მერსედეს ბენცის" მარკის ავტომანქანას. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 8000 აშშ დოლარით. ავტომანქანა მყიდველს გადაეცა მფლობელობაში. ე. მ-ოვი ავტომანქანით სარგებლობდა 18 თვის განმავლობაში, 2005 წლის დეკემბრიდან 2007 წლის ივლისამდე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ბ-ძის შეგებებული სარჩელი ე. მ-ოვის უკანონო მფლობელობიდან სადავო ნივთის - ავტომანქანის გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა და იგი კანონიერ ძალაშია შესული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. მ-ოვისა და მ. ბ-ძის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან საქმეზე გამოსარკვევი და დასადგენია ფაქტობრივი გარემოებანი, რომელთა გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი შეფასების კანონიერებაზე მსჯელობა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარეთა შორის დადებულია ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით და მყიდველის - ე. მ-ოვის მიერ ნასყიდობის ფასის გადაუხდელობით დარღვეულ იქნა ხელშეკრულების პირობა. აღ-

ნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ბ-მისთვის მიყენებული ზიანი უნდა განისაზღვროს ავტომანქანის დაზარუნებამდე პერიოდში გადასახდელი თანხის პროცენტით.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას არ გამოურკვევია, თუ რა ვადით მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულების გადახდის განვადება. შესაბამისად, ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის მითითება მისაღები თანხის 18-თვიან ვადით პროცენტის ანაზღაურებაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებისათვის სამართლის ნორმის შეფარდება სასამართლოს პრეროგატივაა და იგი შეზღუდული არ არის მხოლოდ მხარის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძვლებით. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ სამართლებრივი შეფასების შეცვლამ არ უნდა მოიცვას მხარის მიერ მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში მ. ბ-მე შეგებებული სარჩელით მოითხოვდა თანხის დაკისრებას იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მოპასუხე 18 თვის განმავლობაში არამართლზომიერად სარგებლობდა მისი ავტომანქანით.

ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოერკვია, თუ რა პერიოდის განმავლობაში ფლობდა არამართლზომიერად მოპასუხე ავტომანქანას. ამ მიმართებით საგულისხმოა, რომ ე. მ-ოვი სარჩელში უთითებს ორი წლით განვადების ნასყიდობაზე, ხოლო მ. ბ-მე შეგებებულ სარჩელში უთითებს, რომ მისი კუთვნილი ავტომანქანა გადასცა ე. მ-ოვს მფლობელობაში იმ პირობით, რომ დეკემბრის ბოლომდე მოპასუხეს უნდა გადაეხადა 8000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით უნდა გამოარკვიოს:

- რა ვადაში უნდა გადაეხადა მყიდველს ნასყიდობის საგნის თანხა;
- განვადებით ნასყიდობის დადგენის შემთხვევაში დროის რა შუალედებში უნდა მომხდარიყო გადახდა და ხელშეკრულების მოშლამდე რა თანხის გადახდის ვადა გადააცილა მოვალემ;
- ამ გარემოებათა გამორკვევის შემდეგ სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს, რა დროიდან იმყოფებოდა ნივთი მოპასუხის არამართლზომიერ მფლობელობაში.

აღნიშნული ფაქტების დადგენა შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს, იმსჯელოს ავტომანქანის ე. მ-ოვის მფლობელობაში ყოფნით რა ოდენობის და რა სახის ზიანი მიადგა მ. ბ-მეს; რამდენად მოსალოდნელი იყო მ. ბ-მისათვის მისი მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ავტომანქანის გაქირავებით სარგებლის მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. მ-ოვისა და მ. ბ-მის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნასყიდობა

განჩინება

#ას-584-891-09

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ჭერმესის“ მიმართ თანხის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლის 6 თებერვალს

საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში სასურსათო ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხებით, სამინისტროს მიერ გამართულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესყიდვაზე გამოცხადდა ღია ტენდერი მინიმუმ 70 ერთეული ტრაქტორისა და გუთნის შესყიდვის მიზნით. გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჭერმესი“, რომელსაც, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, დაეკისრა ვალდებულება სულ ცოტა 70 ერთეული ტრაქტორის სამინისტროსათვის მიწოდებაზე. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება, კერძოდ, 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, 2006 წლის 20 აპრილს მხარეებს შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი 75 ერთეული ტრაქტორის შემსყიდველისათვის გადაცემის თაობაზე. ამავე დროს ტრაქტორებთან ერთად ასევე გათვალისწინებული იყო 2006 წლის 20 აპრილს იმავე რაოდენობის გუთნების შემოტანის ვალდებულება, რაც მიმწოდებელმა არ შეასრულა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მხარეებს შორის 2006 წლის 27 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წლის 17 მარტის #3701-6/49 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამავე დროს ხელშეკრულების საერთო პირობების 20.1 პუნქტის თანახმად, ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები. შესაბამისად, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.1 მუხლის თანახმად, შპს „ჭერმესი“ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს 0,5%-ის გადახდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის ღირებულებიდან, სულ - 314 414,62 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული 75 ერთეული ტრაქტორისა და გუთნის მიწოდება წარმოადგენდა მხარეებს შორის შეთანხმებულ ერთიან ვალდებულებას, ვინაიდან შემსყიდველის ინტერესში არ შედიოდა მხოლოდ ტრაქტორის მიწოდება გუთნის გარეშე. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი საქონლის სვლის შემანელებლებით კომპლექტაციას. აღნიშნული უნდა მომხდარიყო სამინისტროს მიერ ამ ხელშეკრულებისათვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, რაც დღემდე შეუსრულებელია. მინსკის სატრაქტორო ქარხნის უკრაინული წარმომადგენლის - „რიფტის“ ინტერნეტგვერდზე განთავსებული მონაცემებით, სვლის შემანელებლის ერთეულის ფასი შეადგენს 4900 უკრაინულ გრივნას, რაც, ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად, 1687 ლარია, ამდენად, მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს 75 ერთეულის ღირებულება - 126525 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სადავო არ არის, რომ მხარეთა შორის დაიდო ორი ხელშეკრულება - 2006 წლის 17 მარტის #370106/49 და 2006 წლის 4 სექტემბრის #37101/86. პირველი ხელშეკრულების დავის ღირებულებაა 3733,95 ლარი, მეორის - 34356,30 ლარი. 2007 წლის 12 იანვრის #5-1-9/59 წერილით შპს „ჭერმესისათვის“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან ცნობილი გახდა, რომ, 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულების დარღვევის გამო, შპს „ჭერმესი“ უნდა გადაეხადა 3733,95 ლარი. წერილის მიღებიდან უმოკლეს ვადაში, 2007 წლის 20 თებერვალს, მოპასუხემ აღნიშნული თანხა გადაიხადა, რაც შესაბამისი ქვითრით დასტურდება. 2006 წლის 4 სექტემბრის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე პირგასამტეხლო სწორად არ იყო დარიცხული. მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ შპს „ჭერმესმა“ ნაკისრი ვალდებულებები დროულად შეასრულა, შესაბამისად, გაუგებარია, თუ რა საფუძველით უნდა დაეკისროს მას პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%-ის დარიცხვით. არასწორია თვით პირგასამტეხლოს ოდენობაც. კანონსაწინააღმდეგოა მოსარჩელის მიერ მითითებული სვლის შემანელებლის ღირებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ჭერმესი“ 2006 წლის 4 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაეკისრა 16 935,88 ლარის, ხოლო 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით - 8625 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების არასწორი შეფასების თაობაზე, რაც, აპელანტის მოსაზრებით, იმა-

ში მდგომარეობდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე მხედველობაში არ მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია სვლის შემანელების ღირებულებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებლად უარყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის "კ. ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია ტრაქტორებისათვის სვლის შემანელებელი მოწყობილობის ღირებულების თაობაზე, რის გამოც არასწორად იქნა გამოთვლილი მიყენებული ზიანის ოდენობა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილით და დადგინდად მიიჩნია, რომ 2006 წლის 17 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „ჭერმესს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #370101/49 ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა, შპს „ჭერმესმა“, ვალდებულება იკისრა, შემსყიდველისათვის საქონელი მიეწოდებინა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის თანახმად კი - მისაწოდებელი საქონელი დაეკომპლექტებინა სვლის შემანელებლებით. მხარეთა შორის 2006 წლის 20 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიწოდებული ტექნიკა სვლის შემანელებლებით დაკომპლექტებული არ იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ შპს „ჭერმესის“ მიერ 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ჯეროვნად არ შესრულდა. სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტი სადავოდ ხდის სვლის შემანელების ერთეულის ღირებულებას, რომელიც, შპს „ჭერმესის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციით, 115 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო აპელანტის ინფორმაციით მისი ფასი 1687 ლარია. სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების საფუძველზე შპს „ჭერმესს“ დაევა 2006 წლის 17 მარტის მდგომარეობით სვლის შემანელების ერთეულისა და მისი ტრაქტორზე მონტაჟის ღირებულების შესახებ მტკიცებულებების წარდგენა. საქმეში წარმოდგენილი ბელორუსის რესპუბლიკური ლუნიტარული საწარმო „მინსკის ტრაქტორის ქარხნის“ წერილით ირკვევა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ტრაქტორების „ბელარუსი“ და ასევე ტრაქტორის დამატებითი მოწყობილობების, მათ შორის, გუთნის ტექნიკურ სრულყოფასთან დაკავშირებით სვლის შემანელებელი მოწყობილობის დაყენების აუცილებლობა აღარ არსებობს. ამდენად, ტრაქტორ „ბელარუსი 82.1-ზე“ სახნავი სამუშაოებისათვის სვლის შემანელებელი მოწყობილობის დაყენება საჭირო არ არის. საქმეში წარმოდგენილი ბელორუსის რესპუბლიკური უნიტარული საწარმო „მინსკის ტრაქტორის ქარხნის“ წერილში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი შეუკვეთავს ტრაქტორს სამრეწველო დანიშნულების სამუშაოების შესასრულებლად, სვლის შემანელების დაყენება ხორციელდება დამატებითი გადასახადის გადახდის შემდეგ. 2006 წლის აპრილს ტრაქტორის ფასი სვლის შემანელებლით გაიზარდა 115 აშშ დოლარით. პალატის მითითებით, საწინააღმდეგო არგუმენტად მოსარჩელემ მიუთითა, რომ მინსკის ქარხნის უკრაინული წარმომადგენლის „რიფტის“ ინტერნეტ გვერდზე არსებული მონაცემებით სვლის შემანელების ერთეულის ფასი შეადგენს 4900 უკრაინულ გრივნას, რაც, ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად, არის 1687 ლარია. მოსარჩელემ ასევე მიუთითა სსიპ „კ. ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის“ წერილზე, რომლის თანახმად „ბელარუს 80.1/82.1“ ძრავის ტრაქტორებისათვის სვლის შემანელებელი მოწყობილობის საქარხნო ღირებულება 2006 წლისათვის იყო 600 აშშ დოლარი. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიკვლია და შეაფასა სვლის შემანელების ღირებულებასთან დაკავშირებით, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიერ წარდგენილი დოკუმენტები და სრულიად იზიარებს სასამართლოს შეფასებას მოპასუხის მიერ წარდგენილი დოკუმენტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულებებად მიჩნევის შესახებ, რადგან მოპასუხის მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაცია ემყარება სასამართლო განჩინების საფუძველზე უშუალოდ მისი მწარმოებელი ქაზნიდან გამოთხოვილ დოკუმენტებს, რომელიც უფლებამოსილი პირის მიერაა გაცემული და სათანადო წესითაა დამოწმებული, რისი საწინააღმდეგო მტკიცებულებებიც აპელანტს სასამართლოსთვის არ წარუდგენია. ამასთან, პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტმა ვერ დაასაბუთა მის მიერ მითითებული მტკიცებულების - მინსკის ქარხნის უფკრაინული წარმომადგენლის „რიფტის“ ინტერნეტ გვერდზე არსებული მონაცემების დამაჯერებლობა, ვინაიდან აღნიშნული მონაცემების მე-11 და მე-12 პუნქტებში მითითებულია ტრაქტორ „მტზ 80-ის“ სვლის შემანელებლების ღირებულებაზე და არა სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიწოდებული ტრაქტორ „ბელარუს 82.1-ის“ სვლის შემანელების ღირებულებაზე. რაც შეეხება სსიპ „კ. ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის“ წერილში მითითებულ ფასს, სააპელაციო პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას, რომ „მინსკის ტრაქტორის ქარხნის“ წერილში მითითებულია სვლის შემანელების ფასი კონკრეტულად 2006 წლის აპრილის მდგომარეობით, მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებაში აღნიშნულია ზოგადად 2006 წლისთვის არსებული ფასი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის არასწორად განმარტებისა და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.1 მუხლის საფუძველზე ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო შპს „ჭერმესისათვის“ პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე (647 დღე) მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის, სულ 433 574,11 ლარის დაკისრებასთან დაკავშირებით. პალატამ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში ამომწურავი, დასაბუთებული და კანონიერია და არ არსებობს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მოთხოვნა, როდესაც დაუსაბუთებლად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია, უგულბელყო სამოქალაქო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები და არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. სასამართლოს მსჯელობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლს, რადგან სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრისას სასამართლომ იხელმძღვანელა მხოლოდ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, რომლის თანახმადაც ერთი ერთეულის სვლის შემანელებლის ღირებულება შეადგენს 115 აშშ დოლარს მაშინ, როდესაც საქმეში წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები სვლის შემანელებლის საბაზრო ღირებულების შესახებ. ზიანი სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის გაგებით, არის ის დანაკლისი, რომელიც პირის კანონით დაცულ სიკეთეს მეორე მხარის ქმედების შედეგად მიადგა, ქონებრივი სახის ზიანის გამოთვლა ხორციელდება იმ პირის ქონებრივი მდგომარეობის შეფასებით, რომელიც წარმოიშვა მეორე მხარის ქმედების შედეგად. მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა საბაზრო ღირებულება ჰქონდა სვლის შემანელებელს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და არა ის, რა ღირებულებით შეიძინა იგი მომწოდებელმა მწარმოებლისგან, როგორც ეს სასამართლოების მიერ იქნა განმარტებული. ყოველივე ზემოხსენებული ცალსახად ადასტურებს როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორ გამოყენებას და, შესაბამისად, იმ მტკიცებულებათა არასწორ შეფასებას, რომელიც კასატორმა წარმოადგინა. სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია მოპასუხის მიერ წარმოდგენილი „მინსკის ტრაქტორის ქარხნის“ მიერ გაცემული წერილი სვლის შემანელებლის ღირებულების თაობაზე და უგულბელყო როგორც ამავე ქარხნის უკრაინელი წარმომადგენლების, ისე, „კ.ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის“ სპეციალისტების დასკვნები სვლის შემანელებლის ღირებულების შესახებ. ცხადია, რომ „მინსკის ტრაქტორის ქარხნის“ წერილი შედგენილია სპეციალურად სასამართლო პროცესისთვის და შეიცავს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო ინფორმაციას, რადგან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არაერთხელ მიმართა მწარმოებელ ქარხანას სვლის შემანელებლის ღირებულების შესახებ ინფორმაციის მოწოდების თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. აღნიშნული წერილი არ შეიძლება ჩაითვალოს ღირებულების დადგენის მყარ სამართლებრივ მტკიცებულებად, რადგან მოწინააღმდეგე მხარე ქარხნის წარმომადგენელია და ცხადია, რომ მინსკის ქარხანა თავის დილერს ნებისმიერი შინაარსი წერილს შეუდგენდა. ამდენად, საქმის განხილვისას დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე მუხლებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი, როდესაც განმარტა, რომ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.1 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს მოთხოვნა, სვლის შემანელებლის მიუწოდებლობის გამო, პირგასამტეხლოს - 433 57411 ლარის გადახდასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა, რადგან მოწინააღმდეგე მხარის მიერ 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გადახდილია 3733,95 ლარი. აღნიშნული მსჯელობა არასწორია, ვინაიდან, შპს „ჭერმესის“ მიერ გადახდილი თანხა - 3 733.95 ლარი არის მხოლოდ ტრაქტორების მოწოდების ვადაგადაცილებით შესრულებისათვის, ხოლო სამინისტროს მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო - 433 574,11 ლარი გაანგარიშებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებიდან, ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე (647 დღე) 0,5%. სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია. თუ შპს „ჭერმესს“, 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურება 8 625 აშშ დოლარის ოდენობით სვლის შემანელებელთან დაკავშირებით, გაურკვეველია, რის გამო არ უნდა დაეკისროს, ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.1 მუხლის შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდა. 2006 წლის 17 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობების 20.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ანდა დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების 9.1 პუნქტის თანახმად. ამდენად, ხელშეკ-

რულების ვადების დარღვევის გარდა, არ შესრულებულა ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების ნაწილიც, რაც, ხელშეკრულების თანახმად, სანქცირებულია პირგასამტეხლოს დაკისრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სადავო ნივთის - ტრაქტორის სვლის შემანელებლის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2006 წლის 17 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „ჰერმესს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #370101/49 ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა, შპს „ჰერმესმა“, ვალდებულება იკისრა შემსყიდველისათვის საქონელი მიეწოდებინა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების მე-11 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, რომ მისაწოდებელი საქონელი დაეკომპლექტებინა სვლის შემანელებლებით. მხარეთა შორის 2006 წლის 20 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიწოდებული ტექნიკა (ტრაქტორები) სვლის შემანელებლებით დაკომპლექტებული არ იყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ შპს „ჰერმესმა“ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების თაობაზე. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც მხარეები შეთანხმდნენ ნივთის ფასის წინასწარ გადახდით ნასყიდობის საგანზე - სვლის შემანელებლით აღჭურვილი განსაზღვრული ხარისხის ტრაქტორების საკუთრებაში გადაცემაზე. სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლით, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი, ხოლო ამავე კოდექსის 488-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე. გამყიდველის - შპს „ჰერმესის“ მიერ გადაცემული ნივთის ნივთობრივი ნაკლი - ნივთის შეთანხმებული ნაწილის გარეშე გადაცემა სადავო არ არის. გაყიდული ნივთის ნაკლის არსებობის შემთხვევაში სამოქალაქო სამართალი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, სახელშეკრულებო პირობათა მოდიფიცირების გზით (სამოქალაქო კოდექსის 490-ე, 492-ე მუხლები) რეალური მდგომარეობა შეუსაბამონ სამართლებრივ ურთიერთობას და შეინარჩუნონ ხელშეკრულება.

მოცემულ შემთხვევაში მყიდველს - კასატორს ნივთის ნივთობრივი ნაკლის გამო ნასყიდობის საგნის მიღებაზე უარი არ განუცხადებია და, შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლა არ მოუთხოვია. სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას, გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.

მითითებული ნორმის შინაარსი გვადლევს დასკვნის საფუძველს, რომ ნივთობრივი ნაკლის არსებობის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ნასყიდობის საგნის ფასის შემცირება, ხოლო წინასწარ გადახდის შემთხვევაში - უსაფუძვლოდ გადახდილის უკან გამოთხოვა, ვინაიდან ვალდებულება ამ ნაწილში შეწყვეტილია (სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტი), ხოლო მხარეთა განმარტებით დადგენილია, რომ მწარმოებელი ნივთის სადავო ნაწილის - სვლის შემანელებლების წარმოებას აღარ ახორციელებს, ხოლო ხელშეკრულებით ტრაქტორის სვლის შემანელებლით შესყიდვის თანხა წინასწარ გადახდილია. ასევე სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ მოცემულ შემთხვევაში ნივთობრივი ნაკლი უნდა შეფასდეს არა მხარეთა მიერ დავის წარმოშობის შემდეგ მოძიებული და წარმოდგენილი ფასის განმსაზღვრელი მტკიცებულებებით, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომლითაც ტრაქტორის ფასი განისაზღვრა სვლის შემანელებელთან ერთად.

ცხადია, რომ მყიდველიც და გამყიდველიც ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნივთის ფასის განსაზღვრისას, ჩვეულებრივ, უნდა ითვალისწინებდნენ ნივთის ხარისხს, რომელზედაც გავლენას ახდენს ესა თუ ის დანამატი - გაუმჯობესება. მით უმეტეს, როდესაც გამყიდველს ნასყიდობის საგნის ფასი, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, წინასწარ აქვს გადახდილი. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობად ასეთი დანამატის - სვლის შემანელებლის მითითებაც, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტით ამ დეტალის არარსებობის დაფიქსირება მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ ტრაქტორის ფასის განსაზღვრაზე გავლენა უნდა მოეხდინა სადავო დეტალს. შესაბამისად, ამ დეტალის ღირებულება უნდა განისაზღვროს სწორედ მხარეთა მიერ შეთანხმებული და ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობით.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა, კერძოდ, კასატორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას ითხოვდა იმ საფუძვლითაც, რომ მოწინააღმდეგე მხარეს პირგასამტეხლო დაეკისრა მხოლოდ ტრაქტორის მიწოდების გადაცილებისათვის, და არა სვლის შემანელებლების მიწოდების გადაცილებისათვის, რითაც დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის დანაწესი. კასატორის მოსაზრებით, თუკი შპს "ჰერმეს" დაეკისრა მიყენებული ზიანის - სვლის შემანელებლის ღირებულების ანაზღაურება, ასევე უნდა დაკისრებოდა სვლის შემანელებლის მიწოდების გადაცილებისათვის პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლო - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა - მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

მოცემული ხელშეკრულების 9.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით. ამ პირობიდან ნათლად ჩანს, რომ მხარეთა შეთანხმება პირგასამტეხლოზე ეფუძნება მთლიანად საგნის და არა მისი თითოეული ნაწილის ღირებულებას. ასევე უდავოა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარეს დაეკისრა პირგასამტეხლო ტრაქტორის მიწოდების გადაცილებისათვის, რომელიც გამოანგარიშებულ იქნა ტრაქტორის სახელშეკრულებო ღირებულებიდან და, როგორც ზემოთ აღინიშნა, რომელშიც შედის მისი დეტალის - სვლის შემანელებლის ფასიც. ამდენად, ტრაქტორის მიწოდების ვადის დარღვევის გამო დაანგარიშებული პირგასამტეხლოს ოდენობა სწორად განისაზღვრა ტრაქტორის ღირებულებით, რომელიც მოიცავს სვლის შემანელებლის ფასსაც.

გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ყოველმხრივი და სრული შემოწმებით უნდა გამოარკვიოს:

- ხელშეკრულებით რა თანხა იქნა გადახდილი ტრაქტორის შესასყიდად;
- რა ღირებულებისა იყო ტრაქტორი სვლის შემანელებლის გარეშე;
- რა ოდენობით მეტი თანხა გადაიხადა მყიდველმა ნასყიდობის საგნის სადავო დეტალით - სვლის შემანელებლით შესყიდვისათვის;

მხოლოდ ამ ფაქტობრივ გარემოებათა გამორკვევის შემდეგ უნდა შეფასდეს ნივთის ფასის შემცირების საკითხი და, შესაბამისად, განისაზღვროს მოვალის - მოწინააღმდეგე მხარისათვის ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის დაკისრებული თანხის ოდენობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინება სადავო ნივთის - ტრაქტორის სვლის შემანელებლის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ას-762-978-08

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის გაუქმება, დარიცხული თანხისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ტ. ლ-შვილმა მოპასუხე სს "თელასის" მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სს "თელასის" 2007 წლის 30 მარტის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების #144404 აქტის გაუქმება და დარიცხული ჯარიმის - 3782.83 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს აქვს საცხოვრებელი ბინა თბილისში, ... ქ.#107ბ-ში, სადაც არ ცხოვრობს და რომელიც 2005 წლიდან დაკეტილია. მიმდინარე წლის 2 აპრილს მოსარჩელემ სს "თელასის" ადგილობრივი განყოფილებიდან მიიღო ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების #144404 აქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ შემოწმებისას მრიცხველზე შეჩერებული იყო აღრიცხვიანობის ჩვენება. აქტზე მოსარჩელის ხელმოწერა არ არის და ვერც იქნებოდა, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, იგი აღნიშნულ მისამართზე დროებით არ ცხოვრობდა. მოგვიანებით მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ აქტის საფუძველზე მას დაერიცხა ჯარიმ 3782.83 ლარის ოდენობით. მოსარჩელის მოსაზრებით, მითითებული აქტი კანონის უხეში დარღვევით არის შედგენილი, კერძოდ, აქტი დაწერილია სხვა ადგილას და არა შემოწმების ადგილას, მასში სახლის მისამართი არასწორად არის მითითებული, არ არის აქტზე მოწმეების ხელმოწერა, ურთიერთგამომრიცხავია დისკოს ბრუნვათა რიცხვის (0) და დროის (10წმ.) მითითება. ამასთან, მრიცხველზე არ არის ბჯენი და, ცხადია, კარადა არ იკეტება, რაც ცნობილი იყო სს "თელასის-სათვის".

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 აპრილის განჩინებით ტ. ლ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეზახნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით ტ. ლ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე დადგინილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 30 მარტს სს "თელასის" თანამშრომლებმა შეადგინეს ელექტროაღრიცხვიანობის შემოწმების #144404 აქტი აბონენტ ტ. ლ-შვილთან დაკავშირებით. აქტში დაფიქსირებულია, რომ აბონენტის მრიცხველის ბოგირი იყო გაწეული, რის შედეგადაც მრიცხველი არ აღრიცხავდა მოხმარებულ ელექტროენერჯის, შემოწმებისას ქსელში გადიოდა 24,1 ამპერი დენი. აღნიშნული დარღვევის გამო მოსარჩელეს გადასახდელად დაერიცხა 3782,83 ლარი.

საქალაქო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ აქტში მითითებულ მისამართზე მრიცხველის კარადები დაზიანებულია მთელ საცხოვრებელ სახლში და მაცხოვრებლების უმეტესობას დაერიცხა გადასახადი ელექტროენერჯის დატაცების გამო. მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე არ ცხოვრობს თავის ბინაში, იგი პერიოდულად მიდის აღნიშნულ ბინაში და მიტოვებული არ აქვს. საქალაქო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული გარემოება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკმარის მტკიცებულებად იმის დასადასტურებლად, რომ ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტში მითითებული დარღვევა არ არსებობდა და 2007 წლის 30 მარტს, როდესაც ჩატარდა შემოწმება, მოსარჩელე სახლში არ იმყოფებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მის მიერ ელექტროენერჯის დატაცების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საქალაქო სასამართლომ ასევე საფუძვლინად არ მიიჩნია მოსარჩელის მსჯელობა იმის შესახებ, რომ შემოწმების აქტზე მისამართი შეცდომით არის დაფიქსირებული. სასამართლომ მიუთითა, რომ აქტზე აღნიშნულია აბონენტის გვარი და მრიცხველის ნომერი, რაც იძლევა საშუალებას, გა-

ნისაზღვროს, თუ ვის კუთვნილ მრიცხველზე იქნა აღმოჩენილი დატაცების ფაქტი. იმასთან დაკავშირებით, რომ აქტი შედგა სხვა და არა შემოწმების ადგილას, მოსარჩელემ ვერ წარადგინა რაიმე სახის მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტი შედგენილი იყო საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 20 სექტემბრის #10 დადგენილებით დამტკიცებული სს "თელასის" და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურებისა და მოხმარების პირობების, ასევე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 31 სექტემბრის #15 დადგენილებით დამტკიცებული "სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდის" შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ დატაცების პერიოდი ვერ დგინდებოდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მეთოდის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე სწორად იქნა გამოყენებული დარიცხვის პერიოდად ერთი წელი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. ლ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინებით ტ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო-სამართლებრივ საფუძველებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ტ. ლ-შვილმა (წარმომადგენელი ზ. ბ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძველებით:

კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო შემოწმების აქტი შედგენილია უკანონოდ. გაურკვეველია, რის საფუძველზე დაეკისრა ამდენი თანხა, მაშინ როდესაც ბინაში არ ცხოვრობს და საერთოდ არ მოიხმარს ელექტროენერჯას. სს "თელასის" თანამშრომლები ყოველთვიურად დადიოდნენ და ახლაც დადიან შემოწმებებზე და თუ დარღვევები იყო, ისინი აუცილებლად აღმოაჩენდნენ მას. სადავო აქტი არ არის შედგენილი შემოწმების ადგილზე, აქტში სახლის მისამართი მითითებულია არასწორად, მრიცხველზე არ არის ბჯენი და, ცხადია, კარადა არ იკეტება. აქტის შედგენის დროს არ იყვნენ მოწვეული მოწმეები. კასატორი ასევე არ ეთანხმება დარიცხული ჯარიმის ოდენობას და მიუთითებს, რომ სემეკის 2001 წლის 31 დეკემბრის #15 დადგენილებით, თუ არ დგინდება დატაცების პერიოდი, ასეთ შემთხვევაში დარიცხვის მაქსიმალური პერიოდი არის ერთი წელი, ამ შემთხვევაში კი სს "თელასის" თანამშრომლების მიერ მაქსიმალური ვადის გამოყენება არასწორია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 30 მარტს სს "თელასის" წარმომადგენლებმა შეადგინეს ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების #144404 აქტი, რომლის საფუძველზეც აბონენტ ტ. ლ-შვილს დაერიცხა 3782.83 ლარი. აქტში მითითებულია, რომ აბონენტის მრიცხველის ბოგირი იყო გაწეული, რის შედეგადაც მრიცხველი არ აღრიცხავდა მოხმარებულ ელენერჯას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 31 დეკემბრის #15 დადგენილების საფუძველზე არასწორად შეაფასა აქტის შედგენის კანონიერება, კერძოდ:

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 31 დეკემბრის #15 დადგენილებით დამტკიცდა "სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდის", რომლის მიზანსაც წარმოადგენდა განსაზღვრული წესე-

ბის სისტემის ჩამოყალიბება აღურიცხავი და დატაცებული ელექტროენერჯის საფასურის მაქსიმალური ობიექტურობით გამორკვევის მიზნით. აღნიშნული მეთოდიკის მე-3 მუხლით განსაზღვრულია სს "ეი-ი-ეს თელასის" თანამშრომლების მიერ აბონენტთა ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევისას აქტის შედგენის პროცედურა, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აქტის შედგენას ესწრება აბონენტი, ან მისი წარმომადგენელი. დარღვევის აქტზე ხელს აწერენ როგორც სს "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლები, ასევე - შემოწმებაზე დამსწრე აბონენტის წარმომადგენლები. ამავე მეთოდიკის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის მიხედვით, სააბონენტო სექტორში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სს "ეი-ი-ეს თელასის" თანამშრომელი ადგილზე აფორმებს აქტს, რომელშიც აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს აბონენტის, ან იმ პირის გვარი, ვინც ესწრებოდა შემოწმებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ აბონენტი ტ. ლ-შვილი არც პირადად და არც უფლებამოსილი პირის მეშვეობით არ ესწრებოდა აქტის შედგენას. აქტის შედგენას ასევე არ ესწრებოდა ნეიტრალური მესამე პირი. საკასაციო სასამართლო საკმარისად არ მიიჩნევს სადავო აქტში მითითებულ გარემოებას, რომ აბონენტი ხელს არ აწერს აქტს. აღნიშნული გარემოებაც და აღრიცხვიანობის დარღვევაც დასტურდება მხოლოდ სს "თელასის" წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი აქტით. ზემოხსენებული აღრიცხვის მეთოდიკის ნორმების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ მხარის ან მისი წარმომადგენლის დასწრება აღრიცხვიანობის აქტის შედგენის პროცედურის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სხვა შემთხვევაში მხარემ სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს აღრიცხვიანობის დარღვევის არსებობა, ვინაიდან მხარის მიერ ცალმხრივად დარღვევის ფაქტის დაფიქსირება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ასეთი გარემოების უტყუარად დასადგენად. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოცემულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეს წარმოადგენს სს "თელასი", რომელსაც დომინირებული მდგომარეობა უკავია ბაზარზე და იგი ვალდებულია, მომხმარებელს შესთავაზოს სამართლიანი სახელშეკრულებო პირობები და ბოროტად არ გამოიყენოს თავისი ძალაუფლება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარე ვალდებულია დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის შესაგებელს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტით უტყუარად არ დგინდება ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის დარღვევა, რაც ტ. ლ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ტ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

ტ. ლ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს: ბათილად იქნეს ცნობილი სს "თელასის" 2007 წლის 30 მარტის #144404 აქტი აბონენტ ტ. ლ-შვილის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების თაობაზე და ტ. ლ-შვილი გათავისუფლდეს ამ აქტის საფუძველზე დარიცხული თანხის - 3782.83 ლარის გადახდისაგან;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ელექტროენერჯის ნასყიდობასა და მოხმარებასთან დაკავშირებული დავა

განჩინება

#ას-156-484-09

14 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჟ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს "თელასის" მიმართ უკანონოდ დარიცხული დავალიანების - 1496,20 ლარის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის აპრილში მოსარჩელემ მოქალაქე ბ-ოისაგან შეიძინა ქ. თბილისში, ... #13-ში მდებარე სახლი, რომელიც იყო საცხოვრებლად უვარგისი და არ ჰქონდა ელექტროენერჯის ჩამრთველები. ასევე არ იყო დამონტაჟებული ელექტრომრიცხველი. სარემონტო სამუშაოები დაასრულა 2006 წლის დეკემბერში და შემდეგ გადავიდა სახლში საცხოვრებლად. მოგვიანებით გ. ჟ-იას სს "თელასიდან" მიუვიდა ვინმე ბ-უას სახელზე შედგენილი ელექტროენერჯის დარიცხვის ქვითარი სადავო დავალიანების მითითებით. მოსარჩელისათვის უცნობია, თუ ვინ არის ქვითარში აღნიშნული პიროვნება და რატომ დაერიცხა მისი დავალიანება გადასახდელად.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე სს "თელასს" ხელშეკრულება ელექტროენერჯის მიწოდების შესახებ დადებული ჰქონდა დ. ბ-უას სახელზე, რომლის ახალი მესაკუთრით შეცვლის თაობაზე განცხადება საზოგადოებას დროულად არ წარდგენია. დასახელებულ მისამართზე 2007 წლის 2 აპრილიდან გადასახადის გადახდა ხდებოდა მრიცხველის ჩვენების შესაბამისად, მანამდე კი გადასახადები ირიცხებოდა უმრიცხველოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 5 ოქტომბრის #22.21.1110 დადგენილების საფუძველზე, 1999 წლის ივნისიდან - სემეკის 1999 წლის 16 ივნისის #29 გადაწყვეტილების თანახმად, 2002 წლის იანვრიდან 2007 წლის 2 აპრილამდე კი - სემეკის 2001 წლის 31 დეკემბრის #15 დადგენილების მესამე დანართის პირველი ნაწილის მიხედვით. ამასთან, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ იგი წლების მანძილზე სადავო სახლში არ ცხოვრობდა. გ. ჟ-იას სარჩელი ნაწილობრივ ხანდაზმულია, ვინაიდან ელექტროენერჯის გადასახადის დარიცხვა ხდებოდა პერიოდულად 1999 წლიდან, მათ შორის, 2002 წლის განმავლობაში, როცა მოსარჩელემ სახლი შეიძინა. ამ პერიოდში დაფარულია დავალიანების ნაწილი, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ აბონენტისათვის ცნობილი იყო სადავო გადასახადის თაობაზე, სარჩელით კი სასამართლოს მიმართა 2008 წელს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით გ. ჟ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით მისთვის უკანონოდ დარიცხული 1625 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით გ. ჟ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: 2002 წლის 6 აპრილს მოსარჩელე გ. ჟ-იასა და დონარა ბეგოვის რწმუნებულ მ. ბ-ოის შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევის #13-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და 172,15 კვ.მ შენობა-ნაგებობებზე. ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2002 წლის 22 მაისს და გ. ჟ-ია აღირიცხა მესაკუთრედ. 2007 წელს სახლს ელექტროენერჯის გადასახადი ერიცხებოდა უმრიცხველოდ. აღნიშნულ მისამართზე აღრიცხული აბონენტი 2002 წლის მარტსა და აპრილში სარგებლობდა UშAID-ის დახმარებით და დარიცხული გადასახადი იფარებოდა ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხით. 2002 წლის 5 აპრილის მდგომარეობით სადავო სახლს ერიცხებოდა ელექტროენერჯის დავალიანება 7,96 ლარი, ხოლო 2002 წლის 27 მაისის მდგომარეობით, ანუ იმ დროს, როცა მოსარჩელე უკვე აღრიცხული იყო სახლის მესაკუთრედ - 21,09 ლარი. აღნიშნული პერიოდიდან 2002 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით ელექტროენერჯის საფასური გადახდილია ნაღდი ანაგარიშწორებით ექვსჯერ. 2007 წლის 2 აპრილს დაიდგა #107869 მრიცხველი, რის შემდეგაც გადასახადის დარიცხვა წარმოებდა მისი ჩვენების შესაბამისად. 2004 წლის 3 მაისის მდგომარეობით ... პირველი შესახვევის #13-ში აბონენტად აღრიცხული იყო დ. ბ-უა და ამ პერიოდისათვის ელექტროენერჯის გადასახადის დავალიანება შეადგენდა 842,22 ლარს. 2006 წლის 6 დეკემბრით დათარიღებული ქვითარი #0157154 აბონენტზე გამოწერილია დ. ბ-უას სახელზე, მაშინ, როცა აღნიშნული აბონენტის ნომრით აღრიცხულია მოსარჩელე. ქვითრის მიხედვით, დავალიანება შეადგენს 1496,20 ლარს. 2002 წლის 22 მაისიდან 2007 წლის 2 აპრილამდე, მრიცხველის დადგამამდე, აღნიშნულ მისამართზე სს „თელასში“ აბონენტად რეგისტრირებული იყო დ. ბ-უა, მიუხედავად იმისა, რომ სადავო პერიოდში საცხოვრებელი სახლის მფლობელი იყო არა დ. ბ-უა, არამედ გ. ჟ-ია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბინის შექმნის შემდეგ 2006 წლის 6 დეკემბრამდე მას დაერიცხა ელექტროენერჯის გადასახადი 1496,20 ლარის ოდენობით. სს „თე-

ლასის" ქვითრებით სასამართლომ დაადგინა, რომ აბონენტის ნომერი იყო 0350604, ხოლო შემდეგ შეიცვალა 0157154-ით, თუმცა მიიჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებას საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ქვითრებით დადგენილია, რომ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება ერიცხებოდა ქ. თბილისში, ... მდებარე #13 ბინას. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, სემეკის 2001 წლის 20 სექტემბრის @#10 დადგენილების მე-3, მე-14 მუხლით და ჩათვალა, რომ გ. ჟ-ია 2002 წლის 22 მაისიდან აღირიცხა რა ბინის მესაკუთრედ, ამ დროიდან სახელმეკრულებო ურთიერთობა ჰქონდა სს „თელასთან“ და, შესაბამისად, მის წინაშე წარმოეშვა უფლება-მოვალეობები. პალატის მოსაზრებით, უტყუარი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ გ. ჟ-ია 2006 წლის 6 დეკემბრამდე არ ცხოვრობდა ბინაში და არ მოიხმარდა ელექტროენერჯიას. გ. ჟ-იას ახსნა-განმარტებით სასამართლომ დაადგინა, რომ სახლის შეძენისას იქ მრიცხველი არ იდგა, ამდენად, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ელექტროენერჯის გადასახადი დაერიცხებოდა უმრიცხველოდ. ასეთ პირობებში, მას უნდა მიემართა სს „თელასისათვის“ რათა ეცნობებინა, რომ ბინაში არ ცხოვრობდა და მოეთხოვა ელექტროენერჯით მომსახურების შეწყვეტა. პალატის მითითებით, მოსარჩელეს სს „თელასისათვის“ განცხადებით არ მიუმართავს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ 2002 წლის 22 მაისიდან 2006 წლის დეკემბრამდე ბინაში არ იყო ელექტროგაყვანილობა და არ მიეწოდებოდა ელექტროენერჯია, ეკისრება მოსარჩელეს, რაც მან ვერ დაასაბუთა. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება, რომ ბინა საცხოვრებლად იყო უვარგისი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მრიცხველის 2006 წლის 5 დეკემბერს და არა 2007 წლის 2 აპრილს დამონტაჟების შესახებ მოსარჩელის ახსნა-განმარტების გაზიარების შემთხვევაშიც, აღნიშნული ვერ დაადასტურებს, რომ 2006 წლის დეკემბრამდე მოსარჩელე ელექტროენერჯიას არ მოიხმარდა. პალატის მოსაზრებით, ზემოხსენებული გარემოება ვერ დგინდება ვერც 2007 წლის იანვრის განცხადებებითა და ელექტროენერჯის დავალიანების გადახდის ამსახველი მტკიცებულებებით. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა აპელანტის პოზიციას, რომ მას დ. ბ-უას დავალიანება უკანონოდ გადაეწერა, ვინაიდან სადავო პერიოდში სს „თელასთან“ სახელმეკრულებო ურთიერთობაში გ. ჟ-ია იმყოფებოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, სს „თელასის“ ქვითრებში აღნიშნულ მისამართზე აბონენტად მითითებული იყო დ. ბ-უა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა ბინის მფლობელს და, შესაბამისად, სს „თელასთან“ არსებული ხელმეკრულების მხარე ვერ იქნებოდა, სადავო დავალიანება კი ერიცხებოდა ქ. თბილისში, ... ქ. #13 ბინას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ჟ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით კასატორისათვის უკანონოდ დარიცხული 1764 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სემეკის 2001 წლის 20 სექტემბრის #10 დადგენილების მე-3 მუხლი. სასამართლომ დაადგინა, რომ კასატორი სს „თელასის“ ხელმეკრულები მხარე 2002 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გახდა, თუმცა არ გაითვალისწინა, რომ ამ შემთხვევაში 1994 წლიდან 2002 წლამდე მოპასუხესთან სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ბ-ოი. შესაბამისად, დავალიანების არსებობისას ქვითარი უნდა შედგენილიყო სწორედ მის სახელზე, რაც არ მომხდარა. საგულისხმოა, რომ ბ-უა არასოდეს ყოფილა სადავო სახლთმფლობელობის მესაკუთრე. სასამართლომ მნიშვნელობა არ მიანიჭა ბ-უას სააბონენტო და მრიცხველის ნომრებს მამინ, როცა სს „თელასთან“ ურთიერთობისას აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემები გადამწყვეტია. პალატამ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი სს „თელასის“ ბეჭდიანი ქვითარი, რომელზეც დაფიქსირებულია მრიცხველის დაყენების თარიღი - 2006 წლის 5 დეკემბერი და ასევე ის გარემოება, რომ 2006 წლის 6 დეკემბერს ბ-უას სახელზე გაგზავნილ ქვითარში მიეთითა კასატორის სააბონენტო #0157154 და ბ-უას მრიცხველის #4176284. ნიშანდობლივია, რომ 2006 წლის ნოემბრამდე არც ერთი ქვითარი კასატორს არ გადაუხდია, ამავდროულად წლის დეკემბერში კი გადაიხადა #107869 მრიცხველის ჩვენების საფუძველზე დარიცხული თანხა, რაც ადასტურებს, რომ მრიცხველი დამონტაჟდა 2006 წლის დეკემბერში, ამასვე ადასტურებს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი გრაფიკი. სასამართლოს ყურადღება უნდა გამახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ ელექტროენერჯის ერთთვიანმა დანახარჯმა შეადგინა 268 ლარი და მტკიცებულებათა სწორი შეფასების შედეგად დაედგინა, რომ ყოველივე მიმართული იყო კასატორისათვის თანხის უკანონოდ დარიცხვისაკენ. პალატამ არასწორად განმარტა სემეკის 2001 წლის #10 დადგენილების მე-20 მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ გ. ჟ-იას სადავო სახლში 2006 წლის ნოემბრამდე ცხოვრებისა და ელექტროენერჯის მოხმარების შემთხვევაში მოპასუხე აუცილებლად შეუწყვეტდა მას ელექტროენერჯის მიწოდებას. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა კასატორის მიერ წარდგენილ სანოტარო წესით დამოწმებულ ცნობაზე, რომ 2006 წლის ოქტომბრამდე სადავო სახლში არავის არ უცხოვრია. სააპელაციო პალატამ ასევე არ იმსჯელა, თუ რატომ შეიცვალა აბონენტის #035664 #0157154-ით. სინამდვილეს

არ შეესაბამება მოპასუხის განმარტება, რომ ნომრები შეიცვალა მთელი თბილისის მასშტაბით 2007 წელს ბაზის შეცვლის გამო, ვინაიდან კასატორმა წარადგინა მისი მეზობლის, მელაანის პირველი შესახვევის #11-ში მცხოვრები აბონენტის თელასის ქვითარი, რომლითაც დასტურება, რომ 2005-2007 წლებში მას სააბონენტო ნომერი არ შეეცვლია. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 6 აპრილის ქვითრით კასატორს 1 თვის დანახარჯი - 268 ლარი ხელახლა დაერიცხა და ეს ის თანხაა, რასაც სააპელაციო სასამართლო 2006 წლის 5 დეკემბრის ხელნაწერი ქვითრებით გადასახდელად აფიქსირებს. პალატას არ შეუფასებია მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ 2007 წლის იანვარში გ. ჟ-იამ მესამეჯერ მიმართა სს "თელასს" მის მიერ დამონტაჟებული მრიცხველის ანათვალის მიხედვით შედგენილი ქვითრის მისაღებად. მოპასუხემ ამავე წლის მაისში გაუგზავნა ქვითარი, სადაც აბონენტის ნომრის გაყალბებით ვინმე ბ-უას 1642 ლარამდე დავალიანება იყო ასახული. სასამართლომ არ იმსჯელა გ. ჟ-იას მიერ წარდგენილ სს "თელასიდან" მოპოვებულ ქვითარზე, რომ ბ-უა ცხოვრობდა გუჯარეთის ქუჩაზე, კასატორის შორიახლოს და 15 წლის წინ გარდაიცვალა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ჟ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომ 2002 წლის 6 აპრილს მოსარჩელე გ. ჟ-იასა და დ. ბ-ევის რწმუნებულ მ. ბ-ის შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... #13-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და 172,15 კვ.მ შენობა-ნაგებობებზე. ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2002 წლის 22 მაისს და გ. ჟ-ია აღირიცხა მესაკუთრედ. მითითებულ მისამართზე 2007 წლის 2 აპრილს დაიდგა #107869 მრიცხველი, რის შემდეგაც გადასახადის დარიცხვა წარმოებდა მისი ჩვენების შესაბამისად, ხოლო ამ პერიოდამდე უმრიცხველოდ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ჟ-იამ ზემოხსენებული სახის პრეტენზია ნაწილობრივ წარმოადგინა, კერძოდ, დასაბუთებულია კასატორის მითითება, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება გ. ჟ-იას სახლში მრიცხველის 2007 წლის 2 აპრილს დამონტაჟების თაობაზე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სს "თელასის" წარმომადგენლის განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით - სს "თელასის" მიერ გაცემული ქვითრით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე სახლში მრიცხველი დამონტაჟდა 2006 წლის 7 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია აბონენტ გ. ჟ-იას ბრუნვის ისტორია, რომლითაც ირკვევა, რომ ხსენებულ აბონენტს 2006 წლის 4 დეკემბერს, 2007 წლის 3 იანვარს, 1 თებერვალს, მარტსა (ზუსტი თარიღი არ იკითხება) და 2 აპრილს ელექტროენერგიის საფასური დაერიცხა უმრიცხველო დარიცხვის წესით.

ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ უნდა შეაფასოს ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებანი და გამოარკვიოს, თუ რა წესით უნდა გამოანგარიშებოდა 2006 წლის 7 დეკემბრიდან 2007 წლის 23 აპრილამდე პერიოდში გ. ჟ-იას ელექტროენერგიის გადასახადის ოდენობა, კერძოდ, გადასახადი გამოთვლილია უმრიცხველო დარიცხვის წესით, ხოლო საქმის მასალებით ირკვევა მრიცხველის დამონტაჟების ფაქტი. მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ უნდა განისაზღვროს გ. ჟ-იასათვის დასაკისრებელი თანხის ზუსტი ოდენობა.

რაც შეეხება გ. ჟ-იას საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას დანარჩენ ნაწილში, იგი დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ გ. ჟ-იას მიერ სადავო პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვის კანონიერების გარკვევისას მნიშვნელოვანია

დადგინდეს, აღნიშნულ პერიოდში იმყოფებოდა თუ არა გ. ჟ-ია სს "თელასთან" სახელმწიფო-საპროცესო ურთიერთობაში და მოიხმარდა თუ არა ელექტროენერგიას.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. დასახელებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ესა თუ ის ვალდებულება შეიძლება არსებობდეს მხარეთა შორის დადებული გარიგების, ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრებისა და კანონით რეგლამენტირებული სხვა გარემოებების საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია რა ფაქტობრივი გარემოება, რომ 2002 წლის 22 მაისიდან გ. ჟ-ია აღირიცხა ქ. თბილისში, ... #13-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ, ამ დროიდან მხარეთა შორის სახელმწიფო-საპროცესო ურთიერთობა წარმოიშვა სემეკის 2001 წლის 20 სექტემბრის #10 დადგენილების მე-3 მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვით მომხმარებელმა, რომელსაც სურს სს "ეი-ი-ეს თელასთან" ელექტროენერგიის მიღება, უნდა დადოს ხელშეკრულება სემეკ-ის მიერ დამტკიცებული პირობების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად არ გაიზიარა გ. ჟ-იას მითითება, რომ იგი 2006 წლის 6 დეკემბრამდე სადავო ბინაში არ ცხოვრობდა, ვინაიდან სემეკის 2001 წლის 20 სექტემბრის #10 დადგენილების მე-14 მუხლი ადგენს, რომ თუკი მომხმარებელი დროებით ტოვებს საცხოვრებელ სახლს, მას შეუძლია მიმართოს სს "ეი-ი-ეს თელასს" განცხადებით და მოსთხოვოს ელექტროენერგიით მომსახურების შეწყვეტა საცხოვრებელ სახლში არყოფნის პერიოდში. მომხმარებელს ელექტროენერგიის მიწოდება განუახლებდა მოსთხოვნისთანავე. მითითებული ნორმა არეგულირებს მომხმარებელსა და "თელასს" შორის ისეთ ურთიერთობას, როდესაც მომხმარებელი ვალდებულია, გააფრთხილოს კონტრაქტი, რომ იგი გარკვეული დროის განმავლობაში არ გეგმავს სახლში ცხოვრებას და სურს სახელმწიფო-საპროცესო ურთიერთობის შეჩერება - ელექტროენერგიის მიწოდების აღნიშნული პერიოდისათვის შეწყვეტა. ზემოხსენებული ღონისძიება მომხმარებლისათვის წარმოადგენს ელექტროენერგიის ზედმეტად დარიცხვისაგან თავდაცვის მექანიზმს, რითაც განსახილველ შემთხვევაში გ. ჟ-იას არ უსარგებლია. საფუძვლიანია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ გ. ჟ-იას განმარტებით, სადავო სახლის შემენისას ელექტროენერგიის მრიცხველი დამონტაჟებული არ იყო, გ. ჟ-იას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ასეთ შემთხვევაში ელექტროენერგიის დარიცხვა მოხდებოდა უმრიცხველო პრინციპით და მოწინააღმდეგე მხარისათვის მიმართვით უნდა მოეთხოვა სახლში არყოფნის დროს ელექტროენერგიის მიწოდების შეჩერება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, გ. ჟ-იამ სათანადოდ ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ 2006 წლის 6 დეკემბრამდე იგი სადავო სახლში არ ცხოვრობდა და არც ელექტროენერგიას არ მოიხმარდა, რისი მტკიცების ტვირთიც კასატორს ეკისრებოდა. კასატორს ამ მხრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო მის მიერ მითითებული მტკიცებულების საფუძველზე კი (2007 წლის განცხადებები, ელექტროენერგიის დავალიანების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები) ზემოხსენებული ფაქტი არ მტკიცდება.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ აბონენტის ნომრის შეცვლა, ისევე, როგორც სს "თელასის" ქვითრებში გ. ჟ-იას ნაცვლად დ. ბ-უას მითითება, კასატორის სადავო ვალდებულების არსებობაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან ელექტროენერგიის გადასახადის დარიცხვა ხდებოდა ერთსა და იმავე მისამართზე - ქ. თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე სახლზე. მოცემული ურთიერთობის სპეციფიურობიდან გამომდინარე (ელექტროენერგია მიეწოდება კონკრეტულ მისამართზე არსებულ შენობა-ნაგებობის მფლობელს მის მფლობელობაში არსებული ნივთის ჯეროვნად გამოყენებისათვის), გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ელექტროენერგიის მიწოდების ადგილს, რაც თავისთავად არ გულისხმობს აბონენტის ვინაობის უგულებელყოფას, მაგრამ ამ უკანასკნელი მონაცემების უზუსტობა არსებით გავლენის ვერ მოახდენს ვალდებულების შესრულებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ჟ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.